


საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის ჟურნალი
Journal of Creative Union of Composers of Georgia

მუსიკა

MUSIKA



2(20)
2014



ჩარლი და მუსიკოსები

ვახტანგ რურუს ნახატი. 2013

მუსიკა

MUSIKA

Journal of Creative Union of Composers of Georgia

2 (20)·2014



ეურნალი გამოიცემა
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის
სამინისტროს ფინანსურის მსარდაჭერით

ISSN 1987-7773

ეურნალ „მუსიკის“ რედაქცია	2
ვახ რეზა	
ოპერა	4
მზია ჯაფარიძე	
თამაშის თავაზის ხალიწელი აღვ.	4
საკოცხეობო ცხოვრება	
რუსუდან წურწუმია	
სააპილო კოცხეობაზის გამოყალიბი.	20
მაცნევები	
ნანა ქავთარაძე. სიკვდილის სახი მასივაში.	22
ქართველი მარიამ გარებული	
მიხეილ ავალიშვილის მარიამ გარებული	24
მარიამ გარებულის მარიამ გარებული	26
აკადემიური მარიამ გარებული	28
მარიამი კაბელი მარიამ გარებული	30
ფილმი სიცოცხლის მარიამ გარებული	32
მარიამ გარებული სიცოცხლის მარიამ გარებული	33
სახელი	
თამარ მესხი. მიზანი მოწვევას ფართოები	38
ქეთევან ბააშვილი. ეფიზო გარებული	42
ცლავის გადასახადიდან	
ნარგიზა გარდაფხაძე. საუარი გლეა ჩარგვათან	47
ახალი სახელები	
გულბათ ტორაძე	
მარიამ გარებულის მარიამ გარებული	50
კოცხეობის მთავაზილებაზი	52
მიხეილ გარებული	54
ვინაობა ვინაობაზი	56
ერი მესხი	
რუსუდან ქუთათელაძე. მელაზ მისახადი მაგალითი	60
სტელა ცხადობის გვირში	
შორენა მეტრეველი	
ახალი ხევი კართულ საგანძო მასივაში	62
არჩილ ნიქაცაძე	
სტელა კომაობისობრივი „ავანგარდული“ კოცხეობი	64
რეპლიკა	
მანანა ხვედელიძე. უამ???? უამ????	68
ფოლკლორი	
გიორგი კრავეიშვილი.	
ლაგარი და ინგილონერი სასიმღერო	
მრავალხარისხის საკითხოსათვის	70
მასივე	
გულბათ ტორაძე. ავანგარდი ნიმ (ნება) მიმღადა	74
გალები	
თამარ მესხი-მოდებაძე	
ახალგადა ჩალისა — ლეის ჩვეულებილი.	76
მასივე	
ამავე და დასახური	
ამოაზონი ფართოები	78
WWW.	80
Summary	82

რედაქტორი: მიხეილ გოლი

თანარედაქტორები:

ვერა ასალიძე, თამარ ცელაკიძე

დიზაინ: ვაკელაძე რეზა, ვახ კიბაძე

ინტერიური თარგმანი: ვათოვან თამარები

მსამართი: დავით აღმაშენებლის 123

ტელ.: (+995 32) 95 41 64

(+995 32) 96 75 05

ფაქს: (+995 32) 96 86 78

ელ-ფოსტა: journal.musika@mail.ru

Facebook: journal.musika



თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზს მიენიჭა
გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორისა და მოღვაწის
ალექსი მაჭავარიანის სახელი



ვახტანგ რეზას საცოლისო

ვახო რუჩა

„ფერის აღნერა შეიძლება? არა. შეიძლება სი ბემოლ მაჟორი მოვყვე?“...

ვახტანგ რუჩა

გარდაიცვალა არაჩვეულებრივი პიროვნება და შემოქმედი, მხატვარი გახტანგ რუჩა... ძალიან დაგვწყვიტა გული, ძალიან... საოცრად საინტერესო, მრავალმხრივი ადამიანი იყო. მან უდიდესი ამაგი დასდო უურნალ „მუსიკას“, მან შექმნა უურნალის ახალი ვიზუალური სახე, მხატვრული კონცეფცია და ამასთან, სრულიად უანგაროდ, რისთვისაც უდიდესი მადლობა მას!..

უნდა გენახათ როგორი ენთუზიაზმით, როგორი შემოქმედებითი ცეკვლით მუშაობდა უურნალ „მუსიკის“ სახის შექმნაზე. მუსიკალური უურნალისთვის თემებსა და რუბრიკებსაც კი გვთავაზობდა, ფიქრობდა, იწვოდა... უზადო გემოვნების მქონე, ყოველ ფერს, ყოველი გვერდის ვიზუალს ეფერებოდა, ეძიებდა... ეს იყო ენციკლოპედიური განათლების ადამიანი, რომელიც იდებს ვერ იტევდა და თავისი შემოქმედებითი ენერგეტიკის ქვეშ ყველა გარშემომყოფს მოაქცევდა ხოლმე.

გახტანგ რუჩა იყო არაერთი საინტერესო წიგნის არა მხოლოდ დიზაინის, არამედ იდეის ავტორი, აღარაფერს ვამბობთ ფილმებზე, რომლის მხატვარიც იყო, მათ შორის ისეთი ფილმების, როგორებიცაა: „ლაზარეს თავგადასავალი“, „ვერის უბნის მელოდიები“, „პასტორალი“, „თუში მეკავარ“, „რობინზონიადა, ანუ ჩემი ინგლისელი პაპა“, „შეყვარებული კულინარის 1001 რეცეპტი“ და სხვ.

გახტანგ რუჩა ათწლეულები მუშაობდა ქართულ საგმომცემლო შრითფზე, რომელიც გამოყენებულია კიდევ უურნალ „მუსიკაში“. მარტო ბოლო პერიოდში მის მიერ გამოცემული ქობულაძისა და ფიროსმანის შესანიშნავი ალბომები რად ღირს! რა დაგვავინებულ გამოსმანის ალბომს, რომელიც სიმაყით გვაჩენა; ერთად ვათვალიერებდით, აღფრ-

თოვანებას გამოვხატავდით და ისიც ხარობდა... მან ხომ საზოგადოებას ახალი თვალით დაანახა დიდი მხატვარი.

შემოქმედი ადამიანი ნამდვილად არ ბერდება... ამაში დავრნმუნდით, როდესაც ვუყურებდით ბ-ნ ვახოს მუშაობის პროექტში – პატარა ბიჭივით უბრნყონავდა თვალები, ყოველი ახალი იდეის გაჩენისას ეშმაკურად აუკუნებლივ ხოლო... მისი ენერგეტიკა ბევრ ახალ-გაზრდას შეშერდებოდა. დასანანია, რომ ასეთი პიროვნებები ტოვებენ საქართველოს...

როდესაც შევიტყვეთ მისი ავადმყოფობის შესახებ, სულ გვინდოდა დაგვერეკა, მოვენახულებინა და სულ გვერიდებოდა არ შეგვენუხებინა, ახლა კი ვწეხვართ, რომ ვერ ვნახეთ დ ვერ მოვიკითხეთ. ჩვენ გვავინებდება ხოლმე, რომ ცხოვრება ხანმოკლეა... ძალიან ვნანობთ... და გული გვწყდება...

უდიდესი მადლობა ბ-ნ ვახტანგს იმ დაუვინყარი ურთიერთობისათვის, საინტერესო საუბრებისათვის, ადამიანურობისა და იუმორისათვის, სიკეთისთვის და ნიჭისთვის, რომელსაც ჩვენც გვაჩიარა, იმ ამაგისათვის რომელიც უურნალ „მუსიკას“ დასდო. ის, ავადმყობის მიუხედავად, ბოლომდე გულშემატკივრობდა და თვალყურს ადევნებდა ჩვენ უურნალს, სტამბამდე მანიც ნახულობდა და თავის განუმეორებელ კვალს ტოვებდა... სამწუხაროდ, ცოტანი დარჩინენ ასეთი ადამიანები და შემოქმედნი.

ვახტანგ რუჩა ყოველთვის დარჩება ჩვენი უურნალის თანაავტორად.

ნათელში ამყოფოს უფალმა!

შურნალ „მუსიკის“ რედაქცია



თბილისის ოპერის თავატრის ხვალინდელი დღე

ინტერვიუ ოპერის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელთან,
დირიჟორ დავით კინტერაშვილთან

თბილისის თაქრის თეატრის გარშემო დავა ლამის ერთ წელინადს მიმდინარეობდა. ვერა და ვერ გა-დანაყდა ვინ იქნებოდა სამხატვრო ხელმძღვანელი, რამდენად მიესადაგებოდა ოპერის თეატრს ახალი კანონი თეატრების შესახებ, უნდა ჰყოლოდა თუ არა საბალეტო დასს ცალკე ადმინისტრაცია და ხელმძღვანელი და ა.შ. თითქმის ერთნალიანი ბატალიები საბოლოოდ დასრულდა და ოპერის კოლექტურმა აირჩია სამხატვრო ხელმძღვანელი – უცხოეთში მოღვაწე, ახალგაზრდა დირიჟორი, დავით კინწურაშვილი. კინწურაშვილს, მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, საინტერესო და შემოქმედებითად დატვირთული ბიოგრაფია აქვს.

დავით კინწურაშვილმა დაამთავრა თბილისის კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტი (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა). აქვე, გივი აბმაიფარაშვილთან აიმაღლა კვალიფიკაცია საორკესტრო დირიჟორის განხრით. შემდეგ სწავლა განაგრძო მიუნხენში, ასევე საორკესტრო დირიჟორის განხრით და მიენიჭა მაგისტრის ნოდება. შემდეგ ლატვიის კულტურის აკადემიაში მიენიჭა მაგისტრის ნოდება კულტურისა და მედიის მეცნიერების.

დავით კინწურაშვილმა მასტერკლასები გაიარა ისეთ დირიჟორებთან, როგორებიცაა: კურტ მაზური, დუგლას ბოსტონი, კრისტოფ პრიკი. 2003-2014 წლებში უდირიჟორა არაერთ ორკესტრს, მათ შორის, მიუნხენის სიმფონიურს, ინგოლშტადტის ქართულ კამერულს, ესენის საოპერო თეატრის, მიუნხენის ფილარმონიის ახალგაზრდულს, ბავარიის ფილარმონიის კამერულს, მიუნხენის მუსიკისა და თეატრის უმაღლესი აკადემიის, ტაფელმიუბიკ ბაროკოს (კანადა), ბად რაიხენბალის ფილარმონიულ, ააგაუერის ფილარმონიულ (შვეიცარია), ვენის სიმფონიურ (ავსტრია), ჰამბურგის სიმფონიურ ორკესტრებს.

2005-2014 წლებში დავით კინწურაშვილმა მოწვეული დირიჟორის სტატუსით თბილისის გ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში უდირიჟორა ოპერებს: „აიდა“, „ტრუბადური“, „დონ ბასკუალე“, „ბალ-მასკარადი“, „რივოლეტო“, „ჯამბაზები“, „მინდია“, „ნაბუკო“, ხოლო ქუთაისის გ. ბალანჩი-ვაძის სახელობის ოპერის სახელმწიფო თეატრში – „ლუშია დი ლამერმური“ (2007 წ.). მას უცხოეთში განხორციელებული აქვს არაერთი საინტერესო პროექტი.

ინტერვიუს უძღვება მუსიკისმცოდნე აზია ააფარიძე

მ.ჭ. – რადგან სწორედ გუშინ შესრულდა (საკონცერტო ვერსიით) „ტრავიატა“, რომელშიც შედგა ძალიან პერსპექტიული ახალგაზრდა მომღერლის, სალომე ჯი-ქიას დებიუტი ვიოლეტას პარტიით, იქნებ გაგვიჩიაროთ თქვენი შთაბეჭდილებები...

დ.კ. – ამჯერად აქცენტს გავაკეთებდი მხოლოდ პოზიტურზე, სალომე ჯი-ქიას დებიუტზე და საერთოდ იმაზე, რომ ძალიან კარგი მომღერლები გვყავს – ძალიან დიდი პოტენცია გვაქვს. ახლა, მთავარია, ამ ხალხს ხელი შევუწყოთ. სალომე ჯი-ქიამ ძალიან პოტენცია აჩვენა, მთავარი ესაა, თუმცა მას ჯერ კიდევ დიდი პრაქტიკა სჭირდება. გუნდი ყოველთვის ძალიან მომზადებულია, ორკესტრიც კარგი იყო, მაგრამ ნაკლებად. მას სჭირდება აღმრდა, რასაც წლების განმავლობაში არ აკეთებდნენ. ჩვენ გვქონდა უამრავი დრო, თუნდაც ახლა,

შენობის გარეშე როცა ვიყავით... მოწვეული დირიჟორები ორკესტრს ვერ განვითარებენ, ან ქართველი დირიჟორები, რომლებიც კონკრეტულ პროექტებს ანხორციელებენ და პროგრამებს დირიჟორობენ. ორკესტრს სჭირდება ისეთი პროგრამა, და ცხადია, რეპერტუარი, რომ ის აღიზარდოს და შეძლოს განვითარება, მისი დონე ნელ-ნელა უნდა ამაღლდეს. მარტო კარგი დირიჟორები არ არის საკმარისი, მას უნდა ჰქონდეს ხედვა, თუ როგორ უნდა განვითარდეს ორკესტრი. ცხადია, ამას ხელშეწყობა სჭირდება. აი, ეს ის გეგმაა, რომლის განხორციელებასც ვაპირებ ირკესტრთან დაკავშირებით.

მ.ჭ. – ოპერას, როგორც ვიკი, ჰიკავას მთავარი დირიჟორი. რამდენად იზიარებს ის თქვენ შეხედულებებს?

დ.კ. – ეს ეხება მთავარ დირიჟორსაც, მაგრამ ეს არაა მხოლოდ მთავარი დირიჟორის მოვალეობა. მთა-

ვარ დირიქტორთან მქონდა საუბარი ამ თემაზე და ფაქტურბრივად, ერთ ტონში ვმღერით. ამასთან დაკავშირებით მასაც აქვს კარგი იდეები. იმედი მაქვს, რომ ერთიანი ძალებით ამას განვახორციელებთ. ოპერის ორკესტრში გვყავს ძალიან კარგი მუსიკოსები. ზოგიერთი ახალგაზრდაა და არ აქვს გამოცდილება, ზოგიერთი კარგია როგორც სოლისტი, მაგრამ მათ რომ შეძლონ ერთიანი პროდუქტის შექმნა, ას, სწორედ ამას სჭირდება სურატეგია. 2007 წელს ეს სტრატეგია შევიმუშავებრუნოვალთან ერთად და უნდა განმეორციელებინა თბილისის ოპერაში. დაგონიერ კიდეც ეს პროექტი. თბილისში ჩამოვიყვანებ ჩემი მეგობარი, ბრწყინვალე ვალტორნისტი, პროფესორი გააგი, მიუნხენის უმაღლესი მუსიკალური სკოლიდან, რომელმაც იმუშავა აქ სპილენძის ჩასაბერ ჯერუფთან. ერთი კვირის განმავლობაში ყველა ბეჭნიერი იყო და ამან საოცარი შედეგი მოვგვა. მან იმხელა იმპულსები ჩადო ამ საქმეში, რომ ახლა გვყავს Georgian brass-i (მხოლოდ არა ჩვენს ორკესტრში), რომელიც მისი დაარსებულია. მაგრამ ეს უნდა განვითარებულოს, რაც არ მოხდა.

მ.ჭ. – და რა მიზეზებით შეჩერდა?

დ.კ. – არ მინდა ახლა დაკონკრეტება, არ იყო ფინანსები... არ მინდა ვიღაცებს დავაბრალო, თუმცა შეიძლება დასახელებაც. ამ პროექტისთვის გათვლილი მყავდა 17 მუსიკოსი, რომლებიც ჩემი კონტაქტებით, საკმაოდ იაფად ჩამოდიოდნენ საქართველოში და უშარმმაზარ შრომას დებდნენ. ეს რომ ასე გაზრიშებულიყო, დღეს გვექნებოდა საოცარი ორკესტრი. ჩვენ ვართ კარგი მუსიკოსები, მაგრამ გვჭირდება ევროპული გამოცდილება. მაგალითად, უნდა ვისწავლოთ ისეთი რეპერტუარი, რომელიც ორკესტრს განავითარებს. ორკესტრს ყოველთვის სჭირდება მტკიცნეულ ადგილებში ხელის შეშველება, აქამდე ეს არავის უნდოდა. აი, ეს არის მნიშვნელოვანი. პირველი მცდელობა მქონდა ევგენი მიქელაძის სახელმწიფო ორკესტრთან, როდესაც პაიდნის ორატორია „სამყაროს შექმნა“ მოვამზადე და შევასრულეთ შარშან, 2013 წლის გაზაფხულზე. მაშინ დაინახა ორკესტრმა თუ რას ნიშნავს პაიდნის დაკვრა, რა სირთულებთან გვაქვს შეხება... მინდა, რომ კიდევ უფრო გვიანდელი, ურთულესი მუსიკით მოხდეს ორკესტრის რეანიმირება. იქ არის ისეთი დაკვრის მანერა,

რომელიც ჩვენ მთელი კლასიკური რეპერტუარისთვის გვჭირდება. ჩვენ არა გვაქვს კლასიკური მუსიკის შესრულების ტრადიციები – ევროპული კლასიკური მუსიკის, ამიტომ გვჭირდება ამის სწავლა.

მ.ჭ. – ვერ დაგეთანხმებით. მართალია, ევროპულ ტრადიციებს თუ შევადარებთ, ცხადია, მასთან შედარებით ჩვენი სანმოკლეა, მაგრამ ვერც იმას ვიტვით, რომ არ გვაქვს. თითქმის საუკუნეა, ავად თუ კარგად, ჯერ კიდევ გასული საუკუნის პირველი ათწლეულებიდან, ვასრულებთ ევროპულ კლასიკურ მუსიკას და მინდა გითხრათ, დღეს უფრო დარიბია ჩვენი ორკესტრების რეპერტუარი, ვიდრე, თუნდაც 90-იან წლებამდე. თუმცა რა ტრადიცია ეს და საიდან მოდის, ეს სხვა საკითხია.

დ.კ. – დიახ, სწორედ მაგას ვგულისხმობ. როდესაც საქართველოში ჩვენ ვუკრავთ ჰაიდნს, მოცარტს, ბეთჰოვენს, ამის ტრადიციები არაა ევროპული. ჩვენ გვაქვს ტრადიციები, რომლებიც, შეიძლება ითქვას, ძველია.

მ.ჭ. – რას გულისხმობთ ტრადიციების სიძველეში, უფრო ზუსტად, მოძველებულში?

დ.კ. – საქართველოში, ყველა დიდმა დირიქორმა განათლება მიიღო რუსეთში, მოდიან რუსული სკოლიდან, რომელიც პერფექციონიზმზე გათვლილი და, რა თქმა უნდა, საოცარი სკოლაა. აღმოსავლეთ ევროპელები, ისევე, როგორც ქართველები, ძალიან ნიჭიერი ხალხია. მაგრამ, იმ პერიოდში, როდესაც ჩვენ განათლებას ვიღებდით რუსეთში, ევროპაში იყვნენ კარაიანი, ბიომი, რომლებიც მაშინ რომანტიკული სკოლით მიდიოდნენ... ჩვენ ვიცით, რომ იქმნებოდა კარაიანისეული რომანტიკული უდერადობა და ასეთმა უდერადობამ, ესთეტიკაში მთელი ევროპა აიყოლია – იყო ერთი უშარმაზარი ესთეტიკა. მიუხედავად ამისა, მაშინაც კი კრიზისი იდგა – ყველათვერი ერთნაირად უღერდა. ეს იყო უშარმაზარი ადამიანის ესთეტიკა, რომელიც ძლიერი იყო, კარგი იყო და თავზე მოახვია აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპას. დღეს ევროპაში არის სხვა მიმართულება. დღეს ვამბობთ, რომ არ არსებობს კლასიკური მუსიკის ინტერპრეტაცია, იმიტომ, რომ ჩვენ უკვე ვიცით კონკრეტულად რასთან გვაქვს საქმე. ჩვენ გვაქვს მეტი ინფორმაციასთან კონტაქტი, ხდება მეტი გამოკვლევა, რითაც უფრო ვუახლოვდებით სულიერებას, უფრო მეტი ვიცით, რა უნდოდა ბახს, რა უნდოდა ჰაიდნს, მოცარტს...

მ.ჯ. — ე.ი. თქვენ მიგაჩნიათ, რომ უფრო უახლოვდებით ავტორისეულს, ვიდრე, მაგალითად, წინა თაობების დიდი დირიჟორები? ეს კონცეფცია ერთგვარად ხომ არ უარყოფს ინტერპრეტაციის თვითმყოფობას?

დ.კ. — არა, უარყოფს როგორ... მე როდესაც კლასიკურ მუსიკას ვდირიჟორობ, ის არის ჩემი და აძსოლუტურად განსხვავდება სხვა დირიჟორის შესრულებისაგან, მაგრამ შეიძლება სკოლა ერთი იყოს. მაგალითად, ამ სკოლას, რასაც მე ვგულისხმობ, ჰქვია ძველი შესრულების მანერა, რომელსაც რამდენიმე წლის წინ გერმანიაშიც კი დასცინოდნენ. ეს წამოიწყო ჰანო ქუმმა. თავდაპირველად მას გერმანიაშიც კი გიუს უნოდებდნენ, დღეს ერთ-ერთი წამყვანი სახელია. ეს არის ის non-vibrato შესრულების მანერა, რიტორიკული შინაარსის, გამომსახველობის ფორმების წამონევა ბახთან, ჰენდელთან, ჰაიდნთან, მოკარტან, ბეთოვენთანაც კი, რომელიც მეტ გამომსახველობას გვაძლევს. ანუ, მე მუსიკის აფექტს ვაღწევ და ლამაზ ეფექტებ არ მაქვს გათვლილი. ეს უფრო დიდ შედეგს იძლევა — ამით ჩვენ მივდივართ იმ საოცარ სიმბოლიკასთან, რაც ბახს, ჰაიდნს ჰქონდა თუნდაც საოცარი იუმორი, რომელიც დაიკარგა... იუმორი კარაინთანაც კი დაიკარგა, იმიტომ, რომ მას რომანტიკული ხედვა ჰქონდა, ის ლამაზ მუსიკას ხედავდა. თუნდაც საოცარი ჩელიბი დარკე... შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ მეტი ვიცით დღეს, ვიდრე ამ უდიდესმა დირიჟორებმა. ამიტომ ვამბობთ, რომ არ არსებობს კლასიკური მუსიკის ინტერპრეტაცია, ვინაიდან ზუსტად ვიცით რა უნდოდათ მათ — კომპოზიტორებს, დღეს ამის კომფორტი გვაქვს.

მ.ჯ. — ცოტა არ იყოს ამბიციური განაცხადი ხომ არ არის?..

დ.კ. — დიახ, ამბიციური განაცხადია. ეს არის ჰანს სვაროვსკის სკოლისა და ძალიან დიდი დირიჟორების განაცხადი. დღეს სწორედ ისინი არიან წამყვანი დირიჟორები.

მ.ჯ. — თქვენ რადიონტერვიუში ისაუბრეთ კიდეც ახალ სადირიჟორო სკოლაზე, ახალ სტილისტიკაზე, „აფექტებით“, non-vibrato-თი შესრულებაზე. როგორ ხედავთ ამის რეალიზების გზას, ჩვენში შესრულების ეს მანერა უცხოა, თანაც რამდენად მიიღებს შესრულების ასეთ მანერას ქართველი მსმენელი? ამასთანავე, ოპე-

რას ჰყავს მთავარი დირიჟორი, რომლისთვისაც, ვფიქ-რობ, რომანტიკული შესრულების მანერა უფროა ახლოს.

დ.კ. — მთავარი დირიჟორი ჩემს შეხედულებებს იზიარებს, მაგრამ მთავარ დირიჟორს, როგორც ასევე მრავალ სხვა დირიჟორს, აქვს თავისი სიძლიერები. მთავარმა დირიჟორმა შეიძლება ორიენტირი აიღოს კონკრეტულ რეპერტუარზე. ასევე გაანაბილოს, გათვალისწინობრივად მაგალითად, მთავარ დირიჟორს უნდა, რომ მე მეტოდებს მოყარებული, ჰაიდნის რეპერტუარი, ვინაიდან იცის, რომ გერმანული სკოლიდან მოვდივარ. ის იტალიელია და აქცენტს იტალიურ ოპერაზე აკეთებს.

მუსიკის ისტორიიდან ჩვენ ვიცით, რომ მენდელსონმა აღმოაჩინა ბახი, მან შეასრულა „მათეს ჰაიდნი“ და ეს იყო საოცარი მოვლენა, ხალხმა აღმოაჩინა ბახი და ა.შ. მაგრამ, ჩვენ დღეს ვიცით რა შეასრულა მენდელსონმა — ფაქტობრივად, ბახის ჰაიდნის მესამედი. მან, როგორც საოცარმა მუსიკოსმა, რომანტიკოსმა, ვერ გაიგო ის სილრმები, რაც ბახში იყო — ამოიღო უამრავი რამ და აქცენტი მოახდინა ლამაზ მუსიკაზე.

მ.ჯ. — განა სილამაზეში არის რაიმე დასაძრახისი? განა სილამაზე ცუდია? ეს ხომ ღვთისაგან ბოძებული უდიდესი სიკეთე და მადლია კაცობრიობისთვის?

დ.კ. — განა სილამაზე ცუდია?.. მსმენელისთვის ეს არის ყველაფერი, მაგრამ ამის იქნით? დღეს ევროპაში, ამ ახალი სკოლის წყალღით, გვაქვს კომფორტი იმისა, რომ ვიკოდეთ ამის იქნით რა უნდოდა ბახს.

მ.ჯ. — ჩაგვითხებით, მაინც რა საფუძველი გაქვთ ასე დაზუსტებით იკოდეთ რა უნდოდა ბახს?

დ.კ. — მოგახსენებთ. დღეს ჩვენ გვაქვს უფრო მეტი ინფორმაცია, უფრო მეტ ძველ ნაშრომებთან გვაქვს კონტაქტი, უფრო მეტი ადამიანი იკვლევს ამას. ჩვენ ხელთა გვაქვს, მაგალითად, მოკარტის მამის, ლეოპოლდ მოკარტის ნაშრომი, უდიდესი სახელმძღვანელო „სავიოლინო სკოლები“, რომელიც გვასწავლის როგორ უნდა შევასრულოთ ამ ეპოქის მუსიკა. ბაროკოს მუსიკასთან მიმართებაში ჩვენი უდიდესი სახელმძღვანელოა შეტკი, რომელშიც ყველა რიტორიკულ ფორმულას ვპოულობთ და ა.შ. ამიტომ ევროპაში, როდესაც ვმუშაობთ ბაროკოს ეპოქის მუსიკაზე, არასდროს არ ვსაუბრობთ ტემპზე, დინამიურ ნიშნებზე, ნიუანსზე, იმიტომ,



თაილისის გარემონდის ფასტიაშვილის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრი. ფასადი

რომ ზუსტად ვიკით, რომ ის თავისთვად მოღის. ჩვენ ვსუბრობთ მხოლოდ იმ აფექტზე, რასაც ტექსტი გვეუბნება, ვინაიდნ ეს იყო ტექსტზე დამყარებული ეპოქა, მაგრამ ვამოდის მთელი სიმბოლიკა. ამიტომ ლამაზი მუსიკა, უზარმატარი გუნდები – ეს კარგია, მაგრამ ამის მიღმა არის ის საოცარი გამოშვახველობა, რომელიც აფექტის სახით მეტს გვეუბნება.


მ.ჭ. – მაგრამ ეს ამ გენიალურ მუსიკას სრულებითაც არ უკარგავს სილამაზეს, გამოშვახველობას, არა? ვფიქ-რობ, ერთი მეორეს სულაც არ გამორიცხავ...

დ.კ. – რა თქმა უნდა. მაგალითად, როდესაც მე ვაკეთებ სექსტაზე ნახტომს და იქ არის სიტყვა Jesus, მე ლამაზ ნახტომს კი არ ვაკეთებ, არამედ შინგანად შემძლია ის აფექტი განვიცადო, რასაც განიცდიდა მაშინ-დელი მოძღვალი, იმიტომ, რომ ეს არის ის ბედნიერება, რომელიც გამოსახული აქვს ბახს, ამას ექსკლამაციო (Exklamáció – რიტორიკული შეძახილი, გრძნობათა კულმინაციის გადმოცემის ხერხი. **მ.ჭ.**) ჰქონდა. მას ძალიან დიდი რწმენა სჭირდება.

მ.ჭ. – ცხადია, სრულიად გასაგებია. ამას ნამდვილად მოკლებული ვიყავით საბჭოთა ეპოქაში. საბჭოთა გა-

ნათლება, საბჭოთა მუსიკის ისტორია რწმენაზე ნაკლებ საუბრობდა, ნაკლებად გვასწავლიდნენ, მაგალითად, ბახისა თუ ვენის კლასიკოსთა, გნებავთ რომანტიკოსთა ცხოვრებასა და შემოქმედებაში რელიგიას, რწმენას რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა... ჩვენ გვიმაღლამდნენ იმას, რასაც უნდა მივეყვანეთ არაერთი დიდი მუსიკოსის ნაწარმოებების ჭეშმარიტ წვდომამდე...

დ.კ. – მე მქონდა ბედნიერება ექვსი წელი ვყოფილიყვავი ბრუნო ვაილთან (ის ვენის კლასიკოსთა საუკეთესო შემსრულებლად ითვლება), რომელსაც ჰქონდა ბახის საოცარი ფესტივალი კარმელში, კალიფორნია... როდესაც ის ასეთ ნაწარმოებს ხელს კიდებდა, იგი მიდიოდა კოლმარში, იზნეპამის საკურთხეველთან და კვირების განმავლობაში მასთან მედიტირებდა, რათა ის იმპელსები აეღო, რაც სჭირდებოდა შესრულებისათვის. დირიჟორი, რომელსაც შეეძლო ყველა რეპერტუარი ფურცლიდან ედირიჟორა, ის მაინც ეძიებდა... მედიტირებდა... მან მთლიანად გაიარა ჰაიდნის ბიოგრაფიული გზა – სად იყო, როდის იყო... ყველაფერი ფეხით მოიარა და გამოკვლევები დადო. დღეს ის ერთ-ერთი პირველი დირიჟორია მსოფლიოში.



მიქაელ ანგელო ბურგოსი. სიძასთის ააპალა. „ადამის შექმნა“. 1508- 1512

მ.ჯ. — რა გზით ფიქტობთ მიიყვანოთ ჩვენი ვოკალისტები, რომლებიც შესრულების ტრადიციულ მანერაზე არიან აღმდეგილნი, ამ ახალ მანერამდე? ჩვენ პირობებში, ჩვენი ვოკალისტების ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებით, ხომ არ ფიქტობთ, რომ მეტად რთული იქნება ამის განხორციელება?

დ.კ. — ვფიქტობ, მთავარია დაარწმუნო ისინი შენ სიმართლეში. როდესაც აჩვენებ — ნახეთ, რა არის აფექტი, რატომ აქვს ამას ასეთი გამომსახულობა, მაშინ ყველა-ფერი კარგად გმოდის. 2007 წელს საქართველოში გამოცდილება მივიღე, როდესაც კონსერვაციორიაში ვმუშაობდი „ჯადოსნურ ფლეიტაზე“ სტუდენტებთან. ეს იყო საოცარი გამოცდილება — ორ შემადგენლობასთან, 36 სტუდენტთან ვმუშაობდი და მახსოვს, რომ რეპერიციუზზე ჯერ მარტო სტუდენტები იყვნენ, შეძეგ კი მათი მასნავლებლებიც მოდიოდნენ. რეპერიციებმა ღია გაკვეთილების ფორმა მიღო, ანუ, მინდა ვთქვა, რომ იყო უზარმატარი მზაობა.

ქართველ მუსიკოსებთან მუშაობის მეორე გამოცდილება მივიღე, როდესაც ვამზადებდი ჰაიდნის ორატორიას „სამყაროს შექმნა“. თქვენ რომ მოისმინთ,

როგორ მოახერხა ორკესტრმა და გუნდმა, სულ რაღაც 12 რეპერიციაში, non-vibrato-თი მღერა, გამართული გერმანულით ტექსტის გამოთქმა (რიტორიკაზე ცალკე ვიმუშავე), გაოცდებით. შეძეგს მივაღწიეთ არა იმით, რომ ვკარნახობდი აქ ხმამაღლა, აქ კი ჩუმად, არამედ უბრალოდ ავუხსენი რას ამბობენ. ისინი ისეთი პროფესიონალები არიან, სწორად თუ მიაწვდი — აფექტს გაძლევნ. როდესაც ჰაიდნის ორატორიაში მივდივართ სინათლის შექმნის ეპიზოდამდე („და იქმნა სინათლე“), იქ არ შეიძლება მიუთითო 5 ფორტე, აბრი არა აქვს... ჰაიდნს ორი ფორტე უწერია, მეტს ისედაც არ წერდა პარტიტურაში, მაგრამ ზუსტად ვიცით, რომ იქ უნდა დაინგრეს ყველაფერი, ყველა შესაძლებლობა უნდა გამოიყენოს ინსტრუმენტმა და ადამიანმა. ჩვენ ვიცით, თუ როგორი იყო ვენაში ამ ნანარმოების პრემიერა — სინათლის დაბადებას ისეთი ეფექტი ჰქონდა, რომ ხალხი საოცარ ექსტაზში ჩავარდა... როდესაც ზუსტად გააგებინებ, რომ აქ არის სინათლის დაბადება, ყველაზე დიდი ეფექტი — ისინი წვდებიან ამას და ვიღებთ აფექტს.

ამგვარად, მე არ ვაძლევ რეცეპტებს, არამედ ინტელექტუალურად მივდივართ შეძეგამდე. ჰაიდნის ორა-

ტორის ამ ეპიზოდს, მე შევადარებდი ჩამქრალ, ჩაბნე-ლებულ სტადიონს, სადაც უეცრად ყველა ჩირალდანი ჩაირთვება. ეს არის სინათლის გასაოცარი დაბადება, აქ არ შეიძლება იყოს ნიუანსზე საუბარი, ჩემი აზრით, ეს შეუძლებელია.

მ.ჯ. — გასაგებია, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ შესრულების ეს მეთოდი მუსიკოსმა უნდა გაითავისოს ჯერ კი-დევ სწავლის პერიოდიდან, ჯერ კიდევ სკოლიდან. ჩვენ პირველი კლასიდან ვეჩვევით მზა რეცეპტებს, ხშირად შედამპესაც კი — აქ forte, აქ diminuendo და ა.შ. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მუსიკოსები ნამდვილად ნიჭიერნი არიან, ეს ახალი მეთოდი მაინც რთული შეიძლება აღმოჩნდეს, ყოველ შემთხვევაში, გარკვეული ნაწილისათვის მაინც.

დ.კ. — ამიტომ, ვფიქრობ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ეს მეთოდი ჩვენთან დაინტერგოს. როდესაც ინფორმაციულად მივდივართ ნაწარმოების შესრულებასთან, ბევრი რამ გვადვილდება. განსაკუთრებული პრობლემები გვაქვს ისეთი კომპოზიტორების შესრულებისას, როგორიცაა, მაგალითად, ჰენდელი. მაგრამ ამ მეთოდის ნარმატებით დანერვვის იმედს მაძლევს ჩემი ის გამოყიდვება, რომელზეც მქონდა ზემოთ საუბარი. მართალია, ძალიან ძნელია, როდესაც დირიჟორი მოდის და გეუბნება — ახლა დამკარი non-vibrato, — მუსიკისა გვეკითხება — რატომ? შენ უნდა დააჯერო იმაში, რომ ეს არის იმ აფექტისთვის, როცა სამყარო ცარიელია, როცა არაფერი არ ხდება და როდესაც ზუსტად ვიყით, რომ სოლისტის დამსახურება იყო მხოლოდ vibrato, როგორც ფერი, ეს იყო ახალი მოდა, რომელსაც მხოლოდ სოლისტი იყენებდა. ბაროკოს პორქაში ეფექტის გულისთვის იყენებდნენ ლამაზ vibrato-ს, რომელიც სხვანაირად ნარმოიქმნებოდა. დღეს რომ დავინუოთ კლასიკური და უფრო ძველი მუსიკის შესრულება ჩვენი ტრადიციული განათლებით, ძალიან ბევრ პრობლემას ნავარყებით... ჩვენ ნიჭიერებისა და ინტუიციის ხარჯზე მოვდივართ... დიახ, ვღებულობთ ლამაზ მუსიკას, მაგრამ შეიძლება უფრო მეტის მიღებაც. ხშირად ამბობენ ხოლმე საქართველოშიც და სხვაგანაც — „ეს ხომ მოცარტი არ არის?“, მაგრამ არავინ არ ამბობს იმას, თუ რა იყო, ან რა არის ის.

მ.ჯ. — მართალი გითხრათ, ამგვარ გამონათქვამების მიმართ მე ყოველთვის მაქვს პროფესიის გრძნობა. რას

ნიშნავს „ეს ხომ მოცარტი არ არის?“, განა ვინმებ იყის — რა არის მოცარტი? ეს ისევეა, როგორც ჭეშმარიტება — „რაც უფრო უღრმავდები, მით უფრო გშორდება“.

რადგან ვისუბრეთ ახალ სადირიჟორო სკოლაზე, იქნებ თრიოდ სიტყვით გვითხრათ თუ როგორ ხედავთ ქართული სადირიჟორო სკოლის მომავალს. ჩვენთან ხომ მხოლოდ საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტია, რომელიც თქვენც დაამთავრეთ.

დ.კ. — დიახ, მეც საგუნდო მაქვს დამთავრებული და მქონდა ბედნიერება ვყოფილიყავი ბ-ნი გივი აზმაიფარაშვილის მოსწავლე. მან საშუალება მომცა, რომ მედირიჟორა ცელე-რადიო ორკესტრისათვის, რაც ჩემთვის უზარმაზარი გამოყიდვება იყო. ჩემს განათლებაში უდიდესი, უბარმაზარი ღვანლი მიუძღვით ნოდარ მამისაშვილს და ეთერ მგალობლიშვილს, ასევე, რა თქმა უნდა, ავთო რევიშვილს, რომელიც მთელი ცხოვრება მამასავით მზრდიდა როგორც დირიჟორს. აი, ესენი არიან ის ადამიანები, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ სხვანაირად დამენახა პროცესები, უცხოეთში მესწავლა...

რაც შეეხება საორკესტრო დირიჟორის აღზრდის საკითხს — დიდი იმედი მაქვს, რომ ეს განხორციელდება. როგორც ვიცი, დაგვეგმილია საორკესტრო კათედრის გახსნა. კონსერვატორიის რექტორ რეზო კინაძესთან ერთად ამის ინიციატორი მეც ვარ. მართალია, კონსერვატორიას არა აქვს ამისათვის ბაზა — არ ჰყავს ორკესტრი, გვკლია ინსტრუმენტალისტები, სამაგიეროდ საქართველოში არის ბაზა — გვყავს რამოდენიმე ორკესტრი: კახიძის ორკესტრი, ე.წ. ნიკას ორკესტრი, ოპერის ორკესტრი, „Georgian Simfonieta ... საშუალების გამონახვა შეიძლება. უცხოეთში საშუალება მქონდა უდიდეს ორკესტრებთან გამევლო პრაქტიკა, ეს იყო ერთადერთი შანსი იმისათვის, რომ განათლება მიმელო.

მ.ჯ. — თქვენ აგირჩიათ თბილისის ოპერისა და ბალეტის შემოქმედებითმა კოლექტივმა და სამხატვრო ადმინისტრაციამ. გარკვეულმა ნაწილმა მხარი დაუჭირა მეორე კანდიდატს. რამდენად იქნებით თავისუფალი გადაწყვეტილებების მიღებაში იმ კოლექტივისაგან, რომელმაც აგირჩიათ? მათ ხომ ისეთივე ნარმატებით შეუძლიათ გადაგირჩიონ? ეს ხომ არ შეგზღუდავთ?

დ.კ. — არა. რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, რომ დე-

მოკრატიული პრინციპით მოხდა სამსატვრო ხელმძღვანელის არჩევა და მიხარია, რომ მე ხმათა 80% მივიღე მეორე ტურში, ანუ ძალიან დიდმა ძალამ მოინდომა, რომ მე ვყოფილიყავი სამსატვრო ხელმძღვანელი. ესაა უბარმაზარი ნდობა, რაც კიდევ უფრო დიდ პასუხისმგელობას მაკისრებს. ამიტომ ყველა შესაძლებლობა უნდა გამოვიყენო, რომ გავამართო მათი იმედები. რაც შეეხება შეტყუდვას, არა მონია პრობლემები შეგვექმნას. პრობლემა ჩნდება იქ, სადაც ერთობლივი მუშაობა არ მიმდინარეობს. ევროპაში ეს ძალიან კარგადაა რეგულირებული და ერთად მუშაობის ეს მოდელი უნდა გადმოვიტანოთ აქ.

მ.ჯ. – მაში, დავაკონკრეტებ. იყით, რა რთული და უბარმაზარი ორგანიზმია ოპერის თეატრი, რა რთულია მომღერლებთან მუშაობა?! ცხადია, ყველა მომღერალს უნდა წამყვანი პარტია იმდეროს. ეს ამბიცია, ერთი მხრივ, კარგია და ბუნებრივი, მეორე მხრივ კი ამან შეიძლება პრობლემები შეგიქმნათ – თქვენ ხომ მათ მიერ ხართ არჩეული.

დ.კ. – მართალია, ეს ასეა. მომღერლები ემოციური ხალხია, მაგრამ ასეთი რამ ვერ შემზღვდავს, იმიტომ, რომ მჯერა – თუ მათ სამართლიანად მოვექცევი, განხეტექილება არ იქნება. სხვავარად იქნება ისე, როგორც დღესაა – თეატრში მეორე პარტიების შემსრულებლები, ფაქტობრივად, არ ვყვავს. ჩვენ თუ დავიცავთ მათ უფლებებს და ბედნიერებს გავხდით იმითაც, რომ მეორე პარტიები იმდეროს, მით უფრო კლასიკურ რეპერტუარში, სადაც არ არსებობს პირველი და მეორე პარტია, ყველა პარტია უდიდესია. გნებავთ „ჯადოსნურ ფლეიტაში“, სადაც არა აქვს მნიშვნელობა მეორე სეფე იმღერებ თუ პამინას.

მ.ჯ. – სამწეხაროდ, ეგ ჩვენი სენია და ალბათ, არა შეოლოდ ჩვენი. თაგორი ამბობს: „ბალას რომ ბაობა-ბობა არ უნდა, სამყარო იმიტომაცაა დაფარული მშვენიერი მოლითო“...

თბილისის ოპერის თეატრი, რემონტის გამო, დიდი ხანია დაკეტილია. მართალია, ოპერის დასი საკონცერტო მოღვაწეობას ეწეოდა, მაგრამ ოპერების საკონცერტო შესრულება ხომ სრულიად სხვა უანრია. მე თუ მკითხავთ, ალ ბუსტანისა თუ ესტონეთის საერთაშორისო ფესტივალებში მონაწილეობა, ქართული საოპერო

ხელოვნების ნინსვლისთვის კარგია, მაგრამ არა გადამწყვეტი... ფაქტობრივად, ლამის თაობა აღიზარდა საოპერო ხელოვნებასთან ზიარების გარეშე. ეს დიდ პრობლემებს უქმნის ოპერას – როგორც დასს, ისე შემენელს. როგორ ფიქრობთ დაძლიოთ ეს პრობლემები?

დ.კ. – რაც შეეხება მსმენელს და იმას, რომ ოპერა, ფაქტობრივად, გაჩერებულია. ჩვენი საზოგადოების გარკვეული ნაწილი ოპერის გასხვას ელოდება, ამისათვის მომზადებულია და დარწმუნებული ვარ სტაბილური მსმენელი გვეყოლება, მაგრამ მათ გარდა არიან უკვე ისეთებიც, რომლებმაც ოპერა არ იციან. როგორ უნდა მოხდეს მათი მოზიდვა და ასეთ მსმენელამდე ინფორმაციის მიტანა. მე 10 წლის დირიჟორობის პრაქტიკა მაქვს როგორც უცხოებში, ისე საქართველოში, და ყოველთვის ვაკვირდებოდი ქართველებს, თუ როგორია ქართველი მსმენელი, თანაც არ მიჭირს მათ ევროპული თვალითაც შევხედო და ქართულითაც. მინდა გითხრათ, რომ ჩვენ არ ვვაჯვს ისეთი სირთულეები, როგორიცა აქვს ევროპას. იქ მენეჯმენტის და მარკეტინგის სამსახურები ისე ინტენსიურად მუშაობენ, რომ იძულებულები არიან ყველანაირი მეთოდით, ყველანაირი მოდელით მოზიდონ მსმენელი. ის არის მხოლოდ მოგებაზე ორიენტირებული სამყარო, ანუ ყველა პროდუქტი, რაც იდება, მხოლოდ და მხოლოდ ერთი მიზნით – მეტი შემოსავალი. აქედან გამომდინარე მუსიკამ დაკარგა თავისი ხარისხი. მაგრამ ქართველი ადამიანი მარკეტინგით გადატვირთული არ არის, ქართველი ადამიანის თეატრში მოყვანა ძალიან ადვილია. როდესაც ჩვენ მარკეტინგის „იარაღებით“ მოვიყვანთ მათ თეატრში და როდესაც მათ სიმართლეს შევთავაზებთ, გავითვალისწინებთ თითოეულ ასაკობრივ ჯგუფს, მათ შორის, ბავშვებსაც დავაინტერესებთ და შევთავაზებთ მრავალფეროვან პროგრამას, დარწმუნებული ვარ, ჩვენ მათ ისე „დაიიჭვერთ“, რომ ისინი ჩვენიანები გახდებიან. ამ მიმართულებით არსებობს უამრავი მოდელი, რომელიც საქართველოში ჯერ არ განხორციელებულა. ეს არის სწორედ ის ევროპული გამოცდილება, რომელიც მე მინდა აქ ჩამოვიტანო.

მ.ჯ. – რამდენადაც ვიცი, თქვენ კულტურის მენეჯმენტიც დაამთავრეთ?

დ.კ. – დიახ, მე როდესაც დავამთავრე მიუწენის



დავით აიცხავვილი

საორკესტრო-სადირიჟორო ფაკულტეტი, შემდეგ პემბურგში დავამთავრე ასევე საორკესტრო-სადირიჟორო, აღმოვჩნდი დილემის წინაშე. როდესაც გასაუბრებები მქონდა ორკესტრებთან, რომლებსაც ფესტივალები, უამრავი სხვა პროექტებიც ჰქონდათ და გავიმარჯვე კონკურსში, ბოლო ტურში შემეცითხნენ მარკეტინგის სტრატეგიას – თუ როგორ გავაკეთებ მეტ ფულს, როგორ მოვიწვევ მომლერლებს, რა ელირება, რომელ დარბაზებში გამოვლენ, რომელ სააგენტოებთან მაქვს კონტაქტები, როგორ ვიცი ეს სფერო. მინდა გითხრათ, რომ მე მქონდა კომფორტი ვყოფილიყავი ყველანაირად უზრუნველყოფილი სტუდენტი და მთელი ეს წლები მუსიკას დავუთმე, უცებ აღმოვჩნდი იმის წინაშე, რომ უი, ასეთი დეტალები თურმე არ ვიცი. ეს იყო იმის იმპულსი, რომ ეს დარგიც შემესწავლა. მოულოდნელად აღმოვჩნდი სრულიად სხვა სფეროში. ეს იყო მეცნიერული, უნივერსიტეტის ტიპის სწავლება. ცხადია, ძნელი იყო ჩემთვის ისეთი საგნების მომზადება, როგორიცაა მრეწველობა, ფინანსები, იურიდიული საკითხები, ტექ-

ნიკური საგნები, მაგრამ იმდენად მინდოდა ეს სფერო შემესწავლა, რომ ორი წლის განმავლობაში დავწერე 38 სამეცნიერო ნაშრომი. სამეცნიერო ნაშრომი როგორ იქნერებოდა ის არ ვიცოდი, მაგრამ იქ იმდენად დიდი საშუალებები იყო, იმდენად შესანიშნავი ადამიანები გვასწავლიდნენ – საოცარი კადრები, რომ ნამდვილად გამიმართლა. შემდეგ იქ დავამთავრე მაგისტრატურა.

მჭ. – ფინანსები, უფრო სწორედ უფინანსობა, აი, ეს არის ნამდვილად ქართული კულტურის პრობლემა...

დ.კ. – ამ პერიოდში სულ ვუყურებდი საქართველოს, ამდენ პროექტს როცა ვხედავდი, ვფიქრობდი თუ რას გავაკეთებდი საქართველოში. პეპბურგის კონსერვატორიაში ვაკეთებდი პროექტს ბავშვებისათვის, „ყველა ბავშვს ოპერა“ – იყო ასეთი პროექტი. ამ პროექტმა გაიმარჯვა როგორც წლის საუკეთესო პროექტმა. ვსწავლობდით თუ როგორ უნდა ვვემუშავა ახალ თაობასთან, თუ როგორ მუშაობს გერმანია ამ საკითხებზე, როგორ ზრდის მსმენელს.

მჭ. – როგორ ზრდის?

დ.ჭ. — აკეთებს მათთვის ყველაფერს, უზარმაპარ იმ-
ჰულსებს, ფინანსებს, პედაგოგურ ძალებს დებს ამაში.
საოცარი პროექტები კეთდება. მაგალითად, იმ პროექ-
ტებიდან, რომელსაც მე ვაკეთებდი, გავხსენებდა „ჯა-
დოსნურ ფლეიტას“, რომელიც გამიჩნეული იყო ყველა
ასაკისათვის. ჩვენ ვიცით, რომ ეს ისეთი ოპერაა, რომე-
ლიც შევვიძლია ყველა ასაკს შევთავაზოთ, ამიტომაც,
თუნდაც კლასიკურ დადგმებზე ყველა დადის.

მ.ჭ. — სწორედ ასეა. ინგმარ ბერგმანის ცნობილ
ეკრანიზაციაში, გახსოვთ, ალბათ, რა გენიალურადაა
უვერტურის ვიზუალური მხარე გადაწყვეტილი. რეი-
სორი ახლო პლანით გვაჩვენებს სხვადასხვა ასაკისა თუ
ჰაბიტუსის მქონე ადამიანების სახეებს, მათ თვალებს,
ემოციებს, იმას, თუ როგორ იპყრობს ეს გენიალური მუ-
სიკა თითოეულ მათგანს და ყველას ერთად.

დ.ჭ. — დიახ, ასეა. ბავშვი ღებულობს ბელაპარს, მოზ-
რდილი ასაკის ადამიანი კი — ფილოსოფიას. მაგრამ ეს
კეთდებოდა ისე, რომ 2 წლიდან 4 წლამდე, 4 წლიდან
8 წლამდე და შემდეგ „ჯადოსნურ ფლეიტას“ ასრულებ-
დნენ ბავშვები (სამ ეტაპად). თითოეულ ბავშვს შეეძლო
ეთქვა, რომ მე ვიმღერე, ან მე დავუკარი დღეს „ჯადოს-
ნურ ფლეიტაში“. რა თქმა უნდა, ეს იყო შეკვეცილი, ბავ-
შვებზე ორიენტირებული მოდელი, მაგრამ, როდესაც ამ
პროექტებს სახელმწიფოს სთავაზობენ, დიდი დაინტე-
რესებაა მათი მხრიდან და ფინანსებსაც შოულობენ.

მ.ჭ. — თუ იცით, რა რთული მდგომარეობაა დღეს
სამუსიკო გნოათლების კუთხით საქართველოში? ვფიქ-
რობ, თუ ასე კონცეპტუალურად, კომპლექსურად არ
მივუდგებით საკითხს, მხოლოდ სკოლების გახსნა საქ-
მეს ვერ უშველის.

დ.ჭ. — დიახ, გეთანხმებით. ჩემი ნაშრომი, რაც ჰამ-
ბურგში და რიგაში დავიცავი, საქართველოს უკავშირდე-
ბა. რადგანაც მე კარლ ორფის მუსიკის, ლიზალორას
კარგად ვიცნობდი და ვმეგობრობდი მასთან (საოცარი
ქალი, რომელიც ბევრად ახალგაზრდა მოიყვანა ორფმა
და ზუსტად ორი წელია, რაც გარდაიცვალა), ამან სა-
შუალება მოგვცა ჩამოგვეყვანა ორფის პროფესორები
და წლების განმავლობაში გადავვემზადებინა ქართვე-
ლი პედაგოგები. რუსთავში ორფის სახელობის სკოლაც
კი არსებობს. არაჩვეულებრივი პედაგოგები ჩამოვყავ-
და. ისინი მუშაობდნენ ბავშვებთან, პედაგოგებთან, შემ-

დეგ კი მივდიოდით უნარშეზღუდულ ბავშვებთან. რო-
გორ ვმუშაობდით ბრძებთან, სხვა დაავადებების მქონე
უნარშეზღუდულ ბავშვებთან, ეს მართლაც გასაოცარი
იყო. მართლაც, არაჩვეულებრივი პედაგოგიკაა.

მ.ჭ. — რას იტყვით საბალეტო დაზე, რომელსაც
ახალი კანონმდებლობით ცალკე სამხატვრო ხელმძღ-
ვანები არ ჰყავს. რამდენად მართებულად მიგმნიათ
ეს, გაამართლებს ასეთი სტრუქტურა? როგორ ხედავთ
თქვენ ურთიერთობას საბალეტო კოლექტივთან?

დ.ჭ. — აქამდე ამ პროცესებს ვაკვირდებოდი რო-
გორც მსმენელი და მაყურებელი. ახლა ამ პროცესებში,
საორგანიზაციი სფეროში ჩავიხედე უფრო ღრმად, შევ-
ხვდი ბალეტის ადმინისტრაციას, რომელიც ჯერჯერო-
ბით ცალკეა. ვფიქრობ, უნდა გავერთიანდეთ და ერთად
ვიყოთ.

მ.ჭ. — ევროპაში როგორაა? რამდენადაც ვიცი, ბა-
ლეტს, რომელიც თავის მხრივ უზარმაზარი ორგანიზმია,
თავისი ხელმძღვანელობა და ადმინისტრაცია ჰყავს.

დ.ჭ. — იცით, რამოდენიმე ტრის მოდელი არსებობს. მე უფრო გერმანული ტრის მოდელები მომწონს. ამ მო-
დელის დამსახურება ისაა, რომ მათ ჰყავთ ადამიანები,
რომლებიც ხელს უწყობენ ხელოვანებს თავიანთ რე-
პერერუაზე იზრუნონ. არ არსებობს, რომ დირიქორმა,
ცნობილმა მუსიკოსმა ან რეჟისორმა გადაწყვეტილე-
ბა მიიღოს ერთპიროვნულად ბალეტის რეპერტუაზე
და ა.შ. ჩვენ მიმართულება ისეთი უნდა ავილოთ, რომ
ერთად მუშაობა დავიწყოთ. ჩვენ გვყავს ნინო ანანაშ-
ვილი, უნდა გამოვიყენოთ მისი ყველა შესაძლებლობა

— პროფესიონალიზმი, გამოცდილება და სხვ. ამიტომ
ვამბობ, გარედან ვუყურებდი-მეთქი პროცესებს; საბა-
ლეტო დაგმებზე დარბაზები სავსე გვაქვს, ჩვენ გვაქვს
სააბონემენტო სისტემა ბალეტში, გვყავს ბალეტის მე-
გობართა წრე, ანუ ბალეტი აქტიურობს საქართველოში
და ეს აქტიურობა რაღაც გარემოებების დამსახურებაა.
ამდენი ხანი, როდესაც ჩვენ გარეთ ვიყავით, რა თქმა
უნდა, მოხდა დამორება, რასაც ახლა ვხედავთ, მაგრამ
ჩვენი თეატრი, თვითონ შენობა და ერთობლივი მუშაო-
ბა უფრო გაგვართიანებს. ურთიერთობები დალაგებუ-
ლი გვექნება — რა ეკუთვნის კონკრეტულად ბალეტს,
რა არის მათთვის სპეციფიკური, რომლის მართვაში
გვეყოლება მხოლოდ ბალეტისთვის გაკუთვნილი სპე-

ციალისტები. მაგალითად, ტექნიკური საკითხები ისეთია ბალეტში, რომელიც სრულიად განსხვავდება ოპერისა-გან. ახლახნა იმდენად პოზიტური შეხვედრა გვქონდა, რომ იმედი მაქს ყველაფერი საკეთესოდ იქნება.

მ.ჭ. — ეყოლება თუ არა ოპერისა და ბალეტის თე-ატრს მთავარი რეჟისორი, მთავარი მხატვარი და ვის ხე-დავთ ამ თანამდებობებებს? როგორ და რა პრინციპით მოხდება მათი შერჩევა?

დ.კ. — ჩვენ გვაქს გამოცდილება და აქ მე ისევ და ისევ ვეულისხმობ საკუთარ გამოცდილებას, რომელიც ევროპულია. მიმართა, რომ იდეალურ შემთხვევაში არ უნდა გვყავდეს მთავარი რეჟისორი და მთავარი მხატ-ვარი. იმისათვის, რომ ჩვენ მრავალფეროვანი რეპერ-ტუარი განვავითაროთ, მინდა, რომ ყველას — ახალგაზ-რდასაც და ძალიან ცნობილსაც — საშუალება ჰქონდეს მონაწილეობა მიღოს კონკურსში, ან წარმოადგინოს თავისი ხედვა და ა.შ. კონკრეტულ პროექტზე გვეყოლე-ბა კონკრეტული ჯგუფი, ვფიქრობ, ასე უფრო დემო-რატიულები ვიქებით. ანუ, კონკურსის მოდელით მოხ-დება რეჟისორისა და მხატვრის შერჩევა. ამ კონკურსში საბოლოო სიტყვა ჩვენ გვექნება.

მ.ჭ. — ეს ბალეტსაც ეხება?

დ.კ. — დიახ, იმიტომ, რომ საბოლოო პროდუქტზე პასუხისმგებელნი ვართ ჩვენ.

მ.ჭ. — ოპერას ჰყავს მთავარი დირიჟორი, მაგრამ ეს ხომ სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ყველა პროექტს მარტო ერთი დირიჟორი ეყოლება? იმის თქმა მინდა, რომ მთავარი რეჟისორი თუ მხატვარი, არ გამორიცხავს შერჩევის პრინციპს და ადრე ასევ იყო.

დ.კ. — რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს, მაგრამ ქარ-თული გამოცდილებით ვიტყოდი, რომ არ ღირს, თუმცა ეს მხოლოდ ემოციური შეფასება. მართალია, შეიძლე-ბა ეს მოდელიც... მაგალითად, კიოლნს ჰყავს ორივე, მაგრამ იქ სხვანაირად არის დაცული თითოეული ხე-ლოვანი. მე რომ დავდგა დღეს თანამედროვე ოპერა, მაგალითად, ლიგეტი, მე არ მინდა იმავე რეჟისორმა დადგას ის, ვინც „აბესალომ და ეთერი“ დადგა და პი-რიქით. შეიძლება გვყავდეს ადამიანი, რომელიც ორი-ვე შემთხვევაში საინტერესო იქნება, მაგრამ ჩემი სურ-ვილია, რომ განსხვავებულად აზროვნებდეს ადამიანი, რომელიც თანამედროვე მუსიკას შექება. ასეთვე მრა-

ვალფუროვანი იქნება სამხატვრო მხარეც. რაც შექება დირიჟორებს, იქნება მოწვეული დირიჟორები. მაქსიმა-ლურად ხელს შევუწყობთ ახალგაზრდა დირიჟორებს. ამ შემთხვევაში ჩვენ არ ვრო ევროპული მოდელის, სადაც ყავთ მთავარი დირიჟორი და კაპელმასისერების სისტემა, ჩვენ გვაქს კონცერტმასისერების სისტემა და ამიტომ მოწვეულ დირიჟორებთან ერთად, შეგვიძლია გვყავდეს საპატიო დირიჟორი. ამას ცოტა ხანში გა-ვაცხადებ თუ ვინ იქნება იგი.

მ.ჭ. — იქნება ექსკლუზივის სახით ჩვენ გვითხრათ, ვინ იქნება საპატიო დირიჟორი?


დ.კ. — პრინციპში, რატომაც არა! ზაზა აზმაიფარაშ-ვილი — მინდა რომ იყოს ოპერის საპატიო დირიჟორი. მინდა ხალხმა იყოდეს, რომ ეს ძალზედ საპატიო სტა-ტუსია, და ეს სტატუსი აქვთ ძალიან დიდ დირიჟორებს, ბარენბოიმს, მაგალითად და სხვ. ჩვენ ამაში სამინისტ-როს მხარდაჭერაც გვჭირდება.

მ.ჭ. — მიხარია. დასანანია, რომ ისეთი პროფესიონა-ლი, როგორიც ზაზა აზმაიფარაშვილია, ფაქტობრივად, ლამის უმუშევარი იყო.

რას ფიქრობთ რეპერტუარზე? იყო დრო, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრს საკმაოდ მრავალფერო-ვანი რეპერტუარი ჰქონდა, თუმცა დღეს რეპერტუარზე, მით უფრო, მრავალფეროვანზე, ძნელია საუბარი.

დ.კ. — ეს არის ერთ-ერთი პუნქტი, რაზეც მე ჩემ საარ-ჩევნო პროგრამაშიც მქონდა ყურადღება გამახვილებუ-ლი. ჯერ ვისაუბრებ ორკესტრზე. ჩვენ უნდა დაგვერქვას არა მარტო საოპერო თეატრის, არამედ, საოპერო-სა-კონცერტო ორკესტრი, რათა ჩვენ მუსიკოსს საშუალება ჰქონდეს დაუკრას საკონცერტო რეპერტუარი, იმიტომ, რომ ჩვენ ბევრი ვალდებულებები გვაქვს: დღესასწაუ-ლები, სამთავრობო ღონისძიებები თუ სხვ. ამას ვარდა, ჩვენ სიმფონიურ რეპერტუარზეც უნდა ვიზრუნოთ. ამის შესანიშნავი მაგალითია ვენის მოდელი — ორკესტრი უკრავს საკონცერტო და საოპერო ვარიანტს, ამიტომაც ოდნავ უკეთესია ვიდრე, მაგალითად, ბერლინის.

აქვენტი უნდა გაკეთდეს ფართო რეპერტუარზე, მათ შორის, კამერულ მუსიკაზეც, რადგანაც ის სხვა მიმარ-თულებებზე დამყარებული, ბევრად უფრო რთულია... ძალიან დიდ როლს თამაშობს მუსიკოსის აღზრდაში, მის მოტივაციაში. რაც შექება საოპერო რეპერტუარს,



თაბილისის გაძარია ფალიავილის სახ. სახელმიწოდ აკადემიური თავაზი. ინტერიერი


მე პირადად ვარ ვაგნერიანელი. ძალიან დიდი სურვილი მაქეს რეპერტუარი ვავზარდოთ, კლასიკური რეპერტუარი, არც ვაგნერი, არც შერაუსი არ უნდა იყოს ძალიან შორეული მომავალი; არ უნდა გვეშმოდეს ამ სახელების, არ უნდა ვიყოთ შეზღუდულები ამ მიმართულებით. ჩვენ არ გვაქვს ენის ბარიერი იუალიურში, ფრანგულ-ში, დარწმუნებული ვარ, არ გვექნება არც გერმანულში. გვექნება რუსული რეპერტუარიც.

მ.ჯ. — ჩვენ გვახსოვს ვაგნერის, შტრაუსის შესანიშნავი სპექტაკლები თბილისის ოპერა თეატრში...

რას იყვით ქართულ რეპერტუარზე, კლასიკურ ოპერებსა თუ ბალეტების (რომელმაც ჭაბუკიანის პერიოდში მსოფლიო მოიარა) განახლებულ დადგმებზე? „აბესალომი“ ლამის 30 წელია არ განახლებულა. თითქოს უნდოდათ „აბესალომის“ დადგმა სრული ვერსიით, ანუ 5 მოქმედება 6 სურათად, ცხადია, ბელიარ ეშმაკის სცენის ჩათვლით. ოპერა თავისი მეგობრისა და შესანიშნავი ქართველი მოღვაწის, მწერლის, ილია ზურაბიშვი-

ლის რჩევით, საკუთარი შეხედულებისამებრ შეამცირა დიდმა ზაქარიამ. აზრი იმის თაობაზე, რომ ცენტურამ აიძულა ფალიამშვილი ამოედო ეშმაკის სცენა, მცდარია.. როგორ უყურებთ ამ საკითხს? ცხადია, ოპერის თეატრი „აბესალომით“ გაიხსნება. რომელი ვერსიით აპირებთ დადგმას, ეს განახლებული დადგმა იქნება, თუ?

დ.კ. — „აბესალომი“ ეს იმდენად დიდი მოვლენაა, რომ აյ მხოლოდ ერთი ადამიანის, გწებავთ მთელი ოპერის თეატრის შეხედულება კი არა, კიდევ უფრო მეტი უნდა გავითვალისწინოთ — ალბათ, მთელი საზოგადოების შეხედულება. თუ რომელი ვერსიით უნდა დაიდგას „აბესალომი“, ამისათვის უნდა შეიქმნას კომისია, რომელიც იმუშავებს ამაზე. მე არ მინდა, როგორც მუსიკოსმა, ერთპიროვნული გადაწყვეტილება მივიღო, ან თუნდაც რამოდენმე ადამიანმა. ვიდრე ეს საკითხი გადაწყდება, სერიოზული ნაშრომი უნდა დავდოთ. ეს არ იქნება დროში განელილი პროცესი და იმედი გვაქვს, რომ საუკეთესო შედეგამდე მივალთ. ქართული კლასიკური



სიცოგო ქორელაძე. თაგილისის ოპერის თეატრის საზიანო ფარდა. 1960

ოპერის დადგმა დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს. რა თქმა უნდა, ეს უნდა იყოს ახალი დადგმა და უნდა იყოს ამისათვის ჯანსაღი კონკურსის საშუალება.

მ.ჭ. — მინდა ქართულ რეპერტუარზეც გვითხოთ. ქართული ოპერები საერთოდ აღარ იდგმება, მაგალითად, თაქთაქიშვილის „მინდია“, რომელიც ოპერის რეპერტუარში მრავალი წელი იყო, სხვაზე რომ აღარაფერი ვთქვა. აქვე ჩაგეკითხებით, რას ფიქრობთ თანამედროვე ქართული ოპერის დადგმებზე? როგორ უყურებთ თანამედროვე ნანარმობების დადგმის საკითხს, რამდენად აქვს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრს ამის რესურსები?

დ.კ. — ჩვენ გვყავს შესანიშნავი თანამედროვე კომპოზიტორები და მე დიდი იმედი მაქანი თანამშრომლობის. ყველა შანსი უნდა მიეცეთ მათ, რომ მოსინჯონ თავისი თავი ამ უანრში.

მ.ჭ. — არის ასეთი დამოკიდებულება, რომ ოპერისა და ბალეტის თეატრი ვერ გახდება ექსპერიმენტული

სცენა. თუმცა, ასე რომ გვემსჯელა წინა ათწლეულებში, დღეს ქართული რეპერტუარი არ გვექნებოდა. ცხადია, უნდა იყოს სამხატვრო საბჭო, ახალი ნაწარმოებები უნდა განხილებოდეს პროფესიონალთა მიერ.

დ.კ. — უნდა გავითვალისწინოთ რა მდგომარეობაში ვართ, რა მსმენელი გვყავს. ვიცით, რომ თანამედროვე მუსიკას ძალზე განსხვავებულად უყურებენ. მე შემიძლია ბავარიის მაგალითი მოვიყვანო, სადაც თანამედროვე მუსიკას ძალიან უჭირს, იგივე ჰამბურგში. ბერლინში შედარებით უკეთესი მდგომარეობაა, ისმენენ.

მ.ჭ. — ხომ შეიძლება გაკეთდეს ექსპერიმენტული სცენა, რომელზეც თუ გაამართლებს ნაწარმოები, იმ შემთხვევაში გაიტანოთ დიდ სცენაზე?

დ.კ. — რა თქმა უნდა, შეიძლება.

მ.ჭ. — მნიშვნელოვანია, რომ თქვენ ფიქრობთ და გაქვთ მზაობა ამისათვის.

როგორ უყურებთ კლასიკის ულტრათანამედროვე ინტერპრეტაციებს (მაგალითად, გერმანიაში დაიდგა



თბილისის გარდა არა ფალიავილის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრი. ინტერიერი

„ევგენი ონეგინი“, სადაც ონეგინი და ლენსკი ჰომოსექსუალები არიან). მიგარჩიათ თუ არა, რომ თანამედროვე რეალობა მასალისადმი ახალებურ მიღვომებს ითხოვს? ანუ ახალი ტიპის მსმენელს, რომელიც კომპიუტერით იკვებება, ახალი ესთეტიკა სჭირდება?

დ.კ. — ძალიან კარგი კითხვაა. ჩემი უკხოეთში ყოფნის პერიოდში, მუდამ ვაკვირდებოდი ამ პროცესებს. ფაქტობრივად, ჩვენ ჯერ ეს კომფორტი არ ვქმნია, არ შევხებივართ ამას. როგორც ვიცი, არ ყოფილა სკანდალები. ამ საკითხს როგორც მენეჯერმა რომ შევხედო, მიმართა, რომ ასეთ შემთხვევებში მხოლოდ და მხოლოდ მსმენელზე ხდება ორიენტრება, მეტი მოგების მისაღებად. ეს მოგება არ არის მხოლოდ ფინანსური — დიდ მოგებაზე აქ არაა საუბარი. მათი მიზანია სავსე დარბაზები, ოპერის პოპულარიზაცია და შემდეგ ფინანსები.

მ.ჭ. — ანუ, სკანდალი პიარის მძღავრი საშუალება გახდა.

დ.კ. — დიახ. ახლა, ბოლო მონაცემებით უკეთესი მდგომარეობაა. ეს იყო ბოლო 5 წლის განმავლობაში. თეატრში მოვიდნენ კინორეჟისორები და იყო ერთგვარი მოდა — მაქსიმალური სკანდალი, რამაც ძალიან ცუდ შედეგებამდე მიიყვანა საოპერო თეატრები — სკანდალიდან სკანდალამდე მიდიოდა საქმე. ხელოვნება, ფაქტობრივად, მეორე პლანზე გადავიდა. ერთ-ერთი ყველაზე დიდი სკანდალის ავტორი იყო საოკარი რეჟისორი ბარრი კოსკი (ბერლინის კომიკური ოპერის მთავარი რეჟისორია), რომელსაც ახლახან წლის საუკეთესო რეჟისორის წოდება მიენიჭა. მე მქონდა დავალება ბერლინში, რომ მისი ხელდასხმა მომემზადებინა. ანუ მარკეტინგის მთელი სტრატეგია, რატომ მოვა მაყურებელი კომიკურ ოპერაში. ესაა ერთადერთი რეჟისორი, რომლის პროდუქტებზე არც მომინდებოდა შესვლა, იმიტომ, რომ მის სპექტაკლებში ყველა ადამიანური თვისება დაუცველია. მან თქვა, რომ მე ვარ ცისფერი და მე გასწავლით რა არის ეს. მისი ჰირით გაგნერის და მოცარტის



თბილისის გარემონა ფალიაზვილის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრი. ფასაძი

ყველა პერსონაჟი არის ან ტრანსვისისტი ან ჰომოსექსუალი. შედეგად გვაქვს ის, რომ ის წლის საუკეთესო რეჟისორია, კომიკურ თაქტის ბილეთის შოვნა წარმოუდგენელია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ის უმაღლესი დონის პროფესიონალია.

მ.ჭ. – როგორც მენეჯერს პიარის ეს მეთოდი მისაღებად მიგაჩნიათ?

დ.კ. – როგორც მენეჯერი ვიღებ და მომწონს, მაგრამ როგორც მუსიკოსი მთლიანად ვაკრიტიკებ. ამიტომაც, როდესაც ჰამბურგში დავამთავრე ეს ფაკულტეტი ვთქვი, რომ მე არასოდეს ვიმუშავებ მენეჯერად. ის, რასაც მენეჯერი აკეთებენ ევროპაში, ეს არის სრულიად საწინააღმდევო მუსიკისა. შედეგად მივიღეთ ბაიროითის წლევანდელი სეზონი, რომელიც, ჩემი აზრით, იყო ვაგნერის ასოლუტური დაღუპვა. კატარინა ვაგნერმა შემოგვთავაზა ისეთი სიახლეები, რომელმაც სრულიად დააშორა თავის დიდ ბაბუას. იქ აღარაფერი იყო შემორჩენილი ვაგნერის ლამაზი მუსიკის გარდა. მოხდა გაუკხოება. ეს უბარმაზარი კულტურა არავის აღარ აინტერესებს, არის სულიერი შიმშილი. თუმცა უკანასკნელ

ხანებში მოხდა სერიოზული გაერთიანებები, ერთ-ერთში მეც ვარ ჩართული. ამ გაერთიანებების მიზანია აღვადგინოთ ძეგლი, ტრადიციული, ხოლო თანამედროვე კი დავდგათ თანამედროვედ. მე მივესალმები, მაგალითად, ჰენდელის დადგმებს, რომლებსაც თანამედროვე მინი-მალისტური ხერხებით დგამენ. შესანიშნავი დადგმებია, მაგრამ, როგორც უკვე აღვინიშნე, უმეტესობა ახალი დადგმებისა სკანდალზე გათვლილი, თუმცა საოცარი ხარისხის დადგმებია. მე ვნახე პაატა ბურჭულაძე როგორ მდერნდა „ხოვანშჩინაში“, აღვფრთოვანდი – როგორ თამაშობს, აღვმტოთდი – რას თამაშობს. თამარ ივერი მონანილუობდა „ევგენი რევენის“ იმ გამაურებულ მიუნხენის დადგმაში, თქვენ რომ ახსენეთ ზემოთ. ვფიქრობ, ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ქართველი ადამიანი, ქართული ტრადიციები, რელიგია, საზოგადოდ, ყველაფერი. რომ ვიყოთ მარტო მოგებაზე ორიენტირებული პატარა თეატრი, მესამე, მეოთხე, ასეთი ექსპერიმენტები, კიდევ შესაძლებელია დაგვეშვა, მაგრამ ჩვენ უბარმაზარი პასუხისმგებლობა გვაკისრია. თანაც, არც გვჭირდება ასეთი ექსპერიმენტები, რადგანაც

ხალით მონატრებულია ოპერას. მგონია, რომ კარგი ხარისხის კლასიკური დადგმებითაც გავამართლებთ.

მ.ჯ. — უკვე გითხეთ ქართულ რეპერტუარზე ოპერაში, რას იტყოდით ამ კუთხით ბალეტზე, ქართული ბალეტები ასევე ათწლეულებია არ დადგმულა. ქართული ბალეტებისა თუ ოპერების აულერება, ჩემი აზრით, დიდი სტიმული იქნება ქართველი კომპოზიტორებისათვის, იქნება ეს გახდეს კიდევ სანინდარი იმ კრიზისის დაძლევისა, რომელიც შეიმჩნევა ქართულ საკომპოზიტორო სკოლაში.

დ.კ. — რა თქმა უნდა, ჩვენ ვფიქრობთ ამ კუთხითაც. დაგეგმილია დავით ოორაძის „გორდას“ აღდგენა.

მ.ჯ. — დღეს სამყარო გახსნილია. ყველაფერს ორი მხარე აქვს... როგორ ფიქრობთ მოიზიდოთ და საქართველოში „დააკავოთ“ მომღერლები, რომლებსაც უკეთეს პირობებს სთავაზობენ უცხოეთში. მსოფლიოში მოფენილ ქართველ საოპერო მომღერლებთან ურთიერთობას აღბათ აპირებთ?

დ.კ. — ჩვენთვის რატომ არ სცალიათ — ჩვენ ვერ ვთავაზობთ ისეთ აწყობილ სტრუქტურას, როგორც უცხოეთში აქვთ, ვერ ვთავაზობთ უკეთეს პირობებს, ვერ ვუდებთ ხელშეკრულებებს, სააგენტო არ ვვყავს და ისინი აქ დაუცველები არიან. ჩვენ უნდა გავუშვათ უცხოეთში და ხელი შევუწყოთ განათლების მიღებაში, კარიერულ წინსვლაში, მაგრამ მერე, უნდა შევუშმაოთ პირობები. ვფიქრობ, რომ ისეთი დიდი პრობლემა ფინანსურში კი არაა, არამედ საორგანიზაციის საკითხებში. ჩვენც თუ ისე მოვექცევით მომღერალს, როგორც უცხოური სააგენტო ექცევა, მაშინ ყველაფერი გაადვილდება. ქართველი მომღერლები სიამოვნებით ჩამოდიან საქართველოში.

მ.ჯ. — დიახ, მაგრამ საქართველოს საკმაოდ რთული კონკორდი მდგომარეობიდან გამომდინარე, მსმენელისთვის ნარმოუდგენელია იმ ფასის გადახდა, რაც დირს ბილეთები ასეთ კონკერტებზე.

დ.კ. — როდესაც დიდი მომღერლები ჩამოდიოდნენ, გათვლა იყო აღბათ იმაზე, რომ რაც უფრო მეტი ბილეთი გაიყიდება, მეტი შემოსავალი იქნება. ასეთი რამ არ უნდა არსებოდეს, იმიტომ, რომ ყველამ იყოს — რაც არ უნდა საოცარი თეატრი არსებოდდეს, შემოსავლების 10%-მდეც კი ვერ ავალთ შემოსული თანხებით. ფინან-

სები არ უნდა იყოს პრიორიტეტი. თუმცა უნდა ვწახოთ რა შანსები გვექნება ამ მხრივ. ევროპაში ეს კარგად რეგულირდება. მართალია, ბაზარი თავისუფალია, მაგრამ იქაც რეგულაციები არსებობს. ბაიროითის შარშანდელ სეზონზე 1 ბილეთი 7 800 ევრო ღირდა, მარტი „ბიგჭრილეზე“ ხომ არ ნავიდოდა, სულ კი 25 000 ევრო მჭირდებოდა. დამაშვიდა იმან, რომ ბავარიაში, ფეხბურთის ბილეთი 15 000 ევრო ღირს, ხალხი ფულით სავსე ჩემოდნებით მოდის. ჰოდა, ვიფაქრე, თუ ფეხბურთის მატრიზე იხდიან ამდენს, მაშინ ოპერის თეატრში ბილეთები უფრო მეტიც უნდა ღირდეს-მეთქი.

მ.ჯ. — იმათი ანაზღაურება სწვდება ასეთ თანხებს, იქ სხვა რეალობაა. სამწუხაროდ, ჩვენ შორს ვართ ასეთი შემოსავლებისაგან, საქართველოს უდიდეს ნაწილს სიბმრადაც კი არ უნახავს ეს თანხა, არამცუ ბილეთებში გადაიხადონ. რა თქმა უნდა, თეატრის ბილეთი ძვირი უნდა ღირდეს კიდევ, უამრავი ადამიანის უზარმაზარი შრომა, სნავლა, პროფესიონალიზმი დევს ყოველ სპეციალიში, მაგრამ მოსახლეობას უბრალოდ არა აქვს შესაძლებლობები. ესაა და ეს.

დ.კ. — დიახ, ეგრეა... ვფიქრობ, მაქსიმალურად გავითვალიწინო ჩვენი რეალობა.

მ.ჯ. — რას ფიქრობთ ბარების ფარდაზე, რაზეც დავა მიდის საბოგადოებაში? ჩვენ გვქონდა ქობულაძის არაჩვეულებრივი ფარდა, რომელიც, სამწუხაროდ, ესკიზების სახით შემოგვრჩა მხოლოდ.

დ.კ. — ვფიქრობ, რომ ოპერის ფარდა უნდა იყოს ძვირფასი, მაგრამ სადა, ვინაიდან რომელიმე კონკრეტული მხატვრული ფარდა შესაძლოა სრულიადაც არ მიესადაგვიდეს ამა თუ იმ სპექტაკლს. ამ ცენტრალური ფარდის შიგნით კი შესაძლებელია ყოველი ცალკეული სპექტაკლისათვის დამზადდეს ფარდა, ოპერის შინაარსისა და დეკორაციების გათვალისწინებით. ასეა ევროპის ბევრ საოპერო თეატრში.

მ.ჯ. — დაბოლოს, ხომ ვერ დამისახელებთ კონკრეტულ თარიღს — როდის გაიხსნება ოპერის თეატრი?

დ.კ. — ჩვენ ოპერის თეატრში, აღბათ, სექტემბერში შევალთ. ვიმედოვნებ, რომ სეზონი გაიხსნება 2015 წლის დასაწყისში.

მ.ჯ. — დიდი მადლობა ვრცელი და საინტერესო ინტერვიუსთვის. გულითადად გისურვებთ ნარმატებებს.

აპრილის თვეში ჯანსულ კანიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში კამერული მუსიკის კონცერტების სერია გაიმართა. მართალია, მონაწილეებმა ამ სერიას ფესტივალი უწოდეს და თავისი ფორმატით იგი, შესაძლოა, მიაგვდა კიდევ ფესტივალს, მაგრამ ერთ-ერთ, კერძოდ, 5 აპრილის საღამოზე გავრცელებული სააპრილო კონცერტების პროგრამა ამის შესახებ არაფერს იუწყებოდა.

ჩასადან თანახმად

სააპრილო კონცერტების გამოქაილი

ამ პროგრამაში ანონსირებული კონცერტების ციკლი სხვასთან ერთად 13 აპრილს ბიძინა კვერნაძის შემოქმედებისადმი მიძღვნილ საღამოსაც მოიკავდა. სამწუხაროდ, სწორედ იმ დღეებში სენაკია და ჩემს შემობლიურ ქალაქ ფოთში გახლდით სამუსიკო სკოლების ჰედაგოგებთან კულტურის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ შეხვედრებზე, რის გამოც ჩემი უსაყვარლესი კომპოზიტორის, როგორც გივი ორჯონიშვილე წერდა, „მუსიკის პოეტიკას“ კიდევ ერთხელ ვერ ვეტიარე. ბიძინა კვერნაძის შემოქმედების გარკვეულ ნაწილს ჩვენი საზოგადოება კარგად იყნობს და როგორც მითხრეს (სამწუხაროდ, ამ კრებით პროგრამაში სწორედ კვერნაძის საღამოზე შესასრულდებოდა არ იყო ჩამოთვლილი), ამ საღამოსაც, ძირითადად, სწორედ ყველასათვის ასე ნაკნობი და საყვარელი მუსიკა იყო წარმოდგენილი, თუმცა, ჩემი აზრით, ცუდი არ იქნებოდა, დროდადრო ჩვენი საზოგადოებისათვის ბიძინა კვერნაძისა თუ ქართული მუსიკის სხვა კლასიკოსების კარგად დავინწყებული ნაწარმოებებიც შეგვეხსენებინა. კარგად მახსოვს ახალგაზრდების რეაქცია ვახტანგ კანიძის მიერ შალვა შეველიძის „ზვიადაურის“ შესრუ-

ლებაზე – მათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, რადგან ელოდნენ მოძველებულ და ვადაგასულ მუსიკალურ „პროდუქტს“ და ამის ნაცვლად მოისმინეს ნამდვილი, ცოცხალი, სახიერი მუსიკა, რომელსაც დრომ ვერაფერი დააკლო... არადა, XX საუკუნის ქართული მუსიკა ღირსია არ იყოს განწირული სანოტო პარტიტურებში უცყვი არსებობისათვის, უღერდეს საკონცერტო დარბაზებსა თუ რადიო-ტელევიზიაში და ეროვნული მხატვრული

კულტურის სხვა ნიმუშებთან ერთად მონაწილეობდეს თანამედროვე საზოგადოების სულიერ ცხოვრებაში...

სააპრილო კონცერტების ამ სერიიდან ერთ კონცერტზე შევაჩერებდი ყურადღებას. ისიც არა იმიტომ, რომ სხვა კონცერტები ასეთ ყურადღებას არ იმსახურებდნენ. დარწმუნებული ვარ, 12 აპრილს კარგად ჩაივლიდა გოგი ბაბუაძისა (ვოლონტო) და მამუკა სიხარულიძის (ფორტეპიანო) დუეტების საღამო და, თუ გასული წლის გამოცდილებას დავეყრდნობი, 25 აპრილს მეტად ემოციური იქნებოდა ორი ახალგაზრდული კვარტეტის კონცერტი. უბრალოდ, მე შესაძლებლობა მომეცა თავად დავსწრებოდი 5 აპრილის კონცერტს, რომელზეც ბრამსისა და შუმანის საფორტეპიანო კვარტეტები შეასრულეს ლანა გულდედავამ (ფორტეპიანო), ქეთევან თუშმალიშვილმა (ვიოლინო), თემურ ხარაძემ (ალტი) და მიხეილ ხოშტარიამ (ჩელო).

ცხადია, რეპერტუარის არჩევა შემთხვევითი არ ყოფილა – კარგადა ცნობილი ბრამსისა და შუმანის ურთიერთდამოკიდებულება – ბრამსი მთელი ცხოვრების მანძილზე აღმერთებდა შუმანს, რომელმაც ახალგაზ-



ლანა გულიაშვილი (ჭ- ნო), ჩეთვავან თუშავალიაზილი (ვიოლინო), თავარ ხარაძე (ალტი), მიხეილ ხოშარია (ჩელო).

რდა ბრამსი პირველი მოსმენისთანავე აღიარა „მუსიკოსად, რომელიც მოწოდებულია ყველაზე სრულად და იდეალურად გამოხატოს ჩვენი დროის სული“. ეს სულიერი ნათესაობა თავს იჩენს ამ კომპოზიტორების ერთსა და იმავე უანრის ნაწარმობებშიც – ბრამსის საფორტეპიანო კვარტეტში ნათლად ჩანს შუმანის კვარტეტთან სიახლოვე, არა მარტო მუსიკალური ენის, არა მედ დრამატურგიის თვალსაზრისითაც.

იმ დღეს ეს მსგავსება აშკარად გამოჩნდა ინტერპრეტაციაშიც, თუმცა მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მუსიკოსებმა გვაგრძნობინეს ის განსხვავებაც, რომელიც ამ ავტორების მუსიკალურ სამყაროს გამოარჩევს – ბრამსის ფართო შტრიხებით შესრულებულმა დრამატულმა მუსიკამ კიდევ უფრო გამოაშუქა შუმანის ასევე დრამატული, მაგრამ ფსიქოლოგიურად ნატიფი სახეები.

ჩვეულებრივ, კლასიკოს-რომანტიკოსთა ფორტეპიანოსთან ერთად დაწერილ ანსამბლების, მათ შორის კვარტეტების დრამატურგიაში ფორტეპიანოს ყოველთვის წამყვანი როლი უკავია. იმ საღამოს ამ როლს წარმატებით გაართვა თავი ლანა გულდედავამ, შე-

სანიშნავმა მუსიკოსმა და პიანისტმა, რომლის დიდი დამსახურება გახლდათ ანსამბლის ერთ ორგანიზმად შეკვრა და ბრამსისა და შუმანის კვარტეტების მთავარი იდეის რელიეფურად გამოკვეთა. ამსათან ერთად, ვფიქრობ, მსმენელს დაამახსოვრდა ქეთევან თუშმალიშვილის შესრულების ემოციური და, ამავე დროს გააზრებული სტილი, თემურ ხარაძის ალტის ხავერდოვანი ტემპი და მიხეილ ხოშარიას დაკვრის განწყნას-წორებული მანერა.

დაბოლოს: ჩვენი ქალაქის მუსიკალური ცხოვრება სულაც არ არის ისეთი სისხლსავსე და მრავალფეროვანი, როგორსაც მუსიკოსები და მუსიკისმოყვარულები ვინაბრებდით. მით უფრო არ ვართ განებივრებული კამერული მუსიკის კონცერტებით, რომლის აღსაქმელად სპეციალური გარემოა საჭირო. ასეთი კონცერტებისთვის კონსერვატორიის მცირე დარბაზთან ერთად, შესანიშნავ ატმოსფეროს ქმნის ჯანსუდ კაბინის სახელობის მუსიკალური ცენტრის კამერული დარბაზი. ვფიქრობ, ურიგო არ იქნება, თუ იგი უფრო ხშირად უმანსპინძლებს კამერულ მუსიკას, მუსიკალური ხელოვნების ყველაზე ფაქტიზ სფეროს...

როდესაც ესქატოლოგიური უამის, ანუ აღსასრულის გარდუვალობის ზარები შემოკრავენ, ერს ან სულმნა-თები, ან ისეთი გმირები გამოუჩნდება, საკუთარი სი-ცოცხლის ფასად რომ აღავსებენ მას რწმენით, გადარჩენის იმედით. დღეს ჩვენ მინაზე ეს ზარები გუგუნებენ, წყდება სიმი მრავალთა სიცოცხლისა და, ალბათ, ამა-ნაც განაპირობა სიკვდილზე ჩვენი ხშირი ფიქრი.

მუსიკალურ ხელოვნებაში არაერთი უანრია დაკავ-

დედაო“, ოთარ თაქთაქიშვილის ოპერაში „მინდა“, სულხან ნასიძის სიმფონიებში /„პასიონე“, ..დალაი“, ბიძინა კვერნაძის ოპერაში „იყო მერვესა წელსა“, გია ყანჩელის ოპერაში „და არს მუსიკა“, მისავე ომში და-ლუბული ბავშვების ხსოვნისადმი მიძღვნილ ბიჭუნათა გუნდში „სევდა ნათელი“, ლიტურგიაში „ქარით დატი-რებული“ და სხვა.

თავისი მრისხანებითა და ფატალური სისასტი-

„შენი ჭირიმე სიკვდილო, სიცოცხლე შვენობს შენითა“

ვაჟა ფშაველა

სიკვდილის სახე მასივაში

ნანა ჩავთარაძე

შირებული სიკვდილის თემასთან: პასიონი, მესა, რევ-ვიემი, ლიტურგიული დრამა, მისტერია, სამღლოვარო მარში, სვლა, ოდა და სხვა. სიკვდილის სახე-სიმბოლო ზოგჯერ უშუალოდ. ზოგჯერ გამუალებული სახით გამოხატულია მსოფლიოს ხალხთა მუსიკაში და კომპოზიტორულ შემოქმედებაში. გავიხსენოთ საქართველოში გავრცელებული „ტირილების“ სხვადასხვა სახეობანი, „ზარი“, ასტრალურ კულტან დაკავშირებული რიტუალი „დალაი“, ჩვენი საგალობლები, XXI-ის ქართველ კომპოზიტორთა სხვადასხვა უანრის ნაწარმოებებში განსახოვნებული სიკვდილის ხატი. მას ვწვდებით შალვა მშველიძის სიმფონიურ პოემაში „ზვიადაური“, ანდრია ბალანჩივაძის პირველი სიმფონიის ფინალში, ალექსი მაჭავარიანის რომანსში „არ დაიდარდო,


კით გამორჩეული სიკვდილის ყველაზე მკვეთრი სახე-სიმბოლო შუასაუკუნეების კათოლიკური ეკლესიის წიაღმი დაიბადა. ეს არის საეკლესიო ქორალი „Dies irae“ /„დღე რისხვისა, განკითხვისა“, რომელიც მუსიკის ისტორიას დღემდე გასდევს. როგორც სიკვდილის საკრალურ სამყაროში შეღწევის კოდი. „დღეს ირე“ XIV საუკუნეში რეკვიემის შემადგენელი ნაწილი ხდება და მის მთლიან სტრუქტურაში დრამატული კულმინაციის ადგილს იკავებს. 1700 წლიდან კი კომპოზიტორები მხოლოდ მის ვერბალურ შრეს იყენებენ /ასეთია „დი-ეს ირე“ მოცარტისა და ვერდის რეკვიემებში/. XIX-XX საუკუნეებში ეს საეკლესიო ქორალი სკილდება ლიტურგიკას და სხვადასხვა მუსიკალურ უანრებში შეიქრება. ამ თვალსაზრისით საინტერესოა სიკვდილის

მუსიკალური სიმბოლიკისადმი დამოკიდებულება ბერლინიზის „ფანტასტიკურ სიმფონიაში“, ჩაიკოვსკის სიმფონიაში „მანფრედი“, ლისტის საფორტეპიანო პიესაში „სიკვდილის ცეკვა“, სენ-სანსის, რახმანინოვის, შოსტაკოვიჩის და სხვათა ნაწარმოებებში.

ინსტრუმენტულ მუსიკაში ხშირად ვხვდებით ისეთ მომენტებს, რომლებიც მხატვრული კონცეფციის თანახმად ასოცირდება „განკითხვის დღის“ მრისხანე სურათთან. ასეთ შემთხვევებში კომპოზიტორები ცდილობენ დინამიკაში ნაწარმოებინონ სიკვდილის დამანგრეველი ძალის აღზევება, მისი ნამლეკავი ქმედება, რისთვისაც მუსიკალური ქსოვილის ვერტიკალში უშურველად უყრიან თავს თანამედროვე კომპოზიტორული ტექნიკის ყველაზე მძაფრ სამუალებებს. სანიმუშოდ შოსტაკოვიჩის ნაწარმოებების დასახელებაც იკმარებს.

სიკვდილის თემა მრავალმხრივ და ფართოდ იქნა ნაწარმოებინილი სხვადასხვა ეპოქის ეროვნული საკომპოზიტორო სკოლების მიერ. უპირველესად აღსანიშნავია ბახის გენიალური პასიონები, მაღალი მესა, „სამგლოვიარო ოდა“ და ზოგიერთი კანტატა, მოცარტის, ვერდის, ბრამსის, ბერლინიზის, დვორუჟავის, ბრიტენის, სფრავინსკის რეკვიემები, შუბერტის სიმღერა „ქალიშვილი და სიკვდილი“, მუსორგსკის ვოკალური ციკლი „სიკვდილის სიმღერები და ცეკვები“, დებიუსის მუსიკა მისტერიისათვის „წმინდა სებასტიანეს წამება“, მალერის სიმფონია-კანტატა „სიმღერა გარდაცვლილ ბავშვებზე“, ონეგერის ორატორიები „მკვდრების ცეკვა“ და „უანა დარკი კოცონტი“, პენდერეცკის „Dies irae“ – ორატორია ოსვენციმის მსხვერპლთა ხსოვნისადმი და სხვა.

სიკვდილის თემის ვარიანტებს უხვად ვხვდებით საოპერო უანრის განვითარების გზაზეც, გავიხსენოთ ვერდის „ტურავიატა“, ბიზეს „კარმენი“ და სხვა. მაგრამ მთავარია არა ნაწარმოებთა ჩამონათვალი, არამედ ის იდეა, მხატვრული კონცეფცია, რომელიც პროეცირებულია სიკვდილის სახე-სიმბოლოზე და გამოხატავს ამ სახისადმი კომპოზიტორის დამოკიდებულებას. ერთეულთი მთავარი მოტივი სიკვდილის ოპტიმისტური განსჯისა დაკავშირებულია მუსიკის ჰეროიკულ სფეროსთან. სიკვდილი, როგორც კაცობრიობის ბედნიერი მომავლისათვის გმირული თავგანწირვის იდეა,





გარს ნოსავ. სიკვილის ხავაა, 1477

როგორც ერის განთავისუფლების, ხსნის გზა პირველად ორატორის მონუმენტურ ფორმაში გამოიხატა.

სახელდობრ, ჰენდელის ბაბლიურ სიუკეტებზე დაწერილ ორატორიებში / „სამსონი“, „საული“, „სოლომონი“, „მესია“/. ჰენდელმა შექმნა ჰეროიკული კონცეფციის ის მოდელი, რომელიც შეძლომ ასე გენიალურად გაიშალა ბეთჰოვენის გმირულ-დრამატულ სიმფონიებში. შემთხვევითი არ არის, რომ გმირულ-დრამატული იდეის თპრიმისტურმა გადაწყვეტამ / გმირი კვდება, მაგრამ იდეა იმარჯვებს და ხალხი ზემობს გამარჯვებას / პირველად ნარმოშვა სამგლოვიარო მარშის მაურულ ტონალობაში დაწერის აუცილებლობა, რაც განახორციელა ჰენდელმა ორატორიაში „სამსონი“. აქ ინასკვება გზა ბეთჰოვენის „ჰეროიკული სიმფონიის“ სამგლოვიარო მარშისკენ, რომლის შესახებაც რომენ როლანდმა აღნიშნა: როდესაც ამ მარშს ვუსმენ, ასე

მგონია გმირის ცხედარს მთელი კაცობრიობა მიაკილებსო.

როგორ დაუახლოვდა ჩვენი დღევანდელობა იმ გარდასულ დროს, რა მოკლე მანძილი ყოფილა აწყმოსა და წარსულს შორის?! გმირული სიკვდილის აქტის ფილოსოფიური განსჯის თვალსაზრისით მინდა გავიზიარო ბატონ მერაბ მამარდაშვილის შეხედულება მარადიულის შესახებ: „ბერძნი გმირის სიკოცხლე რომ სრულდება — წერს ბატონი მერაბი, — ამ ხასტ დრო ვეღარაფერს დააკლებს. გავიხსენოთ მაგალითი: ორმა ჭაბუკმა ოლიმპიურ თამაშებში გაიმარჯვა. მათი დედა შეევედრა უფალს — სანამ შვილები ისვენებენ და სძინავთ, შენთან წაიყვანე, ხვალ რომ გაიღვიძებენ, მათი სიკოცხლე ჩვეულებრივ გაგრძელდება და ვინ იკის, რა გზით წავაო. დედა მართალი იყო — რაღაც აუცილებლად მოაკლდებოდა იმ სრულყოფილებას,

რომელიც მთლიანად აღსრულებულია და მოცემულია უკვე მომხდარი გმირული აქტით. ამიტომ სანამ დროა, სანამ მწვერვალზე ხარ, უნდა წახვიდე და მაშინ დარჩები“. ეგებ ეს აზრი გამოვგადეს ჩვენი დღევანდელი დაღუპული გმირების მშობლების საწუგეშოდ!

სიკვდილის ხატთან დაკავშირებულ კიდევ ერთ სამგლოვარო მარშს ვერ ავუვლით გვერდს – შოპენის მარშს, რომელიც ამაღლებულ სევდასთან ერთად კომპოზიტორმა „მთელი თაობის იმედების მსხვრევაც დაიტირა“. რამდენად შეესაბამება სინამდვილეს, ვერ ვიტყვი, მაგრამ ამ შემთხვევას ნამდვილად უხდება გალაკტიონის სიტყვები. თურმე გალაკტიონი და ქუჩიშვილი სარდაფში ღვინოს შეექცეოდნენ. ამ დროს ქუჩიდან მოისმა შოპენის სამგლოვარო მარში სასულე ორკესტრის შესრულებით, მიცვალებულს მიაცილებდნენ. გალაკტიონს უთქვამს: შოპენი გასულ საუკუნეში გარდაიცვალა, მაგრამ, ხედავ, რამდენ მიცვალებულს მიაცილებსო.

სიკვდილის გარდუვალობის რელიგიური სიმშვიდით აღქმას გამოხატავს მოცარტის მამისადმი მიწერილი საოცარი სიტყვები: „რამდენადც სიკვდილი ჩვენი ცხოვრების დასკვნითი რგოლია, ამდენად მე ისე დავუახლოვდი ადამიანის ამ საუკეთესო მეგობარს, რომ მისი სახე სრულიადც არ იწვევს ჩემში შიშს. პირიქით, ის მაშვიდებს და მაიმედებს“.., მოცარტის რეკვიემის გენიალური ფურცლები – ლაკრიმორა – სულის ამ სიმშვიდის, ამაღლებისა და კათარზისის დიდებული გამოხატულებაა.

სიკვდილის გზა ყოველთვის მონამეობრივია. ამაღლება ახლავს. ამან კი მუსიკაში წამის გამარადიულების ფენომენი შექმნა, რაც საოცარი ძალით გამოხატა ბახმა თავის მუსიკში, განსაკუთრებით პასიონებში, უანრში, რომელიც ქრისტეს მონამეობრივ გზას წარმოსახავს და მასთან დაკავშირებულ ფილოსოფიურ ცოდნას „ყოფიერების ტრაგიზმზე“. ბახის პასიონებში სიკვდილის ხატი გაშუალებულია, მაგრამ მთელი ეს გიგანტური სამყარო მის გარშემო ტრიალებს. სიკვდილის რა ნაირსახეობები არ იკითხება ბახის პასიონებში: სიკვდილი-ტანჯვა, სიკვდილი-ტრაგედია, სიკვდილი-ხსნა, სიკვდილი-განწმენდა, სიკვდილი-ნეტარება, სიკვდილი – უსასრულობაში სულის გადასახლება, სიკ-



ალბრეხტ დიურერი. რაინდი, სიავილი და ცავაპი. 1498

ვდილი-ამაღლება, სიკვდილი-უკვდავება. სიკვდილის სიკვდილითვე დათრგუნვა ხელოვნების სხვა დარგებს შორის, ალბათ, უფრო სრულად მუსიკამ გამოხატა მთელი თავისი საკრალური იდუმალებით. ამიტომ წერილის დასასრულს მკითხველს მინდა შევთავაზო უხმოდ წაიკითხოს რემარკის სიტყვები იმ სიმშვიდის მოსაპოვებლად, რასაც ბახის მუსიკა ქადაგებს: „არა, ჩვენ არ ვკვდებით, კვდება დრო, წყეული დრო, კვდება განუწყვეტლივ, ჩვენ კი ვკოცხლობთ, უცვლელად ვცოცხლობთ და თუ ერთმანეთი ვვიყვარს, ჩვენ მარადიული და უკვდავნი ვართ, როგორც გულისცემა, როგორც წვიმა, ან ქარი და ეს ძალიან ბევრია! წამის სიხარული – აი, ცხოვრება! მხოლოდ ის არის მარადისობასთან ყველაზე ახლოს!“

გალაკტიონმა კიდევ უფრო მეტად გვანუგეშა: „სიკვდილის გზა არრა არის, ვარდისფერ გზის გარდა“.

ქრონიკა

28 მარტს, კოპენჰაგენის XVIII-ის ერთ-ერთ ულამაზეს კათოლიკურ ტაძარში “Trinitatis Kirke”, ევროპაში საკ-მაოდ პოპულარული ანსამბლის “Theatre of Voices”-ის („ხმების თეატრი“) კონცერტი გაიმართა. ეს კონცერტი ჩვენთვის საინტერესოა იმით, რომ ევროპაში სახელგანთქმული ანსამბლის “Theatre of Voices”-ის მიერ, გამოჩენილი თანამედროვე ესტონელი კომპოზიტორის, არვო პიარტის გვერდით შესრულდა ქართველი კომპოზიტორის ნინო ჯანჯლავას ნაწარმოებები ქართულ ენაზე.

ურნალ „მუსიკის“ მკითხველს გვინდა შევახსენოთ კომპოზიტორ ნინო ჯანჯლავას შესახებ: მან 1988 წელს დაამთავრა ობილისის კონსერვატორია კომპოზიციის განხრით აღიქვამდა მაჭავარიანთან, ხოლო 1990



ნინო ჯანჯლავა

ნინო ჯანჯლავას ნანარეობების პრემია პოპულარული



‘THEATRE OF VOICES’

წელს ასპირანტურა – სულხან ცინცაძესთან. ჯერ კიდევ სფუღენტობის პერიოდში ნინომ ახალგაზრდა კომპოზიტორთა საკავშირო კონკურსზე მოიპოვა III პრემია ნანარმოებისათვის „ჯარჭი ფხოველის სამი ლექსი“.

ნინოს შემოქმედება უანრობრივად მრავალფეროვანია. მას დაწერილი აქვს საოპერო, საბალეტო, სიმფონიური, საგუნდო, კამერული, ვოკალური და საკრავიერი ნანარმოებები, შექმნილი აქვს მუსიკა კინოსა და თეატრისათვის. ნინო უძლვება სანოტო გამომცემლობას და აუდიო სტუდიას სახელწოდებით „საავტორო სტუდია“. 2006 წელს მან დაარსა „ბგერის თეატრი“. იგი არის აგრეთვე ანსამბლ „სტუმარის“ წევრი, სადაც თავის მეუღლესთან, დავით ხოსიტაშვილთან (გიტარა), დასთან – მარინა ჯანჯლავასთან (ვიოლინი) ერთად მოღვაწეობს. თვითონ ნინო მღერის და

უკრავს ფლეიტაზე და ფორტეპიანოზე.

რამოდენიმე სიტყვით შევეხებით ანსამბლ „Theatre of Voices“-ს. იგი ჩამოყალიბდა 90-იან წლებში დანიაში, დირიჟორ პოლ ჰილერის ხელმძღვანელობით. მათი რეპერტუარი ძალზედ მრავალფეროვანია და საკმაოდ ფართო სპექტრს მოიცავს: ესაა ბაროკო, ვენის კლასიკური სკოლა, რომანტიზმი, ავანგარდი და სხვ. ისინი თანამშრომლობენ მსოფლიოს მრავალ გამოჩენილ მუსიკოსთან და კოლექტივთან. 2008 წელს მიენიჭათ პულიცერის პრემია, 2010 წლის იუბილეზე, 2010 წელს კი გრემი. მათ ჩანსერეს საუნდტრეკი პაოლო სორენსტინის ფილმისთვის „La Grande Bellezza“ („უდიდესი სილამაზე“), რომელმაც წელს არაერთი ჯილდო დაიმსახურა, მათ შორის ოსკარი, როგორც უსხოენო-

– 3 ალილუა ციკლიდან „17 ალილუა სადიდებლად ლვთისა ჩვენისა“ (სამხმანი გუნდისთვის), რომელიც ნინომ 4-5 წლის წინ დაწერა. ეს ციკლი წინ უძღვოდა „სალვო ლიტურგის“ შექმნას.

ნინო ჯანჯალავას საქართველოში თითქმის ყველა საგუნდო კოლექტივისთვის შეუთავაზებია ნანარმოების შესრულება, სამწუხაროდ, დღემდე არავის შეუსრულებია. როგორც კომპოზიტორი აღნიშნავს, მას ყოველთვის მოსწონდა ანსამბლი „Theatre of Voices“-ი, თვალყურს ადევნებდა მათ მოღვაწეობას, ამიტომაც დაუკავშირდა კოლექტივის ხელმძღვანელს პოლ ჰილერს და შესთავაზა თავისი ციკლი. ჰილერს ძალიან მოეწონა ნანარმოები და პირველი საპრემიერო კონცერტისათვის ციკლიდან სამი ალილუა შეარჩია. კომპოზიტორი



პოლენაგანი. ფინანს სახაზის ფარაონი

ვანმა საუკეთესო ფილმია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 28 მარტს გამართულ კონცერტზე არვო პიარტის სასულიერო ნანარმოებებთან ერთად შესრულდა ნინო ჯანჯლავას ნანარმოებები

მიჩნევს, რომ პ-ნმა ჰილერმა საკონცერტო პროგრამა ძალიან საინტერესოდ, როგორც ერთი კომპოზიცია ისე გაიაზრა – არვო პიარტის რამოდენიმე ნანარმოებს ნინო ჯანჯლავას სამი ალილუა ენაცვლებოდა.

კამერულნის მორიგი ნარმატება

26 აპრილიდან 6 მაისამდე საერთაშორისო პროექტ „კამერფონის“ საქართველოს წარმომადგენლობის ახალგაზრდა მუსიკოსებმა გერმანიის ქალაქებში 6 სა-გასტროლო კონცერტი გამართეს.

წლეულს „კამერფონის“ წარმომადგენდნენ პროექტის დამფუძნებლის, ცნობილი გერმანელი საზოგადო მოლ-ვანის ქალაბარონ ლიუდმილა ფონ ბერგის მიერ შერ-ჩეული მობარდები: ევგენი მიქელაძის სახელობის ცენ-ტრალური სამუსიკო სასწავლებლის ადამიტდელები – თათა მახარაძე (ფორტეპიანო), გიორგი ოკაშვილი (კლარინეტი), ნაფა როინიშვილი (ვიოლინო), ლევან უგულავა (ფორტეპიანო), სპეციალური სტუმრის სტა-ტუსით საგასტროლო კონცერტებში მონაწილეობდა ახალგაზრდა პიანისტი ირაკლი ოკაშვილი.

მექევსე წელინადია გერმანიაში, საზოგადოებრი-ვი ორგანიზაციის Eurocon-ის ევიდით ფუნქციონირებს მობარდთა მუსიკალური განათლების განვითარების, კულტურის სფეროში თანამშრომლობისა და ახალგაზ-რდელი გაცვლითი პროგრამების მხარდამჭერი საერ-თაშორისო პროექტი „კამერფონი“. პროექტის მიზანია განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებუ-ლი მობარდებისა და ახალგაზრდების ხელშეწყობა და მხარდაჭერა, ახალგაზრდა მუსიკოსების საერთაშო-რისო კარიერის ჩამოყალიბება, მასტერკლასებისა და საკონცერტო გამოსვლების ორგანიზება, სხვადასხვა ქვეყნების ახალგაზრდა მუსიკოსების შემოქმედებითი ურთიერთობების დამყარება და განვითარება.

საქართველო 2011 წლიდან შეუერთდა პროექტ „კა-მერფონის“, იმ წელს „კამერფონი-საქართველოს“ წარ-მომადგენელი იყო პიანისტი ირმა რუხაძე, 2012 წლი-დან პროექტის საქართველოს წარმომადგენელი და

მუსიკალური ხელმძღვანელია კირა ლელაშვილი.

პროექტის მხარდამჭერები არიან გოეთეს ინსტიტუ-ტი, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო და ბერ-ლინის სენატი.

წლეულს „კამერფონის“ მხარდამჭერთა, პარტნი-ორთა რიგს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროც შეემატა.

ამჯერად ქართველ ახალგაზრდებს ძალზე მრავალ-ფეროვანი საკონცერტო პროგრამა ჰქონდათ მომზადე-ბელი გერმანელი მსმენელებისთვის – როგორც სოლო ნომრები, ასევე ანსამბლები. ცხადია, დასავლეთერო-პელი, რუსი და ამერიკელი კომპოზიტორების ქმნილე-ბებთან ერთად, პროგრამაში შეტანილი იყო ქართული მუსიკაც – რევაზ ლალიძის რონდო-ტოკატა, ირაკლი გეჯაძის „მერცხალი“, გელა ჩარკვიანის საფორტეპიანო ციკლი „ირაკლიანა“; „კამერფონის“ თხოვნით, ვაჟა აზა-რაშვილმა შექმნა თავისი შესანიშნავი „ნოქტუირნის“ საკმაოდ უჩვეულო საანსამბლო შემადგენლობისთვის განკუთვნილი რედაქცია, ასევე ირაკლი ცინცაძემ ამა-ვე შემადგენლობისთვის გადაამუშავა სულხან ცინცაძის ორი საკვარტეო მინიატურა „სიმღერა“ და „ლალე“. საგანგებოდ ბერლინში მიმავალი ამ მუსიკოსებისთვის შეიქმნა ახალგაზრდა კომპოზიტორის თენგიზ ნობაძის კვარტეტი სახელწოდებით „სარკაზმი“.

საგულისხმოა, რომ გერმანიაში გამგზავრებამდე, „კამერფონი“ 4 კონცერტით წარდგა თბილისის სხვა-დასხვა საკონცერტო სივრცეში, მათ შორის, საქართვე-ლოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში და გოეთეს ინსტიტუტში – გერმანული დღეების „სა-მი ქვეყანა – ერთი ენა; გერმანია, აქსტრია, შვეიცარია“ ოფიციალურ გასსნაზე.

KAMMERTON

Junge Musiker aus Georgien im Konzert



ლევან ეგელაძა, თათა მახარაძე, ილაკლი რიკაზვილი, ნასა როინიშვილი, გიორგი რიკაზვილი

„კამერტონი-საქართველოს“ კონცერტტებს წლეულ-საც დღიდი წარმატება ხვდა წილად. გულთბილ გამოხ-მაურებებთან ერთად, გაჩნდა ახალი საინტერესო შე-მოქმედებითი შეთავაზებებიც – გაისად „კამერტონის“ მუსიკოსები მიწვეულნი არიან ქალაქ ბად-ჰერსფელ-დში იოპენ სებასტიან ბახის სახელობის საერთაშორი-სო საოპერო ფესტივალზე ორი კონცერტის გასამარ-თად. ასევე წარმოებს მოღაპარაკება ნიდერლანდების ერთ-ერთ შემოქმედებით ორგანიზაციასთან „კამერ-ტონის“ მიწვევის თაობაზე ტექსელის კუნძულზე მეო-რე მსოფლიო ომის დამთავრების 70 წლისთავისადმი


მიძღვნილი კონცერტების ციკლში მონაწილეობისთვის. მნიშვნელოვანი გამოდგა რიხარდ ვაგნერის საზოგადო-ებაში გამართული კონცერტი, რომლის წარმატებამაც განაპირობა გაისად „კამერტონის“ კვლავ მიწვევა სა-კონცერტოდ. ასევე, ამ საზოგადოების გამგეობის გა-დაწყვეტილებით, გიორგი ოკაშვილი გახდა რიხარდ ვაგნერის სახელობის სტიურენდიანტი.

ცხადია, პროექტ „კამერტონის“ ევილითაც დაიგეგმა 2015 წლის შემოქმედებითი პროცესი და შესაბამისად, „კამერტონი-საქართველო“ გაისადაც გამართავს გასტ-როლს გერმანიის ქალაქებში.

თანამედროვე ქართული მუსიკის კონცერტებით ნამდვილად არ ვართ განებივრებულნი. ამჯერად მსმენელს ქართული მუსიკის საინტერესო პროგრამა შესთავაზა კამერულმა ორკესტრმა „თბილისის კონცერტინომ“ გიორგი შილაგაძის დირიჟორობით: პირველად შესრულდა ანდრია ბალანჩივაძის ვოკალურ-ინსტრუმენტული პოემა სოპრანოსა და ქალთა გუნდისათვის „ისევ გახსენი“ ანა კალანდაძის ტექსტზე (სოლისტი ნინო ლაგვეხელიანი), გიორგი გაჩეჩილაძის სამი პიესა სიმებიანი ორკესტრისათვის ფრანც მარკის ნახატების მიხედვით, ალექსი მწარიაშვილის კონცერტი ორი ფლეიტისა და კამერული ორკესტრისათვის, ზვიად ბუცხრიკიძის „გურჯაანი“ და ელიზბარ ლომდარიძის კამერული სიმფონია №2.

ამ კომპოზიტორებიდან, ქართველი კლასიკოსის ანდრია ბალანჩივაძის გარდა, ზოგი ნაკლებადაა ცნობილი ფართო წრისათვის. ამიტომ, ვფიქრობთ, უპრიანის ჩვენს მკითხველს მკირედი ინფორმაცია მივაწოდოთ მათ შესახებ.

ელიზბარ ლომდარიძე და გიორგი გაჩეჩილაძე მიეკუთვნებან 70-იანებთა თაობას. ამ თაობაში არაურთი საინტერესო შემოქმედებითი სახე გამოჩნდა. ისინი



ელიზბარ ლომდარიძე

„ქართული კამერული მუსიკის პანორამა“

ცდილობდნენ თავიანთი ახალი ხედვა დაემკვიდრებინათ ქართულ საკომპოზიტოორო ასპარეზზე და ზოგმა მათგანმა შეძლო კიდევ თავისი ადგილის დამკვიდრება ქართულ საკომპოზიტოორო სივრცეში. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან საქართველოში მიმდინარე უმძიმესი კატაკლიზმები მათი შემოქმედებითი სიმწიფის პერიოდს დაემთხვა და

მათვის, ისევე როგორც შემდგომი თაობის კომპოზიტორებისათვის, სამოღვაწეო ასპარეზი შეიტუდა — შემოქმედებისთვის არავის ეცალა... სამწუხაროდ, ამ ინერციით მიდის დღემდე ჩვენი ქვეყანა... ამიტომაც ყოველი ასეთი კონცერტი სასიხარულოა, რამეთუ იმედს გვისახავს, რომ ქართულ მუსიკაში პროცესები მიდის და ეს მომავალში აუცილებლად გამოილებს შედეგს.

გიორგი გაჩერილაძემ 1971 წელს დაამთავრა თბილისის კონსერვატორის კომპოზიციის კლასი ანდრია ბალანჩივაძესთან. სხვადასხვა წლებში იგი ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას, ხოლო 1974 წლიდან იყო სახელმწიფო ტელევიზიის ხმის რეჟისორი. მას დაწერილი აქვს ვოკალურ-სიმფონიური, კამერულ-ინსტრუმენტული, კამერულ-ვოკალური, საგუნდო და სხვ. უნარის ნანარმოებები.

ელიტარ ლომდარიძეს კარგად იცნობს ქართული მუსიკალური საზოგადოება. მის ინსტრუმენტულ, უპირატესად კი, საფორტეპიანო ნანარმოებებს ხმირად ასრულებენ საქართველოს მუსიკალური სკოლების აღსაზრდელები, ახალგაზრდა პიანისტები, თუმცა მისი შემოქმედება უანრობრივად მრავალფეროვანია: სიმფონიური, ვოკალურ-სიმფონიური, კამერულ-ინსტრუმენტული, კამერულ-ვოკალური.

2010 წელს ელიტარ ლომდარიძის სიმფონიას №4 „წლის საუკეთესო მუსიკალური ნანარმოების“, ხოლო კომპოზიტორს ეროვნული პრემია მიერიქა.

ზვიად ბუკხრივიძე და ალექსი მნარიშვილი კი უკვე იმ თაობის ნარმომადგენლები არიან, რომელთაც მეტად მძიმე პერიოდში მოუნიათ სამოღვაწეო ასპარეზზე გასვლა – საქართველოში კულტურული ცხოვრება, ფაქტობრივად, სრულ სუაგნაციას განიცდიდა. ცხადია, მათ რთულ შემოქმედებით გზაზე უწევდათ სიარული.

ზვიადმა კონსერვატორის კომპოზიციის კლასი 1987 წელს დაამთავრა ალექსი მაჭავარიანთან. იგი ყოველთვის გამოიჩინდა აქტიურობით, მუდმივად იღებდა მონაწილეობას კონკურსებში. 2010 წელს კომპოზიტორთა კავშირის შესარჩევ ტურებში, სხვა ნანარმოებთა შორის, მისი საორკესტრო პიესა „შაში უბნობისა“ შეირჩა, რომელიც შესრულდა კიდევ ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში ავტორის დრიკიურობით. ზვიად ბუკხრივიძეს დაწერილი აქვს სიმფონიური და კამერულ-ინსტრუმენტული ნანარმოებები.

კონცერტზე შესრულებული ნანარმოებების ავტორთა შორის საზოგადოება ყველაზე ნაკლებად ალექსი მნარიაშვილს იცნობს. მან 1990-იან წლებში დაამთავრა თბილისის კონსერვატორია კომპოზიციის განხრით ალექსი მაჭავარიანთან. საქართველოში არსებული ვითარების გამო მოუნია საკმაოდ დიდი




გიორგი გაჩერილაძე

ნეიტ საქართველოდან ნასვლა და უცხოეთში მოლვანება. ალექსი მნარიაშვილი არის რესეტის კომპოზიტორთა კავშირის როსტოკის რეგიონალური ორგანიზაციის წევრი. რუსი კოლეგები მას, როგორც კოლეგასა და კომპოზიტორს, მეტად დადებითად ახასიათებენ. სამშობლოში დაბრუნებისთანავე ალექსი მნარიაშვილი გახდა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის წევრიც და აქტიურად ჩაება კავშირში მიმდინარე შემოქმედებით პროცესებში; ყოველ წელს მონაწილეობდა კონკურსებში. შარმან კულტურის სამინისტროში გამართულ კონკურსში მისმა კვარტეტმა „წლის საუკეთესო კვარტეტი“-ს კატეგორიაში III პრემია დაიმსახურა.

21 მარტს გამართულ კონცერტში ნარმოჩინდა თითოეული კომპოზიტორის ინდივიდუალობა, პროფესიონალიზმი და შემოქმედებითი ხედვა. კონცერტმა მსმენელთა დადებითი შეფასება დაიმსახურა.

ქრონიკა

მისასალმებელია „თბილისის კონცერტფინოს“ ინიციატივა გაემართა თანამედროვე ქართული მუსიკის კონცერტი. ორკესტრის ხელმძღვანელი ბ-ნი შავლებ შილაკაძე, თავის ვაჟთან გიორგისთან ერთად, ყოველთვის ცდილობს საინტერესო პროგრამა შესთავაზოს მსმენელს. მათი საკონცერტო პროგრამა ქართული და ევროპული მუსიკის მრავალ პრემიერას მოითვლის, ამიტომაც ბევრი აღნიშნავს და ემადლიერება მათ კულტურულებრულ მოღვაწეობას. დასანანია, რომ ორკესტრს, რომელიც ცდილობს ქართული პროფესიული მუსიკის პოპულარიზაციას, საქართველოს მხრიდან მხარდაჭერა არა აქვს, სამაგიეროდ მათი პარტნიორია შვეიცარიული ფონდი “Raum für Kultur” და მისი პრეზიდენტი ქ-ნი მარინა მილცი, თუმცა სახსრები, რომლითაც შვეიცარიული ფონდი ეხმარება, მეტად შეზღუდულია. ორკესტრი თავისი მწირი შესაძლებლობებით (მათ სარეპერიკო დარბაზიც კი არა აქვთ) მაინც ახერხებს აქტიური საკონცერტო



ალექსი მარიაშვილი



ცხოვრება ჰქონდეს და მუდმივად ახალი პროგრამა შესთავაზოს მსმენელს.

„ქართული კამერული მუსიკის პანორამა“ ორკესტრის ხელმძღვანელს შავლებ შილაკაძეს ჩაფიქრებული აქვს როგორც 8 კონცერტისაგან შემდგარი ციკლი, რომელიც სეზონის მანძილზე უნდა განხორციელდეს. პირველი კონცერტი ორკესტრმა ჩაატარა თავისი მწირი შესაძლებლობებით, ყოველგვარი მხარდაჭერის გარეშე. თუ სამინისტრო ამ პროექტს მხარს არ დაუჭერს, ან არ გამოჩენდებიან სპონსორები, ეს საშური საქმე, შესაძლოა ვერ განხორციელდეს.

ვისურვებდით, რომ სახელმწიფოს მხრიდან მეტი ყურადღება დაეთმოს ისეთ პროექტებს, როგორიცაა ციკლი „ქართული კამერული მუსიკის პანორამა“. ასეთი პროექტის ხელშეწყობა აუცილებელი პირობაა ქართული საკომპოზიტორო სკოლის განვითარებისათვის.

ფრანსუა-ბერნარ მაში ესაუბრა მუსიკისტული დღის
ათასი სიგვარა

საქართველოში განხორციელებულ მუსიკალურ მოვ-
ლენათაგან ათწლიან უწყვეტ ისტორიას რამდენიმე
ითვლის. ფესტივალი „თანამედროვე მუსიკის საღამო-
ები“ ერთ-ერთი ასეთია. ცნება „თანამედროვე“, რო-

მელიც მის სახელწოდებაში ფიგურირებს, ყველაზე
ფართო გაგებით უნდა წარმოვიდგინოთ, რადგან ფეს-
ტივალის პროგრამა ხშირად რამდენიმე საუკუნის წინ
შექმნილ წანარმოებებსაც მოიცავს. ანუ მაყურებელი
უსმენს ყველა დროის თანამედროვე მუსიკას მხო-
ლოდ საუკეთესო ქართველი, უცხოელი და უცხოეთ-
ში მცხოვრები ქართველი არტისტების შესრულებით.

დღეს, ორმოცდაათზე მეტი წლის შემდეგ



ინტერვიუ ხალოვათიან

პირველსარისხოვანი საბოგარგარეთული ანსამბლების ან სოლო შემსრულებლების სტუმრობა ფესტივალის ერთ-ერთი ტრადიციაა. სხვადასხვა დროს მასში მონაწილეობდნენ მუსიკოსები სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, შვეიცარიიდან, ფრანგურების თანამედროვე მუსიკის ანსამბლი Recherche, ფრანგული Court-Circuit და სხვები. გასულ წელს „საღამოებში“ მონაწილეობდნენ Israel Contemporary Players და მათი ხელმძღვანელი, კომპოზიტორი დან იუხასი; დორიური უოლტ ნადი; ფესტივალის ძევლი მეგობარი და პრაქტიკულად მუდმივი მონაწილე იოსებ ბარდანაშვილი; პიანისტი ალექსეი ლიუბიმოვი და კომპოზიტორი ფრანსუა-ბერნარ მაში; რომლის შემოქმედებაც საფრანგეთში მცხოვრებმა ქართველმა პიანისტმა და მუსიკოლოგმა გიორგი ბერიაშვილმა წარმოადგინა; ერთი შემოქმედებითი საღამო კომპოზიტორ თეიმურაზ ბაკურაძეს დაეთმო, რომელიც, ამავდროულად, ფესტივალის არტისტული დირექტორია; კონსერვატორიის ანსამბლი „Consilia“, „ნიჭიერთა ათწლედის“ მოსწავლეები, ბავშვთა გუნდი რუსთავიდან, კონსერვატორიის სტუდენტური და ვორის ქალთა გუნდი. ფესტივალი უკვე წარმოუდგენელია ნანა ხუბურიას და მისი სტუდენტების, ასევე ჩრდილების თეატრის „ბუდრუგანა გაგრას“ და რეჟისორ გელა კანდელაკის გარშე. ეპითეტებისგან თავი შევიცავე, რადგან მგონია, რომ ჩამოთვლილი სახელები თავისთავად შეიცავენ ყველა შესაძლო დადგებით ეპითეტს.

ფესტივალის შვიდი, ტრადიციულად მრავალფეროვანი და ორგინალური საღამოს ერთიანი მიმოხილვა უკრნალის ფურცლებზე ძალზე დიდ ადგილს მოითხოვდა, ამიტომ შევჩერდი ფრანსუა-ბერნარ მაშე, რომელიც ფესტივალ „თბილისი 2013: თანამედროვე მუსიკის საღამოების“ ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული სტუმარი გახლდათ. ივი ძალიან საინტერესო კომპოზიტორი და მეცნიერია. ინტერნეტსივრცებში მისი ხანგრძლივი, მრავალმხრივი მოღვაწეობის შესახებ ამომწურავ ინფორმაციას იოლად იპოვით. ჩემთვის კი განსაკუთრებით საინტერესო იყო ინტერვიუ მასთან, როგორც მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ავანგარდისტების თანამედროვესა და ამ თაობის ერთ-ერთ წარმომადგენელთან. ფრანსუა-ბერნარ მაში უშავლო მომსწრე

და მონაწილე იყო მუსიკის ისტორიიში ყველაზე რადიკალური ცვლილებების მომტანი მოვლენებისა, რომლის გარეშეც თანამედროვე მუსიკის დღევანდელი სახე წარმოუდგენელია. თუმცა, თავად იგი, როგორც გამოირკვა, ნაკლებად იზიარებდა შტოკჰემბერისა და ბულების იდეებს და, შეიძლება ითქვას, მათ ბანაკს არც არასოდეს ეკუთვნოდა.


თბილისიდან გამგზავრებამდე კომპოზიტორს ავანგარდზე, იანის ქსენაკისზე (რომლის შემოქმედებას არაერთი გამოკვლევა მიუძღვნა) და თავის ფილოლოგიურ და მუსიკალურ ძიებებზე ვკითხე.

— თქვენ ომისშემდგომი ევროპელი ავანგარდისტების თაობას ეკუთვნით. სრულად იზიარებდით მათ პრინციპებს?

— მუსიკის წერა 50-იან წლებში დავიწყე და ნამდვილად მივეკუთვნები ავანგარდისტების თაობას, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათ ყველა შეხედულებას სულაც არ ვიზიარებდი. მხოლოდ რამდენიმეს, ჩემდაჭირად (ხემრობით). ორიგინალურობას და ინოვაციას, რაც ამ წლებში უმთავრესი იყო, ჩემთვისაც დიდ მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ არასოდეს გამიზიარებია იმდროინდელი კომპოზიტორების, მაგალითად, ბულების, შერეკვებულების, ბერიოს, მოგვიანებით პუსერის რაციონალისტური მიდგომა. უფრო მეტად ელექტროკუსტური პარტიტურები მიზიდავდა. ამიტომ შევუერთდი პიერ შეფერს 1958 წელს. იმ დროს ავანგარდისტები ერთგვარად თითქოს გვმტრობდნენ, მიუხედავად მუსიკის ამ სფეროში ერთი-ორი მცდელობისა, ბულები მოვლენებს ისე წარმართავდა, რომ ძლიერ ზეწოლას ახდენდა. მაგრამ ელექტროკუსტურულ პროექტებს მხარს უჭირდა მესინი, რომლის მონაცემები ვიყავი (ისევე, როგორც თავად ბულები). ასე დავიწყე. მოგვიანებით რამდენადმე დაგვშორდი მესინს, რომელსაც დღემდე უდიდეს თაყვანს უკემ, შეფერსაც და, კიდევ უფრო მეტად — ნეოსიურეალისტურ მიმართულებას.

— დღეს, ორმოცდაათზე მეტი წლის შემდეგ, როგორია თქვენი დამოკიდებულება და შეხედულება ავანგარდზე?

— ჩემი აზრით, მან ძალზე ნეგატიური გავლენა იქონია კომპოზიტორსა და აუდიტორიას შორის ურთიერთობაზე. ეს დიდი შეცდომა იყო. ავანგარდისტები ფიქ-



რობდნენ, რომ მუსიკა მხოლოდ რაღაც რაციონალურ-ზე, ლოგიკურზე უნდა ყოფილიყო აგებული. კიდევ იყო რაღაც, რასაც არასოდეს ვეთანხმებოდი: კომპოზიციის, როგორც მუსიკის ისტორიის ნაწილის კონცეფციის გა-აჩრება. ასეთ ისტორიულ მიდგომას, ვფიქრობ, ისინი შეცდომაში შეჰვავდა, რადგანაც პროგრესის იდეა პო-ლიტიკურად დიდ წინააღმდეგობრიობას შეიცავდა. პროგრესიზმი საზოგადოებაში, მუსიკალური პროგრე-სიზმის პარალელურად, მგონია, რომ, მეტნაკლებად, იგივე შეცდომაა.

ნელ-ნელა განვითარდა ინტერესი იმის მიმართ, რაც იყო არა მხოლოდ ისტორიული, არამედ პერმანენ-

ტული ადამიანის აზროვნებაშიც და მუსიკაშიც.

— თუმცა, მოგვიანებით ავანგარდისტებიც „დაუბ-რუნდნენ ფესვებს“.

— რა თქმა უნდა, მაგრამ ისინი არასოდეს აღია-რებდნენ შეცდომას. როცა პირველად შევხვდი ბუ-ლებს, ვაჩვენე პარტიტურა, სადაც დასაწყისში მოდე-ლად ზღვის ტალღების ხმაური მქონდა გამოყენებული. მან თქვა: „ოჰ, აქ ოსტინატოა!“, ეს დიდი შეცდომა იყო. მე ვუპასუხე, დიახ, ცვალებადი ოსტინატოა-მეთქი. „რა მნიშვნელობა აქს, ოსტინატოა“ — ეს მისთვის უპატი-ებელი შეცდომა იყო.

— ქსენაკისის პოზიცია როგორი იყო?



ფრანსუა-შერლარ ეაზი

— მასთან ყოველთვის ძალიან მეგობრული დამოკიდებულება მქონდა. ის იზიარებდა ავანგარდისტების გზას, მაგრამ მათი „მეინსტრიმისგან“ მაინც განსხვავდებოდა. ამასთანავე, ჩემსავით, ისიც ბუნებრივი ფენომენების გავლენას განიცდიდა. რამდენჯერმე ერთად გავატარეთ არდადეგები და ზღვის ხმაურს ვაკვირდებოდით, მაგრამ მას ამ ხმის მოსმენა მხოლოდ ქარიშტლისას აინტერესებდა, მშვიდი ზღვის ხმაური მის ინტერესებში არ შედიოდა. ის ამგვარ ბგერებს და ბუნების სხვა მოვლენებს იყენებდა არა მხოლოდ როგორც მოდელებს, არამედ მათ ფიზიკის კუთხითაც შეისწავლიდა; მაგალითად, აირების თეორია. მე კი მაინცდამა-

ინც არ მინდოდა ბუნებისადმი ჩემი დამოკიდებულების რაციონალიზება, ამიტომ ჩვენ ერთმანეთისგან დიდად განვსხვავდებოდით. როცა ბუნებისმიერი მოდელების ჩემი თეორია განვავითარებ, ეს მისთვის სენსიტიურად ახლობელი იყო, მაგრამ პრაქტიკაში სხვაგვარად იქცეოდა.

— სტატიაში „ქსენაკისის ელინიზმი“ თქვენ ქსენაკისის ძალზე ავანგარდისტულ ნანარმოებებს აანალიზებთ. ეს იმას ნიშნავს, რომ ეროვნულობის თავისებურებებისგან თავის არიდება ავანგარდშიც კი შეუძლებელია?

— ასეთი ადრიანი დილისთვის ძალზე რთულ შეკითხვას მისვამთ (ინტერვიუ დილის ცხრის ნახევარზე ჩაიწერა — მ.ს.). კომპოზიცია, მუსიკის წერა მხოლოდ ერთ შეგრძებაზე არაა დამყარებული. ეს სხვადასხვა შეგრძების შედეგთა ორგანიზებაცაა, თუკი ბოლოს და ბოლოს მხოლოდ მუსიკალური ლინგვისტიკის განზომილებაში არ მოვახდეთ მის რაციონალიზაციას. მაგრამ რაციონალურობასა და წმინდა ინტუიციას შორის ბალანსის დაცვა პიროვნული საკითხია; მისი თეორეტიკირება, ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრა შეუძლებელია. ასე რომ, ქსენაკისი მათემატიკას იყენებდა უპირველესად იმიტომ, რომ ინტინერი იყო. მე უპირატესად ელინიზმს და ლიტერატურას ვიყენებდი, რადგან კლასიკური ფილოლოგის მასწავლებელი ვიყავი.

— და თქვენ დიდი ხნის განმავლობაში იკვლევდით მთხოვთ.

— მითი დამეხმარა იქ სხვადასხვა ინტუიციური მომენტის ორგანიზებაში, რომელიც მქონდა. ყველაზე მიმზიდველი მასში ისაა, რომ როგორც კი მითის მოყოლას ინტებთ, ირგვლივ ყველა გისმენთ, მარტო ბავშვები კი არა, მოზრდილებიც იმიტომ, რომ მითი ჩვენს გონებაში რაღაც ღრმად ფესვგადგმულს ეხმაურება, ეს სპონტანური აზროვნებისა და წარმოსახვის ერთგვარი ნაირსახეობაა. ამიტომაცა, ყველა დროის და მთელი მსოფლიოს მითები ერთმანეთს ასე რომ გვანან. მითი ასევე დამეხმარა მივმხვდარიყავი, რატომ მიზიდავდა ასე ბუნებისმიერი მოდელები. თავდაპირველად, ეს წმინდა გემოვნების საკითხი იყო და მერე მივხვდი, რომ კულტურაში მითის უნივერსალობის და მუსიკის ზოგი-

ერთი თვისების უნივერსალურობის ეკვივალენტურობას შეეძლო აქცია ის, რასაც ვეძებდი.

მითი და მითოლოგია სხვადასხვა რამაა. მითი, ალბათ, ადამიანის სპონტანური პზროვნების პროდუქტია, მითოლოგია კი მას ზღაპრის, ამბის, ლეგენდის ფორმას აძლევს.

— ანუ, თქვენი აზრით, მითს მხოლოდ ადამიანის სპონტანური აზროვნება შობს და არა ისტორიაც მასთან ერთად?

— ჩემი აზრით, მითი არაა ისტორიული მოვლენა, მაგრამ რამდენადაც ის ისტორიის პროცესში ჩნდება, განსხვავებულ ფორმებს და მითოლოგიებს ატარებს. თუმცა, მითიური ხატები მეტნაკლებად უნივერსალურნი არიან. უნივერსალურობა არ ნიშნავს იმას, რომ მათი პოვნა ნებისმიერ დროსა და ადგილას შეგიძლიათ. მაგრამ იგი სპონტანურია და შეიძლება შეგავსი ან იდენტური სახით ისეთ კულტურულში გაჩნდეს, რომელთაც ერთმანეთთან საერთო არაფერი აქვთ.

— ფიქრობთ, რომ არსებობს მითოლოგიური ფორმულები ან მოტივები, რომელიც დღესაც მუშაობენ?

— რა თქმა უნდა. შეხედეთ ამერიკელების ჰეროიკული კოსმოსური Fantasy-ს უანრს, იგი სავსეა მითებით, ანდა ფილმები, სადაც ხვდებით დმერთებს — გერმანული მითოლოგიდან. რა თქმა უნდა, ეს სულ არ ნიშნავს იმას, რომ თუკი უნივერსალურ მოვლენას, მითს გამოიყენებ, ნამუშევარიც უნივერსალური გამოვივა. მასზე მუშაობისას პირველ რიგში უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს არ არის უბრალოდ მოთხოვთა, ჩვენ ის უნდა გავაცოცხლოთ ისე, როგორც ჩვენ გვსურს და ჩვენს დროს შეესაბამება. სხვა შემთხვევაში, იგი წარმატების მიღწევის იაფთასინ საშუალებად იქცევა, ისეთად, როგორიცაა, მაგალითად, „Muzak“ სუპერმარკეტების მუსიკა, რომელიც ძალიან კარგადაა გაკეთებული და გარკვეული დროის შემდეგ ხალხს ყიდვის სურვილი უჩნდება. ამგვარად გამოყენებული მასალა მითი კი არაა, არამედ მისი მკვდარი ნაწილია, უბრალოდ კლიშეა. უნივერსალური მოვლენა — არქეტიკი კვდება, როცა იგი კლიშედ გადაიქცევა.

— ფესტივალზე ჩვენ მოვისმინეთ თქვენი ძალიან საინტერესო ნაწარმოები „KENGIR“, რომელიც დაფუძნებულია თქვენს ორიგინალურ კონცეფციაზე წარ-

მოსახვითი ფოლკლორის შესახებ. რას ნიშნავს წარმოსახვითი ფოლკლორი?

— მარტივად რომ ავხსნა, წარმოსახვითი ფოლკლორი სპონტანური, პოპულარული მიდგომაა სხვადასხვა კულტურისადმი. აქ, მათ შესახებ არც რაიმენაირი თეორია იგულისხმება, არც მათი მითი და მუსიკა. უბრალოდ მცდელობაა წარმოვიდგინოთ, როგორი იქნებოდა ეს კულტურული თავიანთ ყოველდღიურობაში, ისე, თითქოს ყველაფერი ცხადი და ჩვეულებრივია. ხანდახან პრობლემა შეიქმნება იმასთან, რაც მე თვითონვე შევქმნი, ცხადია, მნიშვნელოვანია იყო თვითკრიტიკული, მაგრამ ზედმეტადაც არა, რადგან ამით შეიძლება ყოველგვარი მცდელობა მოკლა.

— ამგვარ პროცესში რაიმე სახის არსებულ მონაცემებს, წყაროებსაც იყენებთ თუ ეს მუსიკა აბსოლუტურად წარმოსახვითია?

— გააჩნია. მაგალითად, დიდი ხნის განმავლობაში ვიყავი დაინტერესებული სხვადასხვა ენის მუსიკალურობით. მაგრამ, ხანდახან, იშვიათად, წარმოსახვითი ენების გამოვნებასაც ვცდილობ.

— ახლა რაზე მუშაობთ?

— სულ ახლახან დავასრულე ნაწარმოები, ერთგვარი მუსიკალური მოთხოვთა მონლოლეთის პირველ ფრანგ მკლევარზე, გიორგ დე რუბრუკზე, რომელიც მარკო პოლოზე ერთი თაობით უფროსი იყო. იგი ლუი მეცხრეს დავალებით იქნა წარგზავნილი, რათა გაერკვა ჯვაროსნულ ომებში, სარაცინების წინააღმდეგ ბრძოლისას მონლოლებთან ალიანსის შესაძლებლობა (რაც, საბოლოოდ, სრულიად განუხორციელებელი აღმოჩნდა). ნაწარმოები დაწერილია მთხოვთელის, სიმებიანი კვარტეტისა და ჩანაწერისთვის, ხანდახან კვარტეტის მუსიკოსებიც მდერიან. ვფიქრობ, მასში ქართული სასულიერო მუსიკის გავლენაც კია, განსაკუთრებით „წმიდა დედოფლის საგალობელის“ (ფრანგული ძეგლის მაში ქართულად წარმოთქვას სახელწოდებას). მე ყოველთვის დიდი თაყვანისმცემელი ვიყავი ამ მუსიკისა. საქართველოში ყოფნისას კი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ტაძრებმა და გამაოცა იმან, რომ აქ ქალთა გუნდებიც გალობენ, რაც, ვფიქრობ, შევენირია, მომენტი. ალბათ, ფემინისტებიც კმაყოფილი დარჩებოდნენ ამით.



ფავანი. სოჭელი შუალეთი. მარცხნიდან: რევაზ ინასარიძე, ნანა დუღაშვილი, თავების ერისთავი, გრიგოლ ჩხილავა, თავარ ესარი, მინა გორგაძე. 1957

მინდია უორდანიას ფენომენი

თავარ ესარი

ჩვენგან წასული ადამიანების გახსენება სევდისმომგვრელია, მაგრამ მათი ხსოვნის ნათელსაყოფად უკან გახედვა აუცილებელია.

ჩემს ცხოვრებაში რამდენჯერმე გამოვეთხოვე ძვირფას ახლობლებს – ვინც მიყვარდა და ვისიც მწამდა. კუკური ჭოხონელიძე უცებ გაქრა. კაზი როსებაშვილიც ასევე თავგარდამცემი ტრაგიზმით. მინდია უორდანიას სიკვდილის სიახლოვე კი რაღაცნაირად, შინაგანად შევიგრძენი.

ქართული ეთნომუსიკოლოგის ბედაურთა – მოწოდებითა და „სულიოთ ხორცამდე“ მუსიკოს-ფოლკ-

ლორისტების ეს „შესანიშნავი სამეული“ გამორჩეული ნიჭიერების, საერთო მრნამსის მქონე, სულ რაღაციო გატაცებული, მუდამ საპაეროდ ალესილი და „დოგმა-თა მსხვრევის ჟინით“ (მურმან ლებანიძე) იყო შემართული. ქართული ხალხური შემოქმედების კაბინეტი კი ინტელექტუალურ „შერკინებათა“ ნამდვილ ეპიცენტრს წარმოადგენდა. სადისკუსიო თემები მრავლად იყო: ჭადრაკი, ფეხბურთი, ხელოვნების უნივერსალური ღირებულებანი, სხვადასხვა მუსიკალური მიმდინარეობები, მუსიკალური ფოლკლორის არქაული პლასტების მხატვრული თუ კილო-ინტონაციური თავისებურე-

ბები, მწვავე ეთნომუსიკოლოგიური საკითხები და ა.შ.

ზუსტად არც კი მახსოვს, რა ვითარებაში გავიცანი მინდია. თუმცა კონსერვატორიის პირველივე დღეებიდან თვალში მომხვდა მისი უშუალობა, უბრალოება, ღიმილიანი გამომეტყველება, გონიერამახვილური გურული ენაკიმიატობა, წესიერება. მის არაქედმაღლურ, მაგრამ აშკარა თავდაჯერებულობაში უწყინარი, მოკრძალებული ხასიათი და რომანტიკული სულიც შეიგრძნობოდა. საფირული, თუ ზოგჯერ სარკასტული მინიშებებით იგი სტერეოტიპულ აზროვნებასთან სრულ შეუთავესებლობას გამოხატავდა. ხალასი იუმორი (ერთგვარი გროტესკიც) კი მისთვის თითქოს პოზიციის დაფიქსირებისა და „გამაგრების“ საშუალებასაც წარმოადგენდა.

მის გონიერაში „ცხელ-ცხელი“ აზრები და ახალ-ახალი იდეები იხარშებოდა. მისი ხანმოკლე სიცოცხლე იმის დასტურია, რომ როგორც ეროვნული ენერგიით დამუხტებულმა პიროვნებამ, მან შეძლო დაეძლია ინერციული თვალსაბრისი, დაურღვია სტანდარტული აზროვნების ჩარჩოები, შეემუშავებინა ორიგინალური და მყარი მეცნიერული მიდგომები და ამით საკუთარი პროფესიული კომპეტენცია ეჩვენებინა.

სიმონ ჩიქვანის პერიფრაზს თუ მოვიშველიებ, ცხოვრება მისთვის „ჭიდილი და თავისუბური ასპარეზობა“ იყო — ცხოვრებისეულ სიძელეებთან, თუ წინააღმდეგობრივ განსჯასა და აზრთან მუდმივი ჭიდილი. მუსიკისაგან, მშობლიური ფოლკლორისაგან ის არ ისვენებდა, მისით სულდგმულობდა და განუწყვეტლივ მისთვის იკრეფდა ძალებს. ყოველდღიურ სუსსა და განამინაში ზოგჯერ უჭირდა კიდეც, მაგრამ გარანტირებული კეთილდღეობით მიწირ არსებობას იდუმალი, ამოეხსნელი სიდრომეების წვდომისა და ძიებისაგან სწრაფვას ამჯობინებდა.

მისი უდიდესი მასნავლებელი და ძლიერი იმპულსის მიმკემი იყო ტრადიციული ხალხური მუსიკალური შემოქმედება, რომლის წიაღიძანაც ამოიზარდა ეროვნული ცნობიერებით გაჯერებული თამამი შეხედულებები, მარადიულ ფასეულობათა და იდეათა სამყარო, ცხოვრების არსი — ანუ მისი სასიცოცხლო მიზანი, სივრცე.

მისი ნამრომების ქრონოლოგიას თუ მივყვებით,


ცხადი ხდება, რომ ნახევარსაუკუნოვანი სიცოცხლის მიუხედავად (1929-1979), ახალგზრდა მუსიკოსმა საკმაოდ ნაყოფიერად იღვანა. მისი მეცნიერული თვალსანიერი მნიშვნელოვან თემატურ სპექტრს მოიცავს: ქართული შრომის სიმღერების უანრული გენებისის, „ოროველას“ მოდელაციური ფორმებისა და მოძახილი — მაღალი ბანის სპეციფიკიდან დაწყებული კილოური პრობლემების გაშუქებით დამთავრებული. გამოქ-



ათენისა გორგანია, ოთარ ჩიქვანია, კახი ლოსაგავალი. ფოტოკლიონის ააგილები. 1952

ვეუნებული ნამრომების მაგისტრალური საზი კილოს თემის სხვადასხვა ჭრილში კვლევას უკავშირდება. ამ მხრივ აღსანიშნავია „პენტატონიკა ქართულ მუსიკაში“, „ქართული ურმული სიმღერების კილოები“, „ქართლ-კახური შრომის სიმღერების კილოები“, „ლირიკული კილო ქართულ ხალხურ მუსიკაში“, „ერთ-ერთი უძველესი კილო — ტეტრატონიკა“ და სხვ.

მინდია უორდანიას შესაძლებლობანი არ ეტეოდა მარტომდენ ეთნომუსიკოლოგიური კვლევის ჩარჩოებში და ითავსებდა სხვადასხვა მიმართების ინტერესებს. სამეცნიერო მუმაობის პარალელურად მისი საქმიანობის განუყოფელ და თანაბარმნიშვნელოვან სფეროს მუსიკალური პედაგოგიკა წარმოადგენდა. ახალთაობისადმი მისი დამოკიდებულება იშვიათი გულისხმიერებით, ენთუზიაზმით, მზრუნველობითა და



ისალია. იოსებ (სოსო) ქორდანია ოჯახთან,
ეიცოსთან და სანდროსთან ერთად (2004)

ენერგიის თავდაუზოგავი ხარჯვით იყო აღსავსე, რამაც
სამაგალიოთ პედაგოგიური ავტორიტეტი მოუპოვა მას.

მინდიასეული სწავლების მეთოდოლოგიური პრინ-
ციპები შემოქმედებითი აქტივობის „იდეალად“ ქცევას
გულისხმობდა — არა მარტო რჩეულთათვის ან „ტა-
ლანტებისათვის“, არამედ განურჩევლად ყველასათ-
ვის. ამიტომაც მის „შეგირდთა“ ფსიქოლოგია შემოქმე-
დებითი პროცესის განცდის ბუნებრივ მოთხოვნილებას
ემყარებოდა. თუმცა მან, როგორც პედაგოგ-ექსპერი-
მენტატორმა, კარგად უწყოდა, რომ სასურველი შედე-
გების მიღწევამდე შორი გზა იყო გასავლელი. იგი სხვა-
დასხვა კლასებში „გაბნეულ-გამომწყვდეული“ ცოდნის

მოსწავლე-ახალგაზრდობის შემუცნებაში ჩანერგვას, გაერთიანებას და მათი უნარ-ჩვეულების გათვალისწინე-
ბით მომიჯნავე დარგებში ინტერირებას ცდილობდა. შეიძლება ითქვას, რომ მისი მეთოდითა, გარკვეულწი-
ლად ესოდენ პიპულარული, თანამედროვე კრეატიუ-
ლი პედაგოგიკის წამყვან პრინციპებს უახლოვდება.

გარკვეულ პერიოდში კონსერვატორის პარალე-
ლურად მასთან ერთად მომინია მუშაობა დიმიტრი
არაყიშვილის სახელობის თბილისის პირველ სამუ-
სიკო სასწავლებელში, სადაც იგი სოლფეჯიოსაც ას-
წავლიდა. იმდროინდელი ცხოვრებისეული ყაიდის
მიხედვით სამსახურისა თუ თითქმის ყოველ საღამოს
სპექტაკლ-კონცერტების შემდეგ ერთი გზა გვქონდა
შინისაკენ. მისთვის ჩვეული ხუმრობ-ხუმრობით სულ
მაყვედრიდა: ყოველ საღამოს შენმა გაცილებამ დამ-
ლალა. იმდენს გპატორობ გზაში თუ ექსპედიციაში, რომ
შოკოლადის ფაბრიკაც რომ ამიშნოთ მესხებმა,
ჩემი ვალიდან ვერ ამოხვალთო (გიუდებოდა შოკო-
ლაზე, რითაც ხშირად ვუმასპინძლდებოდი). ეს ისე.
მაგრამ, რაც მთავარია, კარგად მახსოვს, რა დაუბარე-
ლად და წვრილად მიყვებოდა თავისი პედაგოგიური
მივნებების შესახებ. რეზნიკის, ლადუხინისა და ბლუმის
მიერ შედგენილი კარნახების კრებულები ეკოტავებო-
და და მეცადინეობისას თავის შეთხულ კარნახებსაც
უხვად იყენებდა. ბევრი მათგანი დღესაც ყურში მიზის.

მას ერთ, ორ ან სამხმიანი კარნახები ასობით ჰქონ-
და შედგენილი.

არა ერთი და ორი წლის საქმიანი თუ პიროვნული
ურთიერთობების წყალობით კარგად ვიტონბდი „ყო-
ფით“ მინდიას. საკუთარი მე-ს წარმოსაჩენად იგი არა-
სოდეს ყოფილა „გარსით“ გარემოცული. დიდთან —
დიდი, პატარასთან — პატარა იყო. იცოდა კარგის და-
ნახვა. მცირედი სიკეთისათვის არ იშურებდა საქებარ
სიტყვებს. მასში ბუნებრივად იყო შეხამბული გონება
და ემოცია, უტეხი ხასიათი და ჩვეულებრივი ადამია-
ნური სისუსტები, რაციონალური ლოგიკა და მგრძნო-
ბიარე სენტრიმენტები.

აგერ უკვე მეოთხედ საუკუნეზე მეტა ხანმა განვ-
ლო უმინდიოდ. მის დანაკლისს სხვა ადამიანით ვერ
შეცვლი. დარჩა შეუვსებელი სიკარიელე. თუმცა არა.
დარჩა ხსოვნა, რაც გრძელდება მისი ოჯახის, ჩენებს



მინდია შორდანია ოჩახთან ერთად

მეხსიერებაში ჩარჩენილ მოგონებებში და რაც მთავარია, მის ნააზრებში.

რაც მეტი დრო და ხანი გავა, მით ნათლად გამოიკვეთება მისი ფენომენი. იგი არავის ჰეგვადა და ერთი წამიც არ დაუკარგავს ვისიმე მიმბაძველობისა თუ გავლენისაგან „თავის დასაღწევად“. მან პირდაპირ მინდია უორდანიად შემოაბიჯა უფროსი თაობის ეთნომუსიკოლოგთა გუნდში და დაიმკვიდრა კიდეც ღირსეული ადგილი.

ის ჭეშმარიტად ქართულ საქმეს აკეთებდა. უანგაროდ. ერთგულად.

P.S. უთქმელი სიტყვა დარდიაო. სასიქადულო კოლეგისა და უფროსი მეგობრისადმი ნათებამმა ორიოდ სიტყვამ ერთგვარი შვება მომგვარა და ეს განცდაც შემისუბუქა.



მინდია შორდანია სხულებულთან, მვილაპთან ცოსოსა და ნეპრისთან ერთად

მინდია უორდანიას მიერ შედგენილი კარნახი



ეთოვან გაიაშვილი

ედიშერი გარდაცვალა 1998-ში, 5 სექტემბერს და ეს გამაონებელი ამბავი სასწრაფოდ მოედო მთელს საქართველოს. დიდა თუ პატარას მისი სახელი ეკრა პირზე. ყველა ცდილობდა, ამ კაცთან მისი ახლობლობა განეცხადებინა. გატეხებსა და უურნალებში უამრავი სტატია დაინერა მისი უეკარი და შემზარავი, გამოუცნობი გარდაცვალების გამო. მის მეგობრებსა და თაყვანისმცემლებს არ დაუშურებიათ ქართულ ენაში არსებული არც ერთი ეპითეტი მის საქებრად. თუმცა მაშინ, უხელ გულზე, შოკურ მდგომარეობაში შესაძლოა, ყველაფერი არ თქმულა ამ სიყვარულით სავსე და უდრევ მამულიშვილზე.

მისი გარდაცვალებიდან 16 წელი გავიდა. 24 თებერვალს კი 57 წელი შეუსრულდებოდა. გამოიცა

ლი, ბავშვებისადმი კი შემგონებლური და სიყვარულით გაჯერებული, ზომიერი, ადამიანური ურთიერთობა. მკაფიო და დახვენილი ქართულით მოსაუბრე, ჯანსაღი იუმორის მქონე, საჭიროების შემთხვევაში – მკაცრი და შეუვალი, ბოლომდე პატიოსანი და ღირსებით სავსე



ედიშერ გარაუანიძე

წიგნები, სიმღერების დისკები, მისი მოსწავლეები და სტუდენტები, მეგობრები, კვლავაც მიატკიებენ გულს, რადგან საამქვეყნოდ ბევრი რამ დატოვა, ედიშერის ნაღვანი კვლავაც ცოცხლობს და კიდევ მრავალ თაობას მისწვდება მისი სიყვარულით სავსე სურიქონები.

დღეს ჩვენთვის, მისი მეგობრებისა და თანამშრომლებისათვის, ედიშერი მოუშუშებელი ტყივილია, მაგრამ არაჩვეულებრივი მაგალითი – სამშობლოს, ოჯახის, უღალატო მეგობრობის, ადამიანობის, საქმის სიყვარულისა და ერთგულების. ედიშერი – დღემდე ხალხური სიმღერის შემსრულებლობაში მეტრად რჩება. შეუცვლელია მისი ნიჭიერება, მეცნიერული კეთილსინდისიერება, საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობა და კოლეგებისადმი კეთილგანწყობილი დამოკიდებულება. უფროსებისადმი განსაკუთრებული, მოწინებუ-

ადამიანი. ამდენი წლის შემდეგ, როცა მის ნაღვანს გადაავლებ თვალს, გაოცებას იწვევს, როდის ასწრებდა ამდენი რამის კეთებას. ყოველი ცისმარე დღე მისთვის საშრომად თენდებოდა... ცოტა ეძინა, თავდაუზოგავი იყო. ზომაზე მეტად სტკიოდა ქართული სიმღერა, ამიტომაც არასოდეს იშურებდა ამ საქმისთვის ძალ-ღონეს. მეორე მხრივ, ქართველი ვაჟაცაცი იყო და ეტრიფოდა ქართულ სუფრას, სიმღერას, ლექსს, ქართულ ყოფას. უამრავი ლექსი იკოდა ზეპირად, არასოდეს დაივიწყებდა მეგობრის დაბადების დღეს, აუცილებლად შინ მივიდოდა და ისე მიულოცავდა. ოჯახისთვისაც უებრო მამა და მეუღლე, მშობლებისათვის – სანიმუშო შვილი. არაჩვეულებრივი უნარით იყო დაჯილდოებული – შეეძლო ძალის მშვიდად და პატივისცემით საწინააღმდეგო აზრის მოსმენა და გულდინჯად პასუხი.

ერთი სიტყვით, მრავალი ადამიანური ღირსებით შემკული, ტრადიციულ-ქართული წესით აღზრდილი და შვილების ასევე აღმზრდელი ადამიანი იყო. სიკეთით და კაცომუყვარებით სავსე ურა ჰქონდა და ირგვლივ სიმშვიდესა და კეთილმოსურნეობას ასევებდა. ძალიან კარგად უწყოდა იმ საქმის ფასი, რასაც მთელი შეგნებით ემსახურებოდა და არასოდეს ღალატობდა. ვიდრე არ დარწმუნდებოდა, მანამდე აზრს ხმამალლა არ გამოთქვამდა. აუცილებლად გაატარებდა ათასგვარ პრიზმაში და მხოლოდ შემდეგ გამომზეურებდა.

ანსამბლი „მთიები“ 1980 წელს შეიქმნა ედიშერის თაოსნობით. პირველი ნათლობა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგა, სიმბოლური იყო, რომ ეს ანსამბლი საზოგადოებას პირველად ვახტაში კოტეტიშვილმა წარუდგინა. იმსანად თბილისში ასეთი ანსამბლის შექმნა წარმოუდგენელი იყო, რადგან საყოველთაოდ დაკანონებულიყო ხალხური სიმღერის შესრულების საბჭოური წესი: ხალხური სიმღერა ხალხს ეკუთვნის, ხალხის წიაღიდანაა ამოზრდილი, ამიტომაც მასობრივი და იდეოლოგიური კულტურის დასანერვად ყველაზე ხელსაყრელი იარაღია, ყველა ხალხის კულტურა ერთ ყალიბს უნდა მორგებოდა, რაც უფრო მრავალრიცხოვანი გუნდი დადგებოდა სკენზე, ხალხურ საკრავთა საბჭოურ ოკესტრთან ერთად, მით უკეთ გამოჩნდებოდა კულტურის მუშაკთა იდეოლოგიური აქტივობა და ასე შემდეგ. გამონაკლისს საბჭოურ გარემოში მყირერიცხოვანი ანსამბლები წარმოადგენდნენ და სხვათა შორის, ამის შესახებ თვით ედიშერი წერდა მოვინარებით (გარავანიძე ე. 1985). ამიტომაც, „მთიები“ იმსანად, ყოველი მხრიდან თითოთ საჩვენებელი იყო. დიას, ეს ხალხური სიმღერის შესრულებლობაში რევოლუციის ტოლფასი თუ არა, საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ გალაშერებად და ეროვნულ საფუძველზე დამყარებულ ახალ საშემსრულებლო მიმართულების აშკარა გამოხატულებად უნდა ჩაითვალოს. რითი გამოირჩეოდა „მთიები“ სხვა დანარჩენებისაგან? ამის შესახებ ბევრი ითქვა და დაინტერა, თუმცა არა მგონია, დღეს ზედმეტი იყოს ამის გამეორება. ედიშერი უაღრესად დიდი პატივისმცემელი გახდათ ძველი, მამაპაპური ტრადიციისა და ამიტომაც საგანგებოდ იკვლევდა ყველა ნიუანსს, თავს ვერ აპატი-



გარაფანიძეების ოჯახი

ებდა, თუ რამე გამორჩებოდა და როგორ განსხვავებული ანსამბლის შექმნა გადაწყვიტა, ის შინაგანად სრულიად მომზადებული და ზედმინევნით განსწავლული შეუდგა ამ საქმიანობას. დაწყებული იქმდან, რომ ანსამბლის წევრთაგან არც ერთი არ იყო პროფესიონალი მუსიკოსი, ანსამბლის წევრები სხვადასხვა პროფესიისა და სხვადასხვა კუთხის ტრადიციის მატარებლები იყვნენ. მათ სიმღერის სიყვარული და მევნეობრიბა აერთიანებდა. ფეხდაფეხ დაიარეს საქართველოს სოფლები, ჩანერეს, გადაიღეს, ადგილტევე ისნავლებს. ყველაზე ერთად, თავისი თვალით ნახა და მოისმინა უამრავი სიმღერა, ცეკვა, რიტუალი. ასეთ პირობებში, მათ ღრმად შეიგრძნეს და გაითავისეს განსხვავება ქალაქერ და სოფლეურ შესრულებას შორის. სამწუხაროდ, ძველი თაობის შემსრულებელთაგან (არა ყველასგან) პრო-

ტქის მხოლოდ შესრულების მანერაზე მოდიოდა და არ ვიცი, ვერ თუ არ ამჩნევდნენ, რომ „მთიების“ მთავარი განმასხვავებელი მაშინდელ შემსრულებლებისგან არ იყო მხოლოდ ბერა, არამედ სიმღერისთვის, შეძლებისდაგვარად, იმ სოციალური პირობითი გარემოს შექმნა (რის საშუალებასაც სცენა იძლეოდა) და სინკრეტულობის შენარჩუნება, რაც ასე გამოარჩევს ხალხურ სიმღერას ყველა სხვა მუსიკალური ჟანრისაგან. ხალხური სიმღერის ზეპირი ტრადიციის მატარებლებს (ეთნოფორებს) სწორედ სინკრეტულობა აძლევდა სიმღერის სრულყოფილად შემონახვისა და ახალი თაობისთვის შეურყვნელად გადაცემის საშუალებას. სინკრეტულობა და სინკრეტული აზროვნება იყო სწორედ ედიშერის საშემსრულებლო კრედო. მან კარგად გაითავისა ხალხური სიმღერის „ფილოსოფია“ და „გრამატიკული“ ნორმები და მათ სცენაზე დანერგვას დაუდო საფუძველი. თუ გულდასმით წავიკითხავთ ედიშერის სადოქტორო დისერტაციას, მივწვდებით, რომ იმხანად დაწერილი დისერტაციებისგან ჯეროვნად განსხვავდება. ეს არ არის ერთი ჩვეულებრივი დისერტაცია. ეს უპირველესად გულითადად, მოწინებითა და სიყვარულით გაჯერებული სამადლობელი ჰიმნია ყველა იმ ცნობილი და უცნობი მოღვაწის მიმართ, ვისაც თავისი მხრებით უცრქნია ხალხური სიმღერის უწმინდესი და უძინიმესი უღელი და ჩვენამდე მოუტანია — სიცივის, შიმშილის, დევნის, წნევისა და სხვა ბევრი უბედურების ფასად (სამწუხაროდ, ედიშერმა ამ ნაშრომის დაკვავერ მოასწორო). ამიტომაც, როცა ედიშერის მოღვაწეობის შეფასებას ეცდება ვინმე ღვთისნიერი, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს მისი ცოდნის ძალიან ფართო თვალსაწიერი. „მთიების“ ხელმძღვანელის საშემსრულებლო მოღვაწეობა არ ყოფილა ცალმხრივი: სცენაზე თავის მოსაწონებლად, ანდა ბერის ევროპულად დახვეწის მიზნით კი არ იდგა, არამედ უმყარეს სამეცნიერო საფუძველზე, რასაც ეთნომუსიკოლოგიური კვლევის კომპლექსური მეთოდი მოითხოვს და დღესაც აქტუალურია. უფრო მეტიც, მისთვის ანსამბლი „მთიები“ მხოლოდ სიმღერის შესასრულებლად შექმნილი ანსამბლი კი არა, არამედ საკვლევი ლაბორატორია იყო, მას მძიმე მისია ეკისრა — უნდა აღედგინა და შეეხსენებინა ქართველობისთვის, რომ ქართული, ისე

როგორც ყველა ტველი კულტურის, ხალხური სიმღერა ძირძეველი ფესვიდან არის ამობრდილი და იმ ფესვს გაფრთხილება სჭირდება. ამიტომაც დადიოდნენ სოფელ-სოფელ და სწავლობდნენ. დღეს, სამწუხაროდ, აღარავინ ამბობს, რომ „მთიება“, სწორედ „მთიება!“ აღადგინა იმ საბჭოთა დროს „აღილოხი“ და „ჭონას“ რიფუალები. წარმოგიდგენიათ, საბჭოურ ქართულ სოფლებში კარდაკარ მოსიარულე ბიჭები კალათით ხელში, ქრისტეს დაბადებაზე ან აღდგომაზე მომღერალი? იცით, რა ხდებოდა იმ დროს მასპინძლების სულებში? გასაოცარი რამ: ეს მხოლოდ ძირძეველი ტრადიციის აღდგენა არ იყო, ეს ხალხთან სიმღერით ურთიერთობის მივიწყებული და განახლებული კეთილშობილური ქმედება იყო. ამიტომაც, როცა „მთიები“ სცენაზე აცოცხლებდა ამ და კიდევ ბევრ სხვა მივიწყებულ რიტუალს, ბიჭებს მსმენელთან მოჰქონდათ ის სოფლად განცდილი სიხარული, რისი მომსწრე და მნახველნი თავად იყვნენ. ამის გამო, არცერთ მათგანს არ გასჩენია სხვაგვარად სიმღერის თქმის სურვილი. მათი ბერა, სინკრეტულად გააზრების და არა ბრმად მიბაძვის შედეგად წარმომაშვებოდა — ანუ სიმღერის, მოძრაობის, ცეკვის, განწყობისა და პოზის ერთდროულად აღქმითა და გადმოცემით. ამავე დროს, მათ სიმღერა სისხლხორცულად ჰქონდათ გათავისებული და სცენაზე შედგომისას კი არ გარდაისახებოდნენ მსახიობთა მაგვარად, არამედ იმ წუთას თავად ხდებოდნენ ტრადიციის მატარებლები. ძალის ნიშნებობლივია, რომ როცა ედიშერმა XX საუკუნის უდიდეს ქართველ რეჟისორს — მიხეილ თემანიშვილს სთხოვა საკონცერტოდ დახმარება, დიდი პროფესიონალი რეჟისორმა პასუხად მიუგო — თქვენ იძდენი განსხვავებული რამ მოიცანეთ სცენაზე, რომ აქ მე ხელს ვერ ჩავრევო. ასე რომ, „მთიები“ არ იყო მხოლოდ, როგორც ედიშერი იყოდა, ხალხური სიმღერის ამსრულებელი ანსამბლი (ედიშერ გარაყანიძემ ეს ტერმინი ძველი პრესიდან ამოიღო და ხშირად, როდესაც ანსამბლებზე წერდა, იყენებდა ტერმინს „ამსრულებელი“ და არა „შემსრულებელი“. იგი ასე იტყოდა: „ხალხური სიმღერის ამსრულებელი“), ის ხალხური თეატრის ტრადიციის გაგრძელებაც იყო. მსახიობებს მართლაც გააჩნდათ განსხვავებული ფუნქცია — გარდა სიმღერისა, მათ ყოფიერების ცოცხალი ანდა

ნარსულის სურათები უნდა წარმოედგინათ რიტუალურ ჭრილში. მაშასადამე, „მთიები“ არც მთლად ანსამბლი და არც მთლად თეატრი – არამედ შეაღედური ცოცხალი ორგანიზმი იყო. მათთვის მხოლოდ ბერის ავთენტურად წარმოთქმა, შესრულება არ იყო თვითმიზანი, ასეთი შესრულება ქმედებითა და ხალხური სიმღერის დიალექტოლოგიური არტიკულაციით წაკარნახევ განიხილებოდა, როგორც სინკრეტიზმის გამოვლინება. შემდეგში, ედიშერის ვაჟმა – გიგიმ (სამწუხაროდ, გიგი სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა), „მთიებს“ ეთნომუსიკის თეატრი უწოდა საგუსტით მართებულად. არც ის უნდა მიეწეროს შემთხვევითობას, რომ ედიშერის საკანდიდატო დისერტაცია სწორედ ქართული სიმღერის დიალექტებს ეძღვნება. მან ჩვეული გულმოდგინებით შეისწავლა ქართული ხალხური მუსიკის ყველა დიალექტი და სწორედ არტიკულაციური თავისებურების გათვალისწინებით გააკეთა ბევრი საგულისხმო დასკვნა. ეს კი თანამდეროვე ეთნომუსიკოლოგიური მეცნიერების უპირველესი მოთხოვნაა – მკვლევარი, შემკრები, შემსრულებელი.

ძალიან საყურადღებოა ამ მიმართებით ედიშერი-შემსრულებელი. მოგეხსენებათ, ის წარმოშობით ქართლელი იყო. სტუდენტობის წლებში მან არაერთი ექსკურსითა და გამოკვლევა მოუდგრანა მშობლიურ ქართლს. მრავალი სიმღერის მივინცებული ვარიანტი გააცოცხლა. უკვე ითქვა, რომ საკუთარი თავის მიმართ ძალიან მომთხოვნი იყო. ჰოდა, როკა ქართლურ სიმღერას მღეროდა, აუცილებლად ინარჩუნებდა და ბუნებრივადაც გამოსდიოდა ქართლური არტიკულაცია. ამით ის ძალიან განსხვავდებოდა „მთიების“ დანარჩენი შემსრულებლებისგან. ედიშერი სრულიად განსხვავებული ქართლური კილო-კავით მღეროდა. მახსოვს, ედიშერის დისერტაციის დაცვის შემდეგ ბატონშა ვახტანგ გოგუაძემ ბრძანა – ედიშერის დაცვა თვით ედიშერს გავსო. მართლაც, ედიშერი ძალიან განსხვავებული ადამიანი იყო. ვფიქრობ, სიმღერის შესრულებისასაც იკვეთებოდა მისი განსხვავებულობა არა მხოლოდ დიალექტოლოგიური თავისებურების დაცვით, არამედ პიროვნული და სულიერი, ინტელექტუალური თვისებების პარმონიული შერწყმით.

ედიშერის საგანგებო გამოკვლევა და მახვილი დაგ-



ანსამბლი „ათიაში“ ლანიცხალაში. 1985

ვირვების უნარი ქართული მუსიკალური ფოლკლორის შესრულებისას სქესობრივი რეგლამენტაციისა და პრიორიტეტების შესახებ, განდა ქართველ ეთნომუსიკოლოგ ქალთა ანსამბლ „მზეთამზისა“ და საყმანვილო სტუდიის – „ამერ-იმერის“ შექმნის მიზეზი. ის „მთიების“ განუყრელ პარტნიორად სწორედ „მზეთამზეს“ მიიჩნევდა და სიკოცხლის ბოლომდე არ მიუტოვებია „ამერ-იმერის“.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ედიშერ გარაყანიძემ ერთი ანსამბლი „მთიები“ კი არ შექმნა, არამედ ხალხური სიმღერის შემსნავლები მეცნიერების, ეთნომუსიკოლოგიის, თანამედროვე მოთხოვნების თანახმად, დიდი საშემსრულებლო მიმდინარეობა – ქალთა, ვაჟთა და საბავშვო მიმართულებებით. ეს უკანასკელი (საბავშვოს ვგვლისხმობ) იმ ხანად განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საჭირო იყო. ბევრი ლოტბარი თავს იწონებდა ბავშვებისთვის უფროსთა რეპერტუარისა და რთული სიმღერების სწავლებით. ამასობაში ჩრდილში რჩებოდა ის არაჩეულებრივად საჭირო და ღირებული ნიმუშები, რომელიც ჩვენი წინაპრების მიერ საგანგებოდ იყო შექმნილი ბავშვთა მუსიკალური აღზრდისათვის. ედიშერმა არა თუ გამოამზეურა, შეისწავლა



და შეაგროვა საბავშვო და ბავშვებისთვის განკუთვნილი რეპერტუარი, მუსიკალური საზოგადოების ხელმძღვანელ, ცნობილ მუსიკოლოგ მანანა ახმეტელთან ერთად, მოაწყო სამეცნიერო კონფერენცია უშუალოდ

(მონაწილეობდნენ ისეთი თვალსაჩინო მეცნიერები, როგორიც იყვნენ ქალბატონები: ფიქრია ზანდუკელი, ნინო ღოლობერიძე, მანანა შილაგაძე, ბატონი ჯონდო ბარდაველიძე და სხვანი), ედიშერმა, მის მეუღლე ნინო ბალათურიასა და „მთიების“ სოლისტ გივი ქსოვრელთან ერთად, საილუსტრაციოდ „ამერ-იმერის“ ცოცხალი შესრულებით გვიჩვენა ესა თუ ის მაგალითი. აქ ედიშერი კვლავ ნოვატორად მოგვევლინა – სამეცნიერო კონფერენცია ცოცხალი მაგალითებით. იმდროინდელ ჩაბნელებულსა და გაყინულ თბილისში ეს ნამდვილი ფუფუნება იყო.

შეუძლებელია არ მოვიგონო ედიშერი-შემკრები. მქონდა ბედნიერება ხმირად ვხლებოდი ექსპედიციებში: ყაბბეგში, ფშავში, თიანეთში, აჭარში, დაღესტანში, იმერეთში, გურიაში. ჩვენს თაობას განსაკუთრებული პატივი ერგო – პირველი საექსპედიციო ნათლობა ისეთი გასაოცარი პედაგოგისა და მკვლევრისაგან მიეღო, როგორიც მინდია ჟორდანია იყო. მინდია მასნავლებელი განსაკუთრებული პედაგოგიური ნიჭითა და მკვლევრის უზადო ალღოთი იყო განთქმული. იგი ექსპედიციას სწავლების საგანგებო საშუალებად მიიჩნევდა და ექსპედიციის წევრებს უკიდევანო, მრავალმხრივი სიყვარულით კრავდა: სამშობლოს, საქმის, ადამიანების, მეგობრების, ისტორიის, პოეზიის, ზოგადად ხელოვნების, ქართული სიტყვის... ედიშერი თავისი ბუნებით, ყველა ამ ფასეულობით ნასაბრდოები და სავსე, განსაკუთრებით აფასებდა მინდია მასნავლებლის ამ თვისებებს და ალბათ, მრავალწლიანი ნაცნობობის განმავლობაში, ისეთი ლალი და თავისუფალი არსად ყოფილა, როგორიც ექსპედიციებში. შემდეგ, როცა თავადაც პედაგოგი გახდა და ნარუძლვა ექსპედიციას სტუდენტებთან ერთად, ეს სილადე და თავისუფლება მოსწავლებს გადაულოცა. დაუზარელი, შეუპოვარი, დაუღლებელი, მიზანსწრაფული, საქმისათვის დღე-ღამის გამსწორებელი. ღმერთს მისთვის უხვად ებოძებინა მოყვასისა და ადამიანების სიყვარულის ნიჭი. მან ეს იცოდა და უფლის მადლიერი და ბედნიერი იყო. ჩვენც, მისი მეგობრები, ვგრძნობდით, რომ ჩვენს გვერდით გამორჩეული ადამიანი იყო და ვამაყობდით მისით. ახლაც ვამაყობთ. მადლობა მის მაღალ სულს ამდენი სიკეთისა და სიყვარულისათვის.



ეფიზო გარაზანი, კათოვან გაიავილი

ბავშვებისთვის მუსიკალური ფოლკლორის სწავლების საკითხებზე. როგორც უკვე აღვნიშნე, ედიშერი პრატიკოსი და მკვლევარი, არასოდეს ღალატობდა თავის მრნამსა და ამ დასამახსოვრებელ კონფერენციაზე

ცნობილ საბოგადო მოღვაწეს – გელა ჩარკვიანს 2014 წლის პირველ მარტს 75 წელი შეუსრულდა. ამ ხნის მანძილზე ბ-ნი გელას ცხოვრებაში დიდი ადგილი უკავია მუსიკას. სწორედ ამ თქმაზე, და კიდევ სხვა საკითხებ- ზე, საუბრობს იგი ჟურნალ „მუსიკისათვის“ მიცემულ ინტერვიუში, რომელსაც უძღვება მუსიკისმცოდნე ნარჩიზა გარდაფხადი.

საუბარი გელა ჩარკვიანთან

ნარგიზა გარდაფხაძე – ამ ბოლო დროს ხშირად გა- ისმის ასეთი კითხვა: ვინ არის რეალურად გელა ჩარ- კვიანი?

შენ დაინტერეს მოღვაწეობა როგორც ინგლისური ენის სპეციალისტმა, შემდეგ იყავი პედაგოგი, ტელეწამყვანი,

სახელმწიფო მოხელე, პრეზიდენტების მრჩეველი, პა- რალელურად კი წერდი მუსიკას, გამოეცი წიგნი, პიესა და ყველაფერი ეს შესანიშნავად გამოგივიდა. აი, ამ ჩა- მონათვალიდან ვინ ხარ სინამდვილეში?

გელა ჩარკვიანი – რასაკვირველია, ბიოგრაფია



ნლების გადასახადიდან

ბევრ რამეს წყვეტს ხოლმე, მაგრამ რაღაც შინაგანი მონაცემებიც უნდა გქონდეს, რომ ესა თუ ის საქმე გააკეთო. სხვა საკითხია, თუ რამდენად კარგად აკეთებ ამას ყველაფრენს. არის ასეთი ინგლისური გამოთქმა: “Jack is all trades, but master of none” – რაც ნიშნავს „ჯეკი ყველაფრის მცოდნეა, მაგრამ ყველაფრენ კარგად ვერ აკეთებსო”, თუმცა არის სფეროები, რასაც მე კარგად ვაკეთებდი, მაგრამ ისევ ვამბობ, რომ არის რასაც ნაკლებად კარგად ვაკეთებ. მთლიანობაში მე ამას ვერ ვიტყვი, მაგრამ ზოგჯერ ბიოგრაფია წყვეტს იმიტომ, რომ შენ სხვადასხვა ეცაბშე სხვადასხვა ინტერესები გაქვს. თუ მისდევ ამ სხვადასხვა ინტერესებს, შეგიძლია საკმაოდ პროფესიულად აკეთო რაღაცები, შემდეგ მიანებო თავი და მეორე, მესამე და ა.შ. საქმე აკეთო. მთელი ჩემი ცხოვრება ასეა...

ნ.გ. – ყველაფრენს, რის კეთებასაც იწყებდი, და-საწყისშივე პროფესიულად უდგებოდი?

გ.ჩ. – მეტ-ნაკლები ინტერესი მქონდა, ეს მართალია. საერთოდ ასეთი თეორიების მიმართ მქონდა ხოლმე განსაკუთრებული დამოკიდებულება.

ბიოგრაფია ვახსენე – პატარაობიდან მასნავლიდნენ მუსიკას. კარგი მასნავლებელი მყავდა. სმენა მქონდა, მიყვარდა. ჩემი მასნავლებელი მიიჩნევდა, რომ კარგი მოსნავლე ვიყავი. ერთ-ერთი ჩემი მიღწევა მუსიკაში იყო ის, რომ მე ვიყავი ანდრია ბალანჩივაძის (№3) საფორტეპიანო კონცერტის ერთ-ერთი პირველი შემსრულებელი სამი შემსრულებლიდნ. პირველი ნანილის შემსრულებელი იყო კომპოზიტორის ვაჟი, ჯარჯი ბალანჩივაძე, მეორის – მიშა კილოსანიძე და მესამის კი მე! მართალია, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მე ცკ-ს პირველი მდივნის შვილი ვიყავი და ამანაც იმოქმედა იმაზე, რომ მეც ალმოვჩნდი ერთ-ერთ პირველ შემსრულებლებს შორის, მაგრამ საკმაოდ კარგად დავუკარი. ერთხელ ეს იყო კონსერვატორიის მცირე დარბაზში, მაშინ დირიჟორი იყო ვახტანგ ფალიაშვილი და მეორედ უკვე დიდ დარბაზში – მაშინ დირიჟორი გახლდათ ჯემალ გოკიელი.

ნ.გ. – რამდენი ნლის იყვა?

გ.ჩ. – თორმეტის არ ვიქებოდი, 11 ნლის. მაგრამ ერთი თვისება მქონდა – ყველაფრენი მასსოვდა. ეს კონცერტი მასსოვან ჩემი ნაწილი, არამედ

მთლიანად, პირველი და მეორე ნაწილების საორკესტრო პარტიაც. დღესაც შემიძლია მთელი კონცერტი ვიმღერო თავიდან ბოლომდე. საერთოდ, როგორც მუსიკალური, ისე ზოგადი მასსოვრობაც კარგი მაქვს. ეს დიდი პლიუსია, ბევრს გაძლევს.

ეს რაც შექება მუსიკას. ამავე დროს კარგად ვხატავდი. მამაჩემიც კარგად ხატავდა და ზოგადად ოჯახში, როდესაც რამეს ხედავ, მერე შენც ამის კეთება გინდება. მამაჩემის ოკენება იყო გამხდარიყო არქიტექტორი, მაგრამ მას ეს არ დასკალდა, რადგანაც შემდეგ გახდა პარტიული მუშაკი და უფრო ეკონომიკაზე მუშაობდა, შემდგომში კი მას ძალიან უნდოდა, რომ მე გავმხდარიყვა არქიტექტორი. მაშინ მე სკოლა დავამთავრებოსკოვში და გადმოვდიოდით თბილისში საკხოვრებლად. ბენებრივია, მე უკვე ბევრს ვხატავდი. ზეთოთაც ვხატავდი, აკვარელითაც. კარგად ვიცოდი მხატვრობა! ეს იმსა არ ნიშნავს, რომ დიდი ნიჭი მქონდა მხატვრობის. დღესაც სახლში მიდევს უამრავი ჩემი ნახატი. ის კი არადა, ჩემს შემდეგ ნიგნში შეიძლება გამოვიყენო კიდეც საკუთარი ჩანახატები.

სხვა რა? – ინგლისურის კოდნა. ენასაც ბავშვობაში მასნავლიდნენ, მაგრამ იმსა დიდი როლი არ უთამაშია. შემდეგ შენყდა ეს ყველაფრენი. მოსკოვში მე ალარ მისნავლია ენა და მერე თვითონ განავლობდი! ძალიან რთული მომენტია იმიტომ, რომ ძალიან დიდ დროს ვანდომებდი. პირდაპირ გეტყვით, რომ ენის შესნავლას სჭირდება ძალიან დიდი შრომა. რატომ? – იმიტომ, რომ იქ უფრო მეტია ჩემება, ვიდრე ცოდნა. იქ სადაც ჩვევას საჭირო, მაგ: ფორტეპიანოზე დაგვრა, ბალეტი, ენა – იქ, სადაც ჩვევების გამომუშავებაა, იქ გაცილებით მეტი შრომაა საჭირო, ვიდრე იქ, სადაც ცოდნაა მისაღები. იმიტომ, რომ მაგალითად, მე თქვენ გეტყვით, რომ დედამიწას აქვს ორი პოლუსი, ჩრდილოეთის და სამხრეთის და თქვენ უკვე შეგიძლიათ გამოიყენოთ ეს ცოდნა. ასე არაა?! მე ძალიან ბევრ დროს ვახარჯავდი ენის შესნავლას და მართლაც კარგად ვისნავლე. თავს არ ვიქებ, მაგრამ მე თვითონ ვისნავლე. აქაც იყო ერთი მომენტი – მე ძალიან კარგად ვიცოდი, რომ ენა, თავისთავად კოდია მხოლოდ. მაგრამ იმ კოდს მოყვება ვეებერთელა კულტურა – ამერიკული, ბრიტანული და თუ შენ ის კულტურა არ იყო, შენ ენა კარგად არ იყო.

მთელი ცხოვრება ვმუშაობ, დღეში 14 საათი. როდესაც ამდენს მუშაობ, ბევრ რამეს მოასწრებ. შენ მკითხე, საიდან ამდენი რამე ჩემს ცხოვრებაში ხომ? აი, ამ მუშაობით.


რაც შექება მწერლობას, მე ლიტერატურა ყოველთვის მიყვარდა. ლექს ყოველთვის ვწერდი.

ნ.გ. – ეგ მეც არ ვიცოდი! პოეტი გამომრჩა ჩამონათვალში!

გ.ჩ. – ჩემი ლექსი არ შეიძლება გცოდნოდა, იმი-ორმ, რომ ძირითადად მე ვწერდი უცენტურო ლექსებს! (იცინის) იმიტომ, რომ არასდროს სერიოზულად ამას არ ვუყურებდი. ტექნიკურად იყო ყოველთვის ძალიან კარგი, იმიტომ, რომ მე ტექნიკურად ლექსი ყოველთვის მიყვარდა. ანუ ის ლექსი, სადაც არის რთული დისონან-სური რითმა. რითმა არის ჩემთვის მთავარი. ისე, როგორც მუსიკაში ჰარმონიაა უფრო მნიშვნელოვანი, არა? ისე ლექსშიც ჩემთვის მუსიკაა უფრო მნიშვნელოვანი. კიდევ მეტაფორა!

ვწერდი სამივე ენაზე ერთნაირად – ქართულად, რუსულადაც, ინგლისურადაც. პრობასაც და პოეზიასაც.

კიდევ რა გითხრათ? მუსიკის წერა – ჯერ სიმღერებს ვწერდი ძალიან ბევრს, შემდევ მიუტიკლი თუ ოპერა, „ნარგიზა“ შევქმნით. ბოლო ხანებში მუსიკას-თან დაკავშირებით გამოვევი საფორტეპიანო ჰიქები. ეს წელ-წელა ივებოდა და ბოლოს გამოვეცი ჩემი 20 საფორტეპიანო მინიატიურა. ვთქიქრობ, მუსიკალურად ესეც საინტერესოა, მეტ-ნაკლებად. ჯერ ეს ერთი, ეს ასახავს მთელ ბიოგრაფიას. მე დავიწყე საფორტეპიანო მინიატიურების დაწერა 80-იანი წლების დასაწყისიდან. სულ პირველი დავწერე მედიკო ფანიაშვილის თხოვნით. თქვენ იყით, რა კარგი პიანისტი იყო მედევა და მან მთხოვა დამენერა „რეგთამი“. მე მასთან კლავესინზე დავუკარი ეს „რეგთამი“, თავიდან სიმღერა იყო და მთხოვა ამ სიმღერის საფორტეპიანო არანჟირება გამეკეთებინა. მე დავთანხმდი და ის ასრულებდა ხოლმე ამ პიესას კონცერტებზე. მერე მითხრა: კიდევ ვერ დაწერ რამდენიმე პიესას? – დავწერე კიდევ ორი პიესა – ძველებური ცეკვები – „ჯიგა“ და „ეკოსეზი“. ისინიც შეასრულა მედეამ. შემდევ მოგეხსენებათ, მედიკო ტრაგიკულად გარდაცვალა, მაგრამ მე გავაგრძელე პიესების წერა. ამ პიესებში არის ერთი საინტერესო მომენტი, მე



ილაკლი ჩარკვიანი

გამოვიმუშავე ასეთი რამ: ეს არის პოლისტილისტიკა! შეიძლება პოსტმოდერნი, შეიძლება ეკლექტიკა უწოდო, შეიძლება კიდევ სხვა რამ. პოსტმოდერნი უმშერტო ეკოს განმარტებით არ შეიცავს წეგატიურ ობერტონებს, ხოლო ეკლექტიკას როდესაც ამბობ, ის უფრო შეიცავს წეგატიურს, არა? რა არის იცით – მე მტერი ვარ ყოველგვარი მკაცრი სტილისა, ზოგადად სტილისტიკისა. აი, მაგალითად, მინიატიურას ვწერ და დავიწყე რაღაც სტილში, შემდევ მე, თუკი იმ წუთას ინტუიცია მკარნახობს, რომ აი აქ, ჯაზის ელემენტი უნდა ჩავსვა – აბსოლუტურად არ მოვერიდები, რომ ეს სტილისტურად სულ სხვაა, მაგალითად, თუ არის ძველებური ცეკვა „მაზურკა“ იყოს. შეიძლება იყოს რომანტიკული პიესა, რომელშიც მოხვდა ატონალური ელემენტი, რომელიც არის სრულიად ანტიპოდური რომანტიკული ვწებებისა! მე ამას ვუწოდებ: „Immediate expression“, ანუ მყისიერი გამოხატულება. შენ მყისიერად გამოხატავ იმას, რაც იმ წუთას მიგაჩნია საჭიროდ; სტილისტიკა შენ არ გზდუდავს ამ დროს...

ნლების გადასახადიდან

ნ.გ. – ყველა კომპოზიტორი წერისას თითქოს არც იტლუდებოდა სტილით? შემდეგ სხვა თაობის ან იმავე თაობის კრიტიკოსები შეარქევდნენ ხოლმე სტილის-ტიკას ამა თუ იმ სახელს, ასე არ არის?

გჩ. – რევოლუციონერები იტლუდებოდნენ! აიღეთ აფრიკული მუსიკა და განსაკუთრებით სერიული მუსიკა. სერია პირდაპირ შეტლუდვა. სერია გაძლევს იმას, თუ რა, რის შემდეგ უნდა იყოს, უნდა იყოს სრულიად აფრიკული, ტონალობა საერთოდ გამოირიცხება ამაში; ეს ჩემთვის მიუღებელია! რაველი სწორი იყო, ეძახდა რა ამას „ლაბორატორიას“. ასეთი სტილისტურად შეტლუდელი მუსიკა ჩემთვის არაა. აი, ამ ოც მინიატურაში არის ძალიან ბევრი ელემენტი მუსიკის ისტორიიდან, რომელიც გამოხატავდა იმ წუთიერ ჩემს განწყობას! ჩვენ ხომ ყველა ადამიანები ვართ? ბიოგრაფია ვახსენე, მაგრამ ამდენ რამეს ვღებულობთ, ამდენი ტიპის ინფორმაციას – ეს იქნება ვიზუალური, სადაც ვიყავით, ფილმი ვნახეთ, წავიკითხეთ... ეს ყველაფერი თავში გროვდება და თუ ეს მუსიკალურად გამოიხატება, ალბათ გამოიხატება სწორედ ასეთ პოლისტილისტიკაში. ჩვენ ხომ ბავშვობაში ვკიკითხავდნენ ჯერ ანდერსენს, შემდეგ გრიმების ზღაპრებს – ის პერსონაჟებიც ხომ სადლაც არიან ჩვენში? ქართული ზღაპრებიც? აი, მათ ხომ კვარტა-კვინტა მოუხდება მუსიკალურად? არის რუსული, ალმოსავლური ზღაპარი – იქ სადაც პარმონიული მინორი მოუხდება (წაიმღერებს); არის მავრიტანული, მოესპანურო სტილიც. ეს ყველაფერი გვაქვს ჩვენ, შეინით არის! თუ ჩვენ მივეცით ამას საშუალება, რომ გადმოდინდეს, მაშინ ეს პოლისტილისტურად მოხდება!

ნ.გ. – სულ რამდენი მუსიკალური თხზულება გაქვს?

გჩ. – მუსიკალური მე ბევრი არ მაქს თუ არ ჩავთლით სიმღერებს, რომელიც არ დამიფიქსირებია. ახლა ვფიქრობ, როგორ დავაფიქსირო. სიმართლე რომ გითხრა, ნოტებზე მათი გადატანა მეტარება! canto-s და პარმონიას დავწერ, ეს არ არის ძნელი, მაგრამ მთლიანად აკომპანემენტის დაწერა მეტარება. მეტარება იმიტომ, რომ ამის დრო არა მაქვს! ჩემს ასაკში (მე ვხდები 75 წლის პირველ მარტს!) 75 წლის ადამიანს ძალიან დიდი პერსპექტივა აღარა აქვს (იცინის). ამიტომ შენ დრო არა გაქვს და პრიორიტეტებზე უნდა იმუშაო. ამ

წუთას ჩემი პრიორიტეტი არის მაინც ბიოგრაფიული წიგნი. ჩემი ბიოგრაფია არ მიმაჩნია მნიშვნელოვნად, მაგრამ ჩემი ბიოგრაფის ნაწილები მნიშვნელოვანია. ისე მოხდა, რომ მე მთელი ცხოვრება მმართველობის ცენტრთან ახლოს ვიყავი – ჯერ მამაჩემი იყო, შემდეგ ჩემი კლასელი, ზვიად გამსახურდია გახდა პრეზიდენტი, შემდეგ ჩემი მოწაფე, მხეილ სააკშვილი გახდა პრეზიდენტი, მერე მე თვითონ ვიყავი პრეზიდენტის მრჩეველი 11 წელი; სულ ვიყავი ცენტრთან! როდესაც ეს ინფორმაცია შენ გაქვს, ეს ბიოგრაფია უკვე შენ არ გეკუთვნის. ამიტომ მე მოვალე ვარ, რომ ეს დავწერო. პრიორიტეტი ეს არის! რაც შეეხება სიმღერებს – ესაა 120 სიმღერა. ჩამოწერილი მაქვს რა სიმღერებია, მაგრამ არ დამიფიქსირებია. ახლა ვფიქრობ, შეიძლება უბრალოდ დაგუკრა და ჩავწერო. მერე რაც იქნება, იქნება! მელოდია მაინც დაფიქსირდება; მელოდია მაინც მარგალიტა ყველა შემთხვევაში (იცინის)! მე მიადვილდებოდა მელოდიის წერა ყოველთვის, მაგრამ ალბათ არ არის ადვილი, იმიტომ, რომ არც ისე ბევრია! (იცინის) ალბათ ამას მაინც გავაკეთებ!

მერე მოდის როკ-ოპერა „ნარგიზა“, ეს უკვე ცალკეა. რასაკვირველია იქ გამოვიყენე ერთი ორი ძველი სიმღერა, მაგრამ დიდი ნაწილი ამ სიუჟეტისთვის დაინტერესული მუსიკის მხრივ და მერე, როგორც გითხარი, დავწერ მინიატურების წერა მედიკონ ფანიაშვილის თხოვნით. 90-იან წლებში ვაგრძელებდი მინიატურების წერას, მიუხედავად იმისა, დრო არასდროს არ მქონდა – მაშინ პრეზიდენტის მრჩეველი ვიყავი და დღე და ღამე სამსახურში მიწევდა ყოფნა. სადღაც, რაღაც მომენტებში ვუკრავდი ხოლმე და რამდენიმე მინიატურა მაშინ დავწერე. შემდეგ უკვე, როცა დასრულდა ეს ციკლი, ლონდონში დავასრულე თითქმის ყველა დანარჩენი. ამას დაემატა ნანას, ჩემი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ორი მინიატურა ცოტა მძიმე განწყობის, „სევდა“ დავარქვი ნანასთან და ირაკლის-თან დაკავშირებით, ესეც დაგასრულე 2012 წლისთვის და ბოლოს გამოვეცი კიდეც ჩემი მინიატურების კრებული ნოტების სახით.

ამის შემდეგ, მე მქონდა პერიოდი რომელსაც „ვალების მოშორების“ წელი დაგარქვი. ყველასთან ვისი

ვალიც მქონდა. მაგალითად, მამჩემის ვალი მქონდა და და გამოვეცი წიგნი, რომელიც მაღლობა ღმერთს, ბესტსელერი გახდა და ორი გამოცემა გამოვიდა უკვე; ითარგმნება კიდეც. კარგია, რომ ეს გავაკეთე, იმიტომ, რომ ეს მამის ვალი გავისუმრე, ასე ვთქვათ!

ნანასთან დაკავშირებით გავაკეთე ხსოვნის ფილმი, რომელიც დევს “You Tub”-ზე – “To Nana by Gela Charkviani” – ასე ჰქვია. მქონდა კიდევ ასეთი ვალი ირაკლისთან. დავნერე „ტრიპტიქი“, – სამი საფორტებიანო სიუიტა აგებული ირაკლის 20 სიმღერაზე. მე ყოველდღე ვუკრავ თითქმის, იმიტომ, რომ მინდა მათი ჩანაწერი გავაკეთო – არის უკვე ლაპარაკი ამაზე. ნოტებიც გამოიკა! საკმაოდ საინტერესო გამოვიდა. ვფრიქ-რობ, ეს შეიძლება კიდევ გაზრდელდეს და გაკეთდეს სიმებიან ორკესტრთან და ფორტეპიანოსთან ერთად. მჯერა, რომ კარგი გამოვა! მე თვითონ არა მაქს არან-ჟირების უნარი, მაგრამ, ალბათ, ცუდი არ იქნება, რომ გაკეთდეს.

ნ.გ. – ურნალისტების მიერ ხშირად გაისმოდა ასე-თი კითხვა – ოპერა „ნარგიზას“ წიგნად გამოცემის შემ-დეგ, იყავი თუ არა შენ გაფაცებული ჩემით ახალგაზრდობაში, რაზეც მე ვპასუხობ, რომ არა, ეს არ ყოფილა. რას ეტყვი შენ მათ, ვისაც ეს ეჭვი მაინც უჩნდება?

გჩ. – აქ ალბათ ორი მომტყფია. რაშია იკით საქ-მე? ერთ-ერთ ტელევიზიაში, სადაც იყო ანონსირებული „ნარგიზას“ გამოცემის შესახებ, ითქვა ასეთი რამ: – მუ-ზაო! მუზა ხალხს სხვადასხვანაირად ესმის – შეიძლება წარმოიდგინონ ადამიანი, რომელიც შენ რომანტიკულად გიყვარს. გატაცებული ხარ ამ სახით, იმიჯით. ასე როგორ არ ვიყავი. ეს სწორია! რასაკვირველია, მუზა იყავი, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მე შენთან რაიმე სხვა ურთიერთობა მქონდა. არც შეიძლებოდა მქონოდა. თუმცა პიესაში თავისებური მომტყფი არის წამყვანის მიერ ნარგიზას შეყვარებისა. გარნენება, რომ ეს მხატვრულ ლიტერატურაში როგორც უწოდებენ ფიქცია! (Fiction). გატაცება სულ არ ნიშნავს რომანს! (იკინის)

ნ.გ. – თქვენ ოჯახზე ვისაუბროთ. შენ, ასეთი მრვალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული იყავით, შენი მეუღლე ნანა თოიძე – მუსიკოსმცოდნე იყო. შვილებ-მაც – ირაკლიმ და თეონამ ხელოვნების გზა აირჩიეს.

ირაკლი მუსიკოსი გახდა, დღევანდელი ახალგაზრდებისთვის ერთგვარ მუსიკალურ კერპადაც ჩამოყალიბდა და თეონა კი პროფესიულ ბალეტში წავიდა. რამ განსაზღვრა მათი არჩევანი?

გ.ჩ. – მე მიმაჩნია, რომ ყველაფერს ატმოსფერო განაპირობებს. რასაკვირველია, შვილსაც უნდა ჰქონდეს რაღაც მონაცემები.

ნ.გ. – ახალებდით ირაკლის მუსიკის შესწავლას?

გ.ჩ. – არა, არასდროს! ადრეული ასაკიდანვე ხე-დავდა, რომ მამა ზის ფორტეპიანოსთან და უკრავს, თან იგონებს რაღაცებებს. სიმღერებს ხომ ვწერდი ყოველთვის, ჯაზსაც ვუკრავდი. თავისთავად ბავშვს უჩნდება ისეთი შეგრძნება, რომ მამა აუცილებლად უნდა იჯდეს და უკრავდეს ფორტეპიანოზე რაღაცებებს. მე-რე რომ გაიზარდა, ირაკლიმ თქვა კიდეც: „მე მეგონა, რომ ყველა მამა ფორტეპიანოზე უკრავს და ყველა მამა ლექსს წერს“ (იკინის), ასე მეგონაო! ჩვენ არ ვა-ძალებდით არაფერს, თუმცა მიგვაჩნდა, რომ მუსიკა-ლური განათლება აუცილებლად უნდა მიეღო და მან შვიდწლები დამთავრა. მე ახლაც ასე მიმაჩნია, იმი-ტომ. რომ ასეთი პირველადი ცოდნა აუცილებელია. ადამიანს ესაჭიროება ამის ცოდნა იმისათვის, რომ მერე ცხოვრებიდან მიღოს კმაყოფილება. თუ ცოდ-ნა არა გაქვს, მუსიკას ვერ შეაფასებ! შეიძლება სმენა გქონდეს და რომელიმე სიმღერა მოგეწონოს, მაგრამ შეფასებას ვერ შეძლებ. დასავლეთის უნივერსიტეტებში Appreciation course ჰქვია ანუ „მუსიკის შეფასების“ საგანი, რომელსაც გადინა სპეციალურად. ამიტომ ჩვენ ბავშვებს ვასწავლიდით მუსიკას. რომ გითხრათ სიმარ-თლე – არც ერთ ბავშვს არ უყვარს გამების, ეტყ-დების დაკვრა, იმიტომ, რომ ეს არ არის საინტერესო. არც ირაკლის უყვარდა, მაგრამ თანდათანობით, სხვა მიმართულება მოსწონდა – შექმნა მოსწონდა! მე-რე მე მუდმივად ვეთამაშებოდი რითმობანას. სიტყვას ვაძლევდი და ვეუბნებოდი, რომ მოექებნა რითმა. ჯერ უბრალო რითმას ვაძლევდი, მერე უფრო რთულს. მა-გალითად, ორი სიტყვიდან შექმნილ რითმას. კიდევ ვთამაშობდით „პარადოქსობანას“, ანუ გამიკეთე პა-რადოქსი! პარადოქსი, მეტაფორა ხელოვნებაში მთავარია; თუ ბავშვს ეს უჩნდება, კარგია! ის კი არა, „ოქ-სიმორონობასაც“ ვეთამაშებოდი. მაგ: „შავი თოვლი“

ნლების გადასახადიდან

ოქსიმორონია. რასაკურველია, ეს მოქმედებდა ბავშვებზე. თქვენ მკითხეთ, როგორ ვტრდიდით.

მე ვთანხმები, თომ სტოფარდს (ბრიტანელი დრამტურგია), რომელიც თავის პიესაში „პაროდიები“ ტრისტან ცარას პერსონაჟის სახით ყვირის: „რა არის ადამიანი?“ (“Eat, grind, shit and what make the difference? – Art makes the difference”), ანუ: „ჭამა, მონელება, დეფეკაცია, ჭამა მონელება, დეფეკაცია; რა განასხვავებს ადამიანს ცხოველისგან? – მხოლოდ ხელოვნება!“ (იცნის) ცხოველია ადამიანი – ჭამა, გადამუშავება და მაპატიეთ, დეფეკაცია; ერთადერთი რაც განასხვავებს მას ცხოველისგან, ეს არის სილამაზის შევრძნება, ანუ ესთეტიკური შევრძნება, რაც არა აქვს ცხოველს! ეს თუ არა აქვს ადამიანს, მაშინ რა არის მისი ამაღლებული ადამიანობა? მაშინ ადამიანი აღარაფერი არ არის!!! ამიტომ ჩვენი აქცენტი კეთდებოდა ადამიანურზე.

ნ.გ. – მუსიკის წერა პირველად როდის დაინტორაკლიმ?

გ.ჩ. – ირაკლის კარგი მელოდია მოვისმინე პირველად, როდესაც იყო 12-13 წლის, იმდერა და დაუკრა. ირაკლი ფორტეპიანოზეც უკრავდა და გიტარაზეც. ვიტარა თვითონ ისწავლა, მე არ ვიცი, წარმოდგენა არა მაქვს სად და როგორ. მე მგონი, სულ თვითონ ისწავლა. მუსიკალური ადამიანი იყო – უყვარდა, მოტივაცია ჰქონდა და როდესაც რაღაც გინდა, შენ აუცილებლად ამას გააკეთებ. სამწუხაროდ, მე ახლა არ მახსოვს, ირაკლის პირველი სიმღერა, ის დაიკრგა. მანამდე კიდევ რაღაცებს აკეთებდა; მე თუ სიუჟეტს ვყვებოდი, მითოლოგიაზე როდესაც ვლაპარაკობდით, მაგალითად, დედალოსის და იკარუსის მითზე, ირაკლიმ თქვა: ამას დავუკრავო! დაჯდა ფორტეპიანოსთან და ბერით იმიტაცია გააკეთა – როგორ აფრინდა იკარუსი დედალოსის მიერ ცვილისგან გაკეთებული ფრთხილი. როგორ დადნა ეს ფრთხილი და ჩამოვარდა ზღვაში. აი ამას, ფორტეპიანოზე აკეთებდა. რა დავარქვათ ამას – სინესტეზია ჰქვია, არა? ერთი ამბის გადატანა მთლიანად მეორეში. მაგალითად, მონაყოლის გადატანა მუსიკაში ან მუსიკის გადატანა ფერებში – ეს ყველაფერი სინესტეზია და ამის შეგრძნება შენ თუ გაქვს, შენ ხელოვნებასთან ახლოს ხარ. ხელოვნება ეს არის, არა?! რაღაც სინესტეზის ელემენტები ყოველთვის არის ხელოვნებაში – ამაში – ანუ, რაღაცა რეალობა გადავაქვს რაღაცა სხვა პლანში. ისე, რომ ირაკლი ასეთ რამეებს აკეთებდა ბავშვობიდან.

მერე თანდათანობით, იზრდება ადამიანი, თუ არ იზრდება, ის უკან მიდის. ირაკლის ეს ჰქონდა – ის ყოველთვის იზრდებოდა, ყველაფერს უკეთ და უკეთ აკეთებდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ახალგაზრდა წავიდა... ბევრის გაკეთება შეეძლო კიდევ... თუმცა თვითონ დაბერება არ უნდოდა, არ უნდოდა ხანძიშესული ყოფილიყო.

ნ.გ. – ეს ფატალური შემთხვევა თავად გამოიწვია?

გ.ჩ. – დიახ, ნაწილობრივ. მისი თაობის თითქმის ყველა ბიჭი გარდაცვლილი იყო. იმათ საერთოდ ვერ მოასწრეს რამის გაკეთება – ნიჭიერი ბიჭები იყვნენ. ირაკლიმ გააკეთა, იმიტომ, რომ იცხოვრა 44 წელი. იმდენი შესძლო, რომ დღესაც პოპულარულია და დინამიკა მისი წარმატებისა იზრდება. აი, ახლა კიდევ გამოვა მისი წიგნი, „მშვიდი ცხოვრება“, ძალიან კარგი, საინტერესო რომანია. ტრილოგია უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეს პირველი მოასწრო მხოლოდ.

ნ.გ. – ირაკლის არაორდინარული ხელოვნების დედ-მამას თავიდანვე გესმოდათ, თუ იყო სიძნელეები, თაობათა დაპირისპირება?

გ.ჩ. – ნანა იყო ტრიპიური ქალი და ირაკლი მისთვის იყო მხოლოდ საყვარელი შვილი. რაც გინდა გაეკეთებინა ირაკლის, მისთვის კარგი იყო. კრიტიკულად არას-დროს შეხედავდა. ამიტომ ნანასთან მისი დამოკიდებულება იყო სულ სხვა. ეს იყო სიყვარული, მეტი არაფერი! რაც შემეხება მე – „შინუარ მღვდელს შენდობა არა აქვსო“, ხომ გაგიგათ? მერე შენ შვილს იკნობ პირველი დღიდან. როდესაც მოიყვანეს სახლში, ძალიან საცოდავი იყო, სახეზე ჰარები ჰქონდა, რას ჰგავდა! მერე თანდათან როგორი ლამაზი ბიჭი ხდებოდა. შენ არას-დროს არ გვერა, რომ ასეთმა ადამიანმა, შეიძლება რამე გააკეთოს! ეს ასეა! მაგრამ მერე, თანდათანობით, როდესაც ერთი-ორჯერ ლექსი მითხრა, მერე ის ფრაზა, სულ ბავშვი იყო ჯერ: „დროის და ხორცის დასრულდა კორრიდა, დაგავთ ჰარტერი ბებერო ქალებო!“... დროის და ხორცის კორრიდა რა არის, არა? ჯერ ფილოსოფიური ნათქვამია! მართლა ადამიანის ცხოვრება არის დროის და ხორცის კორრიდა, მუდმივი! სადაც ყოველ-



ჩარჩვიანების ოჯახი

თვის ერთი მხარე იმარჯვებს, დრო იმარჯვებს ყოველ-თვის! ამას რომ შვილი გეტქვის, მისვდები – არა, ასე არაა საქმე, როგორც მეგონა! თავიდან აგდებულად ვუ-ყურებდი ირაკლის შემოქმედებას.

ნ.გ. – დაპირისპირება არ გქონიათ მისი ეპატაჟური გამოსვლების მიმართ?

გ.ჩ. – დაპირისპირება რა არის ასეთ დროს? ბევრი რაღაც გამოიარა მან. ჯერ იყო მოტაცებები გოგოების. ჯერ თავისი პირველი ცოლი მოიტაცა. მერე მოატაცებინა გეგა კობახიძეს, თან იმ გოგოს საქმრო ჰყავდა. მერე მისი ეპატაჟი, ჩეუბები, დასისხლიანებული სახლში მოსვლა... მშობლებს ამის ეშინიათ. შენ, როდესაც ასეთი გამომწვევი ცნობადობა გაქვს, მაშინ ყოველგვარ მანიაკებს, შურიან ადამიანებს იწვევ! ამიტომ შენ ყოველთვის გემუქრება რაღაც. ერთი იყო, რომ ირაკლი არ იყო პოლიტიკურად რადიკალიზებული. ამ თვალ-

საზრისით არ იჩენდა საშიშ ტენდენციებს. მრნამსით იყო დემოკრატი, სჯეროდა ლიბერალური დემოკრატის...

ნ.გ. – მეფე რომ დაირქვა?

გ.ჩ. – მეფე დაირქვა! ნათ ქინგ ქოულმა დაირქვა მეფე (კინგ – მეფეს ნიშნავს), მერე რა მოხდა? რა, ჰერცოგი იყო დიუკ ელინგფონი? (დუკე ჰერცოგი)... სწორი ქნა, რომ მეფე დაირქვა! დარჩა ეს!! (იყინის). ის არ ცდებოდა ასეთ რამეებში. ირაკლი ცდებოდა ხოლ-მე ერთადერთი ეკონომიკურ პროექტებში, იმიტომ, რომ აბსოლუტურად არ იცოდა ფული! მე ვაძლევდი ფულს, ბოლომდე მე ვარჩენდი. იტყოდა: ამას გავაკეთებ, ამას ვიზიამ! ეს სულ ტყუილი იყო. დანარჩენ ამბებში კი არ ცდებოდა. ირაკლი ნონკონფორმისტი იყო და როდესაც ნონკონფორმისტი ხარ, შენ გსიამოვნებს, როდესაც წინააღმდეგობას აწყდები. მაგას წინააღმდეგობა სია-

ნლების გადასახადიდან



გელა ჩარპიანის მუსიკალური ფრაგმენტი „ნარჩიზას“
აქვთება „მაგისტრი კლუბი“ (2013)

მოვწებდა. ი. მაგალითად, როდესაც ვინმე ან ძალიან აქებდა, ან ძალიან გალანძღვდა – ამას უყურებდა ერთნაირად კარგად. თუ გალანძღვდნენ, კიდევ უფრო კარგად უყურებდა! ამშიც მართალი იყო! იმიტომ, რომ ხელოვნისთვის ყველაზე კარგი არის, როდესაც გლანძღვები! (იცინის)

ნ.გ. – ნინსვლითვის?

გ.ჩ. – რასაკვირველია! პარლამენტი, როდესაც შენ სიმღერას გაარჩევენ, უკვე კარგია! ერთმა კაცმა ორაკლის „შენ აფრენ“ გაარჩია პარლამენტში, როგორც სახითათო მოვლენა საქართველოსთვის! (იცინის)

ნ.გ. – შენ მოგწონდა ეს სიმღერა?

გ.ჩ. – მე მომწონდა და მივიჩნევდი, რომ ეს იყო ნამდვილი გარღვევა! ძლიერი გარღვევა!! მოხდა კიდეც: ა. ახლა დღეს რაც არის ყველაფერი – „შენ აფრენის“ რამითიკაციებია (განშემოები) ყველაფერი! მიუხედავად იმისა, რომ „შენ აფრენ“ იყო დაწერილი სახლში, საშინლად ღარიბი ინტერიერში. არავითარი ტექნიკური

საშუალებები არ იყო. იმდენად განსხვავებული „ხატი“ იყო მთლიანად, რომ იმან გაარღვია! ჩემთვის ეს მისაღები იყო, რასაკვირველია. ჩემი შიში იყო უფრო სხვა – სტაგნაციაში მყოფი საზოგადოების რეაქცია. ამაზე მეტი რეაქცია რად ვრჩდა – პარლამენტში რომ დაიწყებენ სიმღერის გარჩევას...

ნ.გ. – ირაკლი გახარებული იყო?

გ.ჩ. – ძალიან! (ვიცინით) იქნები კამყოფილი, აბა, არ იქნები? საზოგადოებისთვის ხიფათის შემცველი იყო... სინამდვილეში რა იყო: ზოგიერთი ადამიანი გრძნობდა, რომ ეს ართმევს აუდიტორიის რაღაც ნაწილს; არავის არ უნდოდა აუდიტორიის ნაწილის დაკარგვა.

ნ.გ. – დაგიბრუნდები შენ: ამდენ საქმეში მონაწილე და თითქმის ყველაფერში პროფესიონალი, რომელ საუკუნეში ისურვებდი მოღვაწეობას?

გ.ჩ. – ერთ რამეს გეტყვით, ხუმრობით. ასეთი ჰიროვნება იყო, ამერიკელი მოღვაწე და უურნალისტი, ერთ დროს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეც – სტროუბ ტელბოტი, ის ძალიან დიდ პატივს მცემდა, ვეყვარდი და ერთხელ თედო ჯაფარიძეს უთხრა: გელას ელექტრონული ფოსტის მისამართი მომეკიო. 90-ებში მე ელექტრონულ ფოსტას ჯერ არ ვხმარობდი. თედომ უთხრა: გელას ი-მეილი არა აქვსო. იმას კი უპასუხია: ჩვენ კი ვიცოდით, რომ გელა რენესანსის კაცი იყო, მავრამ ამ ზომამდე თუ იქნებოდა, არ ვიცოდითო! (იცინის) მერე ი-მეილი გამარჩდა და ბუნებრივია, კომპიუტერსაც მოვკიდე ხელი, მაშინ კი ი-მეილი მქონდა მხოლოდ სამსახურის და იქ მოდიოდა ჩემი ფოსტა; მაშინ პირადი არ მქონდა.

ნ.გ. – წერის დროს კომპიუტერს უფრო ხმარობ, თუ ტრადიციულად ფურცელზე წერ?

გ.ჩ. – ეტყობა ძველი შიშები გამჯდარი მაქვს და ბოლომდე ელექტრონიკის ნდობა არ მინდა! ეს მართალია, იმიტომ, რომ მე როდესაც ინგლისიდან მოვდიოდი ჩემს თანაშემწეს, ბესოს დავაგალე ხუთი დღით ადრე სანამ წამოვიდოდი, რომ ყველაფერი, რაც მჭირდებოდა მას გადმოეტანა დისკებზე. ხოლო, სამი დღით ადრე კომპიუტერი ისე გაფუჭდა, რომ ყველაფერი, რაც იქ ინახებოდა მთლიანად დაიკარგა! ამიტომ ძალიან მნიშვნელოვან რაღაცებს, ზოგჯერ ფურცელზე ვწერ – ეტყობა ბოლომდე მაინც მას არ ვენდობი.



გელა ჩარავიანი ვალენტინიან, ნანა ჩარავიანთან ერთად

ნ.გ. – დღიურებს თუ წერ?

გ.ჩ. – დღიური ყოველთვის მქონდა. ახლა არ ვწერ. მე დღიურები მქონდა მხოლოდ იმ დროს, როდესაც ეს იყო მნიშვნელოვანი ქვეყნისთვის. მაშინ, როდესაც მქონდა პოლიტიკური თანამდებობები. მაშინ მე ვწერდი ყოველდღე 30 გვერდამდე. ეს ყველაფერი ჩემს მომავალ წიგნში შევა.

ნ.გ. – ტრადიციული ხარ თუ ადვილად მიესალმები ნოვაციონობას?

გ.ჩ. – ტრადიციები მიყვარს. ჩვენ ოჯახის ტრადიციები გვქონდა ყოველთვის – როდის რას ვზეიმობდით. შაბათობით ჩვენთან იკრიბებოდა ყველა და სადილი იყო აუკილებელი. ეს იყო მუდმივი კონტაქტისთვის, სადაც ჩვენ ვუზიარებდით ერთმანეთს ყოფით ამბებსაც, შემოქმედებით ამბებსაც. ზოგიერთი ასეთი დღე დაფიქ-სირებული გვაქვს ფირებზე. რაც შეეხება ნოვაციო-

ბას – მე აბსოლუტურად ყველა ნოვაციას განვიხილავ. განხილვა არ ნიშნავს, რომ აუკილებლად მივიღებ მას. მე მიმაჩნია, რომ საზოგადოებას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, თუ მიდის ინოვაციის გზით. თუ არ მიდის ინოვა-ციის გზით, მაშინ ის ჩამორჩება და ეს არის სწორედ და-ლუპვის გზა.

ნ.გ. – ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ რაიმე კულ-ტურული მოვლენა თავიდან არ გესმოდა და შემდეგ მისაღები გახდა შენთვის. აი, თუნდაც რეპი, როკი და ა.შ.

გ.ჩ. – აი, ირაკლიზე რომ ვილაპრაკოთ: ირაკლი თითქოს წერდა რაღაც უცხოს – არადა, ძალიან ქარ-თული იყო ყოველთვის! იმდენად ქართველი იყო, რომ როდესაც წავიდოდა ხოლმე საზღვარგარეთ ორი ან სამი თვით, შემდეგ აუკილებლად უკან ბრუნდებოდა. იმიტომ, რომ გამჭდარი ჰქონდა ეს ქართველობა. ტრა-

ნლების გადასახადიდან

დიციუბზე ვსაუბრობდით და ესეც, ქართველობაც იყო ჩვენი ტრადიცია. ყოველთვის ამას ვიმეორებდით, რომ ვართ ქართველები, მაგრამ ყოველთვის წინ უნდა მივ-დოდეთ იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ ეს ქართველობა! ქართველობის შენარჩუნება ნიშანს ყოველთვის ინოვაციას!!! ეს პრადოქსია, შეიძლება, მაგრამ ეს არის ერთადერთი ფორმელა, რომელიც გაგვაძლებინებს და სხვა არაფერი. სხვა შემთხვევაში ხელად გადაიქცევი ეგზოტიკური კულტურის წარმომადგენლად.

ნ.გ. – დღეს რა მუსიკას უსმენს გელა ჩარკვიანი?

გჩ. – კარგია რომ შემეცითხე, იმიტომ, რომ ისეთ სტადიაში ვარ, სამწეხაროდ, ახალს ალარ ვუსმენ; ძველს ვიგორებ. ახლა რასაც მინდა ინტენეტში ხელად ვიპოვი. ხელად მაძლევს ნოტებს, სიტყვებს, რომლებიც ძველად არასდროს არ ვყიდოთ, ხომ? ვუსმენ ყველაზე კარგი შესრულებით. ამას წინათ ვიხსენებდი ქოულ პორტერის სიმღერებს, ძალიან ნაზი, ლირიკული, ემოციური სიმღერები აქვს, რომლებიც დავინიჭებული მქონდა. ზოგჯერ ცრემლნარევად, იმიტომ, რომ ნოსტალგია ყველას გვაქვს.

ნ.გ. – შენი მუსიკალური გემოვნება ამერიკულ ჯაზზე ჩამოყალიბდა?

გჩ. – რასაკვირველია, მაგრამ რა იყო უფრო მოწინავე მაშინ? არაფერი არ იყო! ეს იყო ყველაზე წინ წასული! მე არ ვლაპარაკობ აკადემიურ მუსიკაზე, მაგრამ რასაც ეძახიან მსუბუქ მუსიკას (თუმცა მე არ მიმაჩნია ასეთი დაყოფა სწორად – ყველაზე ძლიერად რაც მოქმედებს ჩემზე, ე.ი. სერიოზულიც ისაა, ხომ? აკადემიური შეიძლება არა...)

ნ.გ. – თუმცა ახლა კონსერვატორიებში უკვე ჯაზ-საც ასწავლიან და აკადემიურიც გახდა...

გჩ. – იმიტომ, რომ ის სერიოზული მუსიკა გახდა! ჲო, მაგრამ დაკარგა შემწენელი ამის გამო! სერიოზული როგორც ხდება რამე, იმდენი შემწენელი აღარა ჰყავს. ეს გასაგებიც არის. ჯაზმა დაკარგა ცეკვის ელემენტი! ჯაზი ხომ წარმოიშვა რეგთამიდიდან, დიქსილენდიდან, სვინგიდან – ცეკვიდან წარმოიშვა. მდიდარი ხალხის დაბადების დღეებზე ბენი გუდმენის ბენდი რომ დაუკრავდა ხოლმე, მამანური იღვრებოდა და სმოკანგებში ცეკვას იწყებდნენ სვინგზე, ბრნეინვალე მომღერლების ელა ფიცეკერალდის, ნათ კოულის, ფრენკ სინატრას

უბრნყინვალესი მელოდიებით. ამის ალტერნატივა მაშინ არაფერი იყო მსოფლიოში! შემდეგ უკვე ინგლისური სიმღერები შემოვიდა 60-იანი წლებიდან. ამიტომ ეს იყო ყველაზე მოწინავე და ყველაზე მაღალი ხარისხის იმ დროს და ჩვენც იმაზე გავიზარდეთ.

ნ.გ. – საერთოდ როგორ მიგაჩნია, საით მიდის დღევანდელი ე.წ. აკადემიური მუსიკა – თუკი კლასიკური მუსიკა კარგვას მსმენელს და დასავლეთში მხოლოდ ხანდაზმული ხალხი დადის კონცერტებზე? ასევე ჯაზიც კარგვას მსმენელს...

გჩ. – მე მიმაჩნია, რომ ჩიხი არსებობს. აკადემიური მუსიკა მიდიოდა ატონალობის გზით. შონბერგს მიაჩნდა, რომ ატონალური მუსიკა გახდებოდა ისეთივე პოპულარული, როგორც ტონალური მუსიკა და ამბობდა, რომ ჩემს მელოდიებს ფოსტალიონი დაუსტვენს ხოლმე. ეს სისულელეა, რასაკვირველია! არც ერთ ფოსტალიონს და ზოგადად ადამიანს არ ექნება ისეთი სმენა, რომ დაუსტვინოს დოდეკაფონური მელოდია, არა? თუ ამას მელოდია ჰქვია საერთოდ. ამიტომ მუსიკა ამ გზით ვერ წავიდა, ცხადია! მე მიმაჩნია, რომ რაც მე ვახსენე – პოსტმოდერნი – სწორედ ეს ეკლექტიზმი, რასაც ეს ცნება მოიცავს, ეს მიმაჩნია დღეს მუსიკისთვის საინტერესო მიმართულებად. აუცილებლად უნდა იყოს პოლისტილისტიკა!

ლილი ჩადაგიდა (პიანისზი)


ნ.გ. – ლილი, ოპერა „ნარგიზა“, ფაქტობრივად, შენს ოჯახში ინტერესდა. შენი მეუღლე, ოთარ წერეთელი, იყო ლიბრეტოს თანაავტორი გელა ჩარკვიანთან ერთად. შენ კი იყავი პირველი შემსრულებელი. მოგვიყევი შენი კუთხიდან დანახული ოპერის შექმნის ისტორია.

ლ.ქ. – ნარგიზა, ბავშვობიდანვე შენ ხარ ჩემი კარის მეზობელი. ჩემი და ოთარის ქორწილშიც იყავი და ასე გაიცანი ჩვენი მეგობრები – გელა ჩარკვიანი, გივი ხომერიკი და სხვებიც. მერე შენგან გავიცანით ჩვენ შენი მეგობრები – ლელა ლალიძე, თამულია ციციშვილი, ნინო თორაძე და დანარჩენები. ძალიან დაგვამახსოვრდა ის დღე, როდესაც ვიყავით რევაზ ლალიძის ოპერის „ლელას“ პრემიერაზე; იმ დღეს ჩვენ ძალიან კარგ ხასიათზე ვიყავით – მე, ოთარი, გელა და მისი ცოლი, ნანა. ამ დროს დაგინახეთ ჰოლში შენ მოდიოდი

შენს მეგობრებთან ერთად. კომპონიტორის ქალიშვილი ლელა ლალიძე იყო გაბრწყინებული! ძალიან კარგ ხასიათზე. შენ კი მის ფონზე იყავი ცოტა მოწყენილი. გელაშ გკითხა: – „რატომ ხარ მოწყენილი? ოპერა, რომ არ მოგიძლვნა კარლომ, იმიტომ?“ – (კარლო გარდაფხაძე მაშინ იყო სახელმწიფო ტელეარხის ერთადერთი ხელმძღვანელი), ჩვენ დაგინერთ ოპერასო! – ასე დაპირდა გელა ნარგიზას. ეს ტყუილი შეპირება არ იყო – მეორე დღეს მოვიდა ჩვენთან გელა და ოთართან ერთად დაიწყო სცენარზე, ლიბრეტოზე ლაპარაკი. ამისთვის გამოიძახეს კიდევ ერთი მეგობარი – გივი ხომერიკი და მოაწყვეს ნამდვილი Brain storming-ი. ძალიან ხალისობდნენ! თავიდან სიტყაციებს ირჩევდნენ და იმდენს იცინოდნენ, რომ მე როდესაც ჩაის გასაკეთებლად მივდიოდი სამზარეულოში, სულ სირბილით ვპრუნდებოდი, რომ არაფერი გამომეტოვებინა. რამდენიმე დღეში უკვე ძირითადი ხაზი ჩამოყალიბებული ჰქონდათ. მერე დაიწყეს მუშაობა სიმღერებზე. ნაწილი სიმღერებისა გელას მოჰქონდა და იმაზე სიტყვებს ოთარი და გელა ერთად ადებდნენ; ხანდახან ოთარი დაწერდა ჯერ უბრალოდ ტექსტს და შემდევ იმაზე გელა ქმნიდა სიმღერას. უნდა გითხრა, რომ ძალიან სერიოზულად მუშაობდნენ!

ნ.გ. – თავიდანვე იცოდნენ რა უნდა გაეკეთებინათ?

ლ.ქ. – კი, რასაკვირველია – ეს უნდა ყოფილიყო ოპერა; შიგნით უნდა ყოფილიყო სახასიათო თბილისური სიტყაციები. მე მასსოვს, ერთი სიმღერაა, სადაც თბილისული ნარკომანები რატომღაც იხსენებენ ინგლისს და სკოტლანდ იარდს, ამ ეპიზოდის წერისას ისე იცინოდნენ, რომ საშველი აღარ იყო! მერე, რაღაც ეტაპზე მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ეს უნდა ეჩვენებინათ. ამისთვისაც სერიოზულად ემზადებოდნენ. უნდა გითხრა, რომ თვითონ შესრულებაზეც ძალიან სერიოზულად მუშაობდნენ. იქ არის ერთი ვოკალური ტრიო, საკმაოდ რთული პოლიფონით, ამისთვის ოთარი და გივი დგებოდნენ ოთახის სხვადასხვა კუთხეში, სუფთად რომ ემღერათ და მე და გელას მაგათვის ხელი არ შეგვემალა. ასე რომ, მეც მათთან ერთად ამ ოპერის პირველი შემსრულებელი ვიყავი. გელას მოუვიდა იდეა, რომ ნარგიზას არია უნდა ემღერა თავად ნარგიზას. დანარჩენს ვმდეროდი მე. პრემიერის დღეს მე



ვიყავი 7 თვის ფეხმძიმე, ამიტომ გელასთან სახლში პიანინო ცოტა გამოწიეს, რომ მე მაინცადამაინც მუცლით არ ვყოფილიყავი წინ. გელას ცოლის, ნანა თოიდის მეგობარმა, ოთარ სულაბერიძემ გააკეთა სპეციალურად ამ დღისთვის აფიშა. პირველ წარმოდგენაზე ძალიან ბევრი ხალხი იყო დაპატიუებული. ამ პირველ შესრულებას ძალიან დიდი წარმატება ჰქონდა. ხალხი მართლა აღფრთოვანებული იყო. მახსოვს, უერთია მაჭავარიანი მართლა გვეხვეწებოდა, ცოტა გადააკეთეთ და ტელევიზიაში ვაჩვენოთო. პირველ ვერსაში, როგორც იყი, იყო ბევრი უცენტურო სიტყვა. ცხადია, ეს 70-იანი წლების ტელევიზიაში ვერ მოხერხდა. ამ პირველ შესრულებას დაესწრნენ გეიდარ ფალავანდიშვილი, კოკა იგნაციოვი, გიორგი შენგელაია და ბევრი სხვა პირვენება. ეს იყო ქართული მუსიკალური ანდერგრაუნდის მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი დღე. შემდეგ უკვე მოვაინებით, გელამ კიდევ უფრო განავრცო და გაამდიდრა პიესაც და მუსიკალური ნომრებიც. 2006 წელს, მთლიანი ოპერა ჩვენი მეგობრის, გია ბაზდაძის დახმარებით გამოიცა დისკის სახით, ხოლო 2013 წელს გამომცემლობა „არტანუჯმა“ გამოსცა ეს ოპერა წიგნად – იქ შესულია პიესაც და მუსიკალური ნომრებიც.



ათავით ხრისტენი

სამუშაკო სკოლაში დავითმა შედარებით გვიან – 8 წლისამ – 2009 წელს დაიწყო, დამსახურებული პედაგოგის, არაერთი ცნობილი პიანისტის აღმზრდელის, ქ-ნ დოდო ცინცაძის ხელმძღვანელობით. ახლა კი მე-7 კლასის მოსწავლეა.

უკვე მე-2 კლასიდან იწყება ნორჩი პიანისტის წარმატებების ფეერიული სერია საერთაშორისო და რესპუბლიკურ კონკურსებსა და ფესტივალებზე. დავასახელებ მხოლოდ ქვეყნებსა და ქალაქებს: ორვესი (დანია), ერევანი, კვლავ ორვესი, თბილისი (ყველგან – I პრემიები), დაბოლოს, მოსკოვის ნორჩ მუსიკოსთა XIV საერთაშორისო კონკურსი „შჩელკუნჩიკი“ (2013), სა-

დავით ხრისტენის სიცოცხლის კონცერტის მთაგაფდილებაბი

გულშათ შორაპი

უხოვრების მრავალი ათეული წლის მანძილზე ჩვენში, რესეთში თუ უკხოეთში მომისმენია ურიცხვი ნიჭიერი, ზოგჯერ უნიჭიერესი ახალგაზრდა მუსიკოსისათვის, მაგრამ უყოფმანოდ შემიძლია განვაცხადო, რომ დავით ხრისტენის კონცერტმა გადაფარა ყველა ჩემი შთაბეჭდილება.

მართლაც, მოგისმენიათ, ან თუნდაც, გავიგონიათ, რომ 12 წლის ბიჭს სრული მხატვრული და ტექნიკური ადეკვატურობით შეესრულებინოს ისეთი ურთულესი ნაწარმოები, როგორებიცაა ლისტის „მეფისტოვალის“ და პროკოფიევის ტოკატა!

ასეთი რამ არ დასიმრებია თვით ახლო წარსულის უნიჭიერეს უკანასკნელს, დღეს გამოჩენილ პიანისტ ევგენი კისინსაც კი (დ. 1971)!

დანიელი კონცერტს კონკრეტულად ქვემოთ შევხებით, ახლა კი – 12 წლის პიანისტის, ძალაუნებურად მოკლე, მაგრამ, ამავე დროს, საოცრად შინაარსიანი „შემოქმედებითი გზის“ შესახებ.

სწავლა ზფალიაშვილის სახელობის ცენტრალურ

დაც მან მოიპოვა უმაღლესი ჯილდო – „ოქროს მაკნატუნა“ და პირდაპირ მოხიბლა მთელი მუსიკალური საზოგადოება (ხომ გახსოვთ შესანიშნავი ტელერეპორტაჟი მოსკოვიდან?).

ამის შემდეგ, ჩვენს სარეცენზიო სალამომდე, დათომ მოასწორ სამი კონცერტის გამართვა – ყველა 2013 წელს – კოპენბაგენში და პარიზში – სოლო და ერთიც, თბილისში – მენდელსონის საფორტეპიანო კონცერტის შესრულებით სიმფონიურ ორკესტრთან ერთად – ყველგან ტრიუმფული წარმატებით.

და როგორ გამოვტოვო კიდევ ერთი – ასევე არაორდინარული, მისი ამასწინანდელი მონაწილეობა შემანის კვინტეტის შესრულებაში, საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტის ცნობილ ვეტერანებთან ერთად!

ბუნებრივია, რომ დიდი ინტერესით ველოდით დათო ხრისტენის სოლო კონცერტს 23 მარტს თბილისის კონსერვატორიის მცირე დარბაზში, მით უმეტეს, რომ ანონსირებული პროგრამა სენსაციურობის ზღვარს სცდებოდა.

კონცერტი შედგა და არა თუ გაამართლა, არმედ გადააჭარბა კიდევ ყველა მოლოდინს. დიდი ხანია, არ მინახავს ჩვენი დარბაზი ასეთი აღტაცებული.

პროგრამა შეიცავდა კლასიკური, რომანტიკული და თანამედროვე მუსიკის ნიმუშებს, მხატვრული სტილის შეგრძებით შესარულა პიანისტმა ადრინდელი მუსიკალური კლასიკის ცნობილი შედევრები – დომენიკო სკარლატის ორი სონატა (ორივე რე-მინორი).

სათანადო პროფესიულ დონეზე იქნა წარმოდგენილი შოპენის ოთხი ცნობილი ეტიუდი (ადარაფერს ვამბობ მათი შესრულების სირთულის შესახებ): №№ 1,8,2 (თხ. 10) და №11 (თხ. 25), იგივეს ვიტყვი რახმანინოვის ორი ეტიუდ-სურათის (№№ 3,6, თხ.33) და თანამედროვე იტალიელი კომპოზიტორის რ. დელაფონტეს „2 პიესის“ შესრულებაზე.

პროგრამის ყველაზე სენსაციური ნაწილი კი, როგორც ითქვა, ლისტის „მეფისტო—ვალსა“ და პროფიექტის ტოკატასთან (რე მინორი) იყო დაკავშირებული.

პირველი მათგანი პიანისტმა საოცარი, შესაძლოა, რამდენადმე გადაჭარბებული ბგერითი და ტემპობრივი დინამიკითაც კი წარმოადგინა და აქ უნდაურად გამახსენდა დიდი გენრის ნეიგაუზის ფრაზა მისი ცნობილი წიგნიდან „საფორტუპანო დაკვრის ხელოვნების შესახებ“, სადაც იგი საუბრობს გამოჩენილი პიანისტების ჭაბუკური გატაცებების შესახებ. მეტი სარწმუნოობისათვის მომყავს იგი ორიგინალის ენაზე: «Я заметил, что все крупные виртуозы – некоторое время в молодости чрезвычайно любили и поколотить и постучать... Поколачивал и Рихтер, когда начинал свою концертную деятельность, а Владимир Горовиц в возрасте 17-18 лет стучал так безбожно, что его в комнате почти нельзя было слушать. Я почти уверен, что в молодости грешил этим и Лист: вспомните отзывы о нем Глинки. Мы часто слышим у молодых виртуозов, которым предстоит быть крупными пианистами, преувеличение в темпе и силе» (ზემოხსენებული წიგნი. გვ. 84).

ყოველივე ეს თამამად შეგვიძლია მივუსადაგოთ დათო ხრიკულის მიერ – ლისტის „მეფისტო—ვალსისა“ და პროფიექტის ტოკატის შესრულებას, რომელიც კომპოზიტორისავე სიტყვებით რომ ვთქვათ: „უ-



ავათ ხიაული ადაგოგ, ფოფო ხიხარისთან ერთად სგავსოდ რთული და შეუბრალებლად დამქანცველია“ («безобразно трудное и беспощадно утомительное»).

კონცერტი ანტრაქტის გარეშე მიმდინარეობდა და წარმოიდგინეთ, რომ დათოს ეყო ხალისი და ენერგია „ბისტ“ ნოდარ გაბუნიას ვირტუოზული პიესის – „იმპროვიზაცია და ტოკატა“ და შოპენის ვალსის (ლა ბე-მოლ მაჟორი) შესასრულებლად!

დასასრულ, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, აუცილებლად მიმაჩნია, რომ მუსიკალურმა საზოგადოებამ და, პირველ რიგში, ცხადია, საქართველოს კულტურის სამინისტრომ ითავოს უნიჭიერესი ჭაბუკის მედმივი მუერვეობა, დაუნიშნოს მას სტიპენდია, დააფინანსოს მისი მონაწილეობა საერთაშორისო კონკურსებში.

დაწმუნებული ვარ, რომ დათო ხრიკული ვალში არ დარჩება და გავვახარებს ახალი წარმატებებით.

P.S. სანამ ეს წერილი იბჭდებოდა უურნალში, დათო ხრიკულს 26 აპრილს შესრულდა 13 წელი და იმავე აპრილის თვეში ახალგაზრდა პიანისტმა ჩაატარა კიდევ ერთი „სრულმეტრაუინი“ კონცერტი მთლიანად ახალი პროგრამით და, რაღა თქმა უნდა, კვლავ დიდი წარმატებით. ამჟამად მას მიღებული აქვს მოწვევა პიანისტთა საერთაშორისო კონკურსზე ქასტანაში (ყაბახსტანი), რისთვისაც ამზადებს ლისტის (პირველ) და გრივის საფორტუპანო კონცერტებს. წარმატება ვუსურვოთ მას და მის პედაგოგს.



ავთა ხვალეიძე

ქელად მისაბაძი მაგალითი

რეჟისორი ქათათელაძე

2014წ. 26 აპრილს დიდუბის პანთეონის წმინდა სავანეშ მიიბარა კიდევ ერთი ღირსეული პიროვნება, ვაშინგტონიდან გადმოსვენებული – პეტრე ხვედელიძე. მისი სახელი ფართო საზოგადოებამ მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ, რადიო და ტელე გადაცემებით გაიკანი და ღრმა პატივისცემითაც განიმსჭვალა, რამეთუ იგი იშვიათი ადამიანი, დიდი პატრიოტი, ეროვნული მოღვაწე ბრძანდებოდა.

საქართველოს ბედკრულმა ისტორიამ სამშობლოს სიყვარულით გულგათანგული პატრიოტი სწორედ სათაყვანო საქართველოს მოსწორეა და შორს გადასტყორცნა. ილბალმა ბედი ისეთი არგუნა, ჯერ რუსეთ-სსრკ-ს შორის ომში, მერე საფრანგეთში, ბოლოს კი ამერიკაში გაატარებინა ცხოვრების უმეტესი ნაწილი. ჭეშმარიტმა მამულიშვილმა ისე განვლო ამქვეყნიური ხანგრძლივი გზა – 95 წელი – ერთი დღეც არ დაუღმებია სამშობლოშე ფიქრის გარეშე. ეს იყო მგზებარე სიყვარული საქმით დადასტურებული. ამის ხილული საბუთია თუნდაც თითოეული სტრიქონი წიგნებისა „პარიზიდან ვაშინგტონამდე საქართველოზე ფიქრით“ (წიგნი I, თბ. 2010; წიგნი II თბ. 2012. რედაქტურებული და გამოცემული ციცინო ჯერვალიძის თაოსნობით), რომელთა ყოველი სტრიქონი მართლაც საქართველოზე ფიქრითაა გაყლენთილი. ამ ფურცლებზე თავმოყრილი პირველი თაობის ქართველ ემიგრანტთა, მათ შორის ლევან ზურაბიშვილის, გურამ გაბაშვილის ერთმანეთთან, თუ სხვა გადახვეწილ ქართველებთან, უპირატესად კი თავად პეტრე ხვედელიძესთან მიმოწერა, ხილული საბუ-

თია იმისა, უკონფიდენციალური ქართველობა დღეწიადაგ როგორ იღვწოდა სამშობლოს დამოუკიდებლობისა, თავისუფლებისა და კეთილდღეობისათვის.

მავანი მკითხველი გაიკვირვებს – რამ განაპირობა ჰქონდება ხვედრისადმი გამოსათხოვარი წერილის გამოქვეყნება ურნალმ „მუსიკა“, წმინდა მუსიკალურ საკითხებს რომ აშენებს? საქმე ისაა, რომ ბ-ნი პეტრეს სახით ურნალმა დაკარგა ისეთი მხერვალე გულშემატკივარი, ურნალით დაინტერესებული ისეთი მკითხველი და უფრო მეტიც, ისეთი მოამაგა, სხვა რომ არავინ მეგულება. აი აქაც, ამ ერთ, მცირე საკითხშიც ვლინდებოდა ბ-ნი პეტრეს პატრიოტობა, ყველაფერ ქართულზე მზურველობა. აღმართ მახსოვას როდიდან, ვერა 2010 წლიდან, ყოველი მორიგი ნომრის წაკითხვის შემდეგ იგი მიზიარებდა თავის შეხედულებას ცალკეული წერილის ავ-კარგზე, მერე კი აშშ-ს კონგრესის ბიბლიოთეკში მიჰქონდა და იქნარ საცავში აბინავებდა ურნალს: „ვოშინგტონში (ბ-ნი პეტრე მხოლოდ ასე მოხსენიებდა აშშ-ს დედაქალაქს) უნდა უწყოდნენ რარიგია ქართული კულტურა“-ო. ურნალი მისივე მოთხოვნით ეგზავნებოდა ხოლმე.

ჩემთვის ძნელი და სამშიმოა წარმოდგენა იმისა, რომ ამიერიდან აღდგომისა და შობის ბრწყინვალე დღესას-წალებზე, ახალ წელსა თუ ჩემს დაბადების დღეს, დილაადრინბ, აღარ გაისტება სატელეფონო ზარი – ბ-ნი პეტრეს მოლოცვა. ეს ჩემი ყველაზე ძვირფასი საჩუქარი იყო ხოლმე, ახლა უკვე დაუკინეარი. ვიცი, ასეთი ყურადღებით სხვა ქართველებსაც რომ ახებივრებდა, მე არ ვყოფილვარ გამონაკლისი. ამას კი ვიხსენებ იმიტომ, ამ ხანდაზმული ადამიანის ხასიათის იშვიათი თვისებები რომ წათელვყო, მოსალოცად დღესასწაულს რომ არ გამოუვებდა, არ დაივიწყებდა. მე კი თავი ბედინერად მიმაჩნია, ვამაყობ კიდევაც, ასეთ პიროვნებასთან ურთიერთობის პატივი რომ მარგუნა უფალმა.

სიმბოლურად მესახება ამ გამორჩეულ პიროვნების გაცნობა. ეს იყო 2006 წ. გაისმა სატელეფონო ზარი. უცნობი მამაკაცის ხმამ დამდევი ახალი წელი მომიღლოცა. ძველებურ-ინტელიგენტური ინტენაცია მეუცხოვა. არ ვიცი როგორ გაეგო ჩემი ტელეფონის ნომერი, ან რა გზებით ჩავარდნოდა ხელში ჩემი წერილი „უფლისწულები“, ზვიად გამსახურდის შვილიშვილების, დემეტრესა და ზვიადის თბილისში გამართული ქამერული კონცერტის შესა-

ხებ. მაშინ ჯერ კიდევ ის დრო იყო, გამსახურდის სსენტებას ფაბურომ ედო, მისი ოჯახის წარმომადგენელთა კონცერტი ლამის კონსპირაციულად, პოლიკის ფხიზელი მეთვალყურეობით ჩატარდა. გამოი „თბილისის“ მდროინდელი რედაქტორის, ბ-ნი ისებ ჭუმბურიძის გაბედულებას ვუმადლი, წერილი რომ დაიბეჭდა. აი, ასე, საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა, ბ-მა ზვიად გამსახურდიამ, დამაკავშირა იშვიათ პიროვნებასთან. მას აქეთ ბ-ნი პეტრეს თითოეული ზარი, ჩემთვის, როგორც უკვე აღვინიშნე, არა მხოლოდ ძვირფასი საჩუქარი იყო, მასთან ხანგრძლივი საუბრები სკოლა იყო ქართული საქმის სიყვარულისა, პატრიოტიზმისა, საქმით და არა ლიტონი სიტყვით გამოხატული სამშობლოს ერთგულებისა... ამას ზედ ერთვოდა დღეს მზისით სანთლით საძებარი თავმდაბლობა, კეთილშობილება, ზენობრიობა, თავგზიანობა, ქველმოქმედება, მზრუველი ყურადღებიანობა... აი, ასეთი ღირსებები, ვაი, რა ძნელად სამოვარი, ვაი, რა ძნელად მისაბაძი ღირსებები ამკობდა ამ ჩინებულ ადამიანს.

ბ-ნი პეტრეს ღია საფლავთან მოწინებით თავდახრილ ხალხმრავლობაში გამოვარჩევდი რამდენიმე ვაჟ-კაცს, ზოგს ინვალიდის ეტლში, ზოგს ფეხისა თუ ხელის პროთეზით. ეს იყვნენ ავღანეთის ქართველი გმირები. თვეების მანძილზე, ყოველ შაბათს, ვაშინგტონის ჰოს-პიტალში ბ-ნი პეტრე, ნობათით ხელში, მათ აკითხავდა, სიკოცხლისაკენ აბრუნებდა, მედგარ სულს განუმტკიცებდა... ყოველ ცისმარე შაბათ დღეს, 90 წლის ასაკს გადაბიჯებული კაცი, უბარაშაბარი ვაშინგტონის ერთი ბოლოდან მეორეში მიემურებოდა განსაცდელში ჩავარდნილი ქართველი მეომრების გასამხნევებლად! ძნელად, ვაი, რა ძნელად მისაბაძი მაგალითა!

აი ასეთი, საქართველოსთვის დამაშვრალი, გამორჩეული პიროვნება, აღდგომის ბრწყინვალე შვიდეულში, შეუერთდა ზეციურ საქართველოს.

P.S. უსათუოდაა მადლიერებით მისათითებელი ის ღვანილი, რაც დებმა, ციკინო და სოფიო ჯერვალიძე-ებმა, დასდეს ბ-ნი პეტრეს ჯერ ეპისტოლარული მემკვიდრეობის თავმოყრას, რედაქტორებასა და გამოცემას, ხოლო შემდეგ კი აშშ-დან მისი ნეშტის გადმოსვენებისა და დიდუბის პანთეონში დაკრძალვასთან დაკავშირებულ არცთუ იოლ პროცედურებს.

საგუნდო მუსიკა ქართული კულტურული მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანების ნაწილია. თანამედროვე ქართული ხელოვნების განვითარებას კი დიდ ძალისმევასთან ერთად ხელშეწყობაც სჭირდება. დღეს საქართველოში მრავალი საგუნდო კოლექტივი მოღვაწეობს. წელს კი მათ რიცხვს ახალი შექმატა – თბილისის გოგონათა გუნდის სახით. გუნდის დაბადება ფართო საზოგადოებას ამცნო თბილისის IV საგუნდო ფესტივალმა, რომლის ფარგლებში შედგა მისი ნარმატებული პრემიერაც. გუნდის ხელმძღვანელია ვ. სარაჯიშვილის სახელის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საგუნდო-სადირიქორო ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი ომარ ბერდული. თბილისის გოგონათა გუნდი ახალგაზრდა დირიჟორთან ერთად დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება საქმეს.

ახალი ხეგი პართულ საგუნდო მუსიკაში

ვ. სარაჯიშვილის სახელის თბილისის
სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკოლოგის
ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი

მორჩა მარიამ გარებაძე

- ომარ, საიდან გაჩნდა გუნდის შექმნის იდეა?
- გუნდის შექმნა ყოველთვის მინდოდა. იდეა გაჩნდა 2010 წელს, თუმცა რამდენიმე მცდელობის მიუხედავად ეს იდეა ვერ განხორციელდა. 2013 წელს კი, მას შემდეგ, რაც საგუნდო-სადირიქორო ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამაზე ჩავაბარე, უფრო გაძლიერდა გუნდის ჩამოყალიბების სურვილი და ერთ-ერთ კონცერტზე, მეგობართან საუბრის შემდეგ, საბოლოოდ გადავიწყოთ დამეწყო იდეის განხორციელება. თავდაპირველად, პირველი რეპერიკისათვის ჩვიდმეტი გოგონა შევკრიბე, ამჟამად გუნდში ოცდაათი გოგონაა, გუნდში მღერიან როგორც კონსერვატორიის, ისე თბილისის რამდენიმე უნივერსიტეტის სტუდენტები და ასევე მგალობლები თბილისის სხვადასხვა ტარიდან.

- რას გვეტყვი გუნდის რეპერტუარის შესახებ?
- გუნდის ძირითად რეპერტუარს ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები შეადგენს – გამოვყოფი

ოსებ კეჭაყმაძეს, რომელიც ქართული საგუნდო მუსიკის ამაღლობისაზე მისი მისი მუსიკა, უბრალოდ ნარმოუდგენელია. გარდა ამისა, ჩვენ ვასრულებთ ჯემალ ბეგლარიშვილისა და ზვიად ბოლქვაძის შესანიშავ ქმნილებებს. რაც შეეხება უცხოურ მუსიკას, დაგვეგმილი ვაკებს მსოფლიო საგუნდო მუსიკის შედევრების შესრულებაც.

თბილისის გოგონათა გუნდის შესახებ გავესაუბრეთ ვ. სარაჯიშვილის სახელის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სრულ პროფესორს, აკადემიური გუნდის დირიჟორობის მიმართულების ხელმძღვანელს, ბ-ნ შალვა მოსიძეს.

- ბ-ნ შალვა, როგორ შეაფასებდით გუნდის პრემირას?

– მოხარული ვარ, რომ კიდევ ერთი ქალთა საგუნდო კოლექტივი შეიქმნა. ეს ხელს შეუწყობს ქართული საგუნდო მუსიკის პოპულარიზაციას. თბილისის გოგონათა გუნდს ვუსურებ ნარმატებას.



გავესაუბრეთ ასევე თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებულ პროფესორის, კონსერვატორიის ემერიტუს პროფესორ ბ-ნ გივი მუნჯაშვილს:

„მისასალმებელია ამგვარი წამოწყება! გუნდის პრემიერას ნამდვილად დადებითად შევაფასებდი. ომარი ძალიან გონიერი და მშრომელი ახალგაზრდაა. ჩვენთვის კი უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენაა ყოველი ახალი საგუნდო კოლექტივის დაბადება. მთავარია, გუნდმა მიზნად დაისახოს ქართული ეროვნული საგუნდო მუსიკის პოპულარიზაცია. ვისურვებთ წარმატებას!“

გუნდს მაღალი შეფასება მისცა სომხეთის სახელმწიფო კამერული გუნდის დირიჟორმა რობერტ მლქეიანმა:

„ძალიან მოვიხიძლე თბილისის გოვონათა გუნდის შესრულებით. აღფრთვავანებული და გაოცემული ვარ ასეთი დონით. ვფიქრობ, ამ გუნდს დიდი მომავალი აქვს. ვისურვებთ წარმატებას!“

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებულმა პროფესორმა, „საქართველოს საგუნდო საზოგადოების“ თავმჯდომარემ ლია ჭონიშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა:

„თბილისის გოვონათა გუნდის პრემიერას ნამდვილად დადებით შეფასებას ვაძლევ. ეს გუნდი ახლად ჩამოყალიბებული „საქართველოს საგუნდო საზოგადოების“ პირველი კოლექტიური წევრი – პირველი მერცხალია. განსაკუთრებულად მახარებს ის, რომ გუნდს ხელმძღვანელობს ჩემი სტუდენტი – ომარ ბურდული. გუნდს ვუსურვებ წარმატებას და დარწმუნებული ვარ, ძალიან მაღალ მოიპოვებს ქართველი მსმენელის სიყვარულს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ უცხოეთშიც“.

მეც შევუერთდები კეთილ სურვილებს და ვიმედოვნებ, რომ ეს ახალგაზრდული კოლექტივი მრავალგზის გაახარებს ქართველ მსმენელს ეროვნული და მსოფლიო საგუნდო მუსიკის გენიალური ქმნილებებით.

სტადიონური გვარდი

გასული წლის 5 დეკემბრის საღამო გამორჩეული იყო კონსერვატორიის საკონცერტო ცხოვრებაში. ამ დღეს კონსერვატორიის თვითმმართველობის ორგანიზებით ჩატარდა ახალგაზრდა, ჯერ კიდევ სტუდენტ კომპოზიტორთა კონკურსი. მსგავსი ღონისძიებები ხელს უწყობს ახალგაზრდა კომპოზიტორების დაოსტატებას და, ამასთან, მათი შემოქმედების საზოგადოებისთვის გაცნობას.

მრავალფეროვანი იყო კონკურსის პროგრამა, რომელიც წარმოდგენილი იყო როგორც საანსამბ-

სადასტურებლად ეს ორი წიმუშიც საკმარისი აღმოჩნდა.

მიხედავად იმისა, რომ გიორგი პაპაშვილი (პედაგოგი პროფესორი მაკა ვირსალაძე) მხოლოდ ბაკალავრიატის I კურსის სტუდენტია, მის ნანარმოებში უკვე ვლინდება მაღალი პროფესიონალიზმისაკენ სწრაფა. თანამედროვე საკომპოზიციო მეთოდების ოსტატურმა გამოიყენება და მუსიკალურ-გამომსახველობით საშუალებათა სიუხვეზ მსმენელზე შთაბეჭდილება მოახდინა.

სტუდენტ-პოპულარობითა „ავანგარდული“ პონცელი

კომპოზიციისა და მუსიკისმცოდნეობის განყოფილების ბაკალავრიატის III კურსის სტუდენტი
არჩილ იოაშავაძე

ლო, ისე სოლო ნომრებით, კერძოდ, თენციზ ნოზაძის, ლაშა კოვშირიძის, ვიორგი პაპაშვილის, ოვანეს ამბარცუმნინის, პარსა შომალის, არშამა სამსამინიას და ლევან ქუქჩიშვილის ნანარმოებებით. ხაზვასმით უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყველა შესრულებული ნანარმოები დაწერილია თანამედროვე „ავანგარდული“ მუსიკალური სტილით.

კონკურსი გაიხსნა მაგისტრატურის II კურსის სტუდენტის – ლევან ქუქჩიშვილის მუსიკით (პედაგოგი პროფესორი ზურაბ ნადარეიშვილი) მცირე ორკესტრის, ბენდისა და ვოკალისათვის. ეს ნანარმოები ელექტრონული ვერსიით იყო წარმოდგენილი და თანამედროვე სტილში დაწერილი არაკლასიკური და კლასიკური საშუალებების ორიგინალურ და საინტერესო სინთეზს წარმოადგენდა. შეიძლება ითქვას, რომ უკვე შეიმჩნეოდა კომპოზიტორის ხელწერის ნიშნები ამ თამაშ ექსპერიმენტში, რომელმაც ვფიქრობ, გაამართლა, ივი არ ტოვებს ხელოვნურობის შთაბეჭდილებას მსმენელში.

გიორგი პაპაშვილის შემოქმედება ორი წარმოებით იყო წარმოდგენილი, მაგრამ მისი ნიჭიერების და-

საფორტუნანო პიესა „გეთსიმანის ბალი“ სათაურიდან გამომდინარე პროგრამულ ხასიათს ადარებს. როგორც ჩანს, რელიგიური თემსტყო მისთვის უკხო არ არის. კომპოზიტორმა ნანარმოებში გადმოსცა საკუთარი განცდები ამ ლეგენდარულ ბალტე. ნანარმოები ერთგვარი მისტიკიზმითა და დრამატიზმით არის გამსჭვალული, რაც გამართლებულია იმ გარემოებით, რომ ეს არის ბიბლიური ფენომენი, სადაც ყველაზე მძაფრადაა წარმოჩენილი მაცხოვრის ორი ბუნება: ადამიანური და ღვთიური.

რაც შეხება საფორტუნანო კვინტეტს (დაწერილია 2012-2013 წლებში), ამ წარმოებში იგრძნობა სკრიპტისა და დალიგეტის გავლენა. ნანარმოები ლირიკულ-დრამატული ხასიათისაა, სადაც კომპოზიტორი გვესაუბრება ზოგადსაკაცობრიო პრობლემატიკაზე. ავტორის სიტყვების თანახმად, იგი მიზნად ისახავდა მასში აესახა სამყაროში დიდი დოზით დაგროვილი ავრესია, ცინიზმი და ამავე დროს წარსულის ნოსტალგია.

ყველაზე მრავალფეროვანად და მომგებიანად იყო



ზეჯა რიგში მარცხნილან: ოვანოს აშგარცხმიანი, თანვიზ ნოზაპარ, ლაპა კოვალიშვილი; ევედა რიგში: გიორგი აააიაშვილი, არშია სახსამინია, ლევან გომილაური

წარმოდგენილი III კურსის სტუდენტის, თენგიზ ნოზაძის შემოქმედება (პედაგოგი პროფესორი ვიორგი შავერზაშვილი), შესრულდა მისი ოთხი ნანარმოები: კვინტეტი, ტრიო ბოდლერის პოემის – „მხატვრის აღსარების“ მიხედვით (ვიოლინოს, ჩელოსა და ფორტეპიანოსთვის), „ნადირობა“ (ელექტრონული ვერსია) და საფორტეპიანო პიესა „ჩანახატი“. კომპოზიტორი მკვეთრად გამოხატული მელოდიური ნიჭით არის დაჯილდოებული. მუსიკის დრამატული დაძაბულობა და და ექსპრესია აახლოებს მას რომანტიზმთან, დაძაბულობის ტალღისებური უწყვეტი მუსიკალური განვითარება ადეკვატურად პასუხობს ლიტერატურული პირველწეროს ფსიქოლოგიურ შინაარს. ნოზაძის მუსიკის ბუნება ლირიკულია, მუსიკალური სტილი სადაც, ნათელი და, ამავე დროს, ღრმა ფსიქოლოგიური შინაარსის, თანაც სავსეა ბგერნერითი მომენტებით. განსაკუთრებით საინტერესოდაა წარმოჩენილი უანრული საწყისის როლი, ეს ყველაზე მკაფიოდ ჩანდა მის ნანარმოებში – „ნადირობა“. აქ ასახულია ნადირობის პროცესი, კომპოზიტორის მუსიკის პოეტური ბუნება თვალსაჩი-

ნოს ხდის ნანარმოების შინაარსს. ნანარმოებში მან გამოავლინა ბეგერნერითი ოსტატობა, დასაწყისიდანვე გვესმის ძალლის ყეფისა და ფრინველთა გადასხილები, შემდგომ ცხენზე ამხედრებული მონადირეების ჯირითის ხმები. ამავე ავტორის კვინტეტი უკავშირდება გალაკტიონის ცნობილ ლექს „მერის“, შესაბამისად, მუსიკალური განვითარება პასუხობს ლექსის მხატვრული განვითარების ლოგიკას, რაც ზოგჯერ აშკარადაც შეიგრძნობოდა. მაგალითად, კომპოზიტორი ქორნინების სცენის საილუსტრაციოდ მიმართავს ციტირების ხერხს, კერძოდ, საყვირის პარტიაში ისმის მენცელსონის საქორნინო მარშის მთავარი თემა.

პარსა შომალი (პედაგოგი პროფესორი მაკა ვირსალაძე) ირანელი წარმოშობის კომპოზიტორია, რომელიც ამჟამად ჩვენი კონსერვატორიის სტუდენტია. მის ორიგინალურ დუეტში „Alterpath“ (ფლეიტისა და ფორტეპიანოსთვის) წარმოდგენილი აღმოსავლური ელემენტები ძალზე საინტერესო აღმოჩნდა ჩვენი მსმენელისათვის. მან კომპოზიციას იმიტომ დაარქევა „Alterpath“, რომ ეს არ იყო მის შემოქმედებით პრინციპებზე

სტატური გვარდი

დაყრდობით შექმნილი ნაწარმოები, არმედ რაღაც „ალტერნატიული“ საკომპოზიციო მეთოდი, რომელსაც კონსერვატორიაში სწავლისას გაუცნო. აქ იგი ეყრდნობა სკრიაბინის „პრომეთეს“ აკორდის ბერძნობისა და მას უსადაგებს შეა საუკუნების რიტმულ მოდუსებს.

საინტერესოდ იყო ჩაფიქრებული ასევე ბაკალავრიატის III კურსის სტუდენტის ლაშა კოვზირიძის (პედაგოგი პროფესორი ნოდარ მამისაშვილი) საფორტეპიანო კვინტეტი „მეხსიერება“ (პობოის, ვიოლინოს, ალტის, ჩელოსა და ფორტეპიანოსათვის). კომპოზიცია ერთნაწილადია, ერთიანი ოსტინატური განვითარებით. ნაწარმოების სათაური მის პროგრამულ შინაარსზე მეტყველებს, მაგრამ ეს შინაარსი მსმენელის მხრიდან განსხვავებულად აღიქმება. ბანში ოსტინატური, მონორიტული მოტივების დაუზინებული განმეორებები მეხსიერებაში ტოვებს ღრმად აღბეჭდილი მძაფრი მოვონებების ასოციაციას — რაც უფრო მეტად ვცდილობთ მათ დავინუებას, მით უფრო რთული ხდება ეს ჩვენთვის.

არშია სამსამინია (პედაგოგი პროფესორი მაკავირსალაძე) ბაკალავრიატის I კურსის ერთ-ერთი სანიმუშო სტუდენტია. წარმოშობით ირანელი. იგი ვამოირჩევა ნოვატორული ძიებებით და რაციონალური მუსიკალური აზროვნებით. თანამედროვე მუსიკასა და თანამედროვე აზროვნებაზე მისი შეხედულებები ცალსახაა. „თანამედროვე სტილში აზროვნება აუცილებელია 21-ე საუკუნის ხელოვანთათვის, რაფან ჩვენ ამ საუკუნეში ვცხოვრობთ და სწორი არ იქნებოდა მოცარტისა და ბეთჰოვენის სტილში გვერდია, სამყარო მუდმივად იცვლება. მოცარტის პერიოდში არ იყო ისეთი მოვლენები, როგორიც დღეს: მსოფლიო ომები, გადაჭედილი ქუჩები, არნახული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და ა.შ. ამ ცვლილებებთან ერთად, მუსიკა და ზოგადად ხელოვნებაც, განიცდის ცვლილებებს. საჭიროა იმ ეპოქის მუსიკა შევქნათ, რომელშიც გვინევს ცხოვრება“ — ამბობს იგი. ცხადია, ხელოვნება აქტუალურია დროსთან მიმართებაში, რა ფასი აქვს მუსიკას, თუ მას დღევანდელობასთან კავშირი არა აქვს?

არშია სამსამინიას შეხედულებებმა ასახვა პერვა მისსავე თხზულებებში. ამ კონცერტზე შესრულდა მისი „ელეგია“ ვიოლინოს, ზარებისა და ფორტეპია-

ნოსათვის. ვფიქრობ, ეს ნაწარმოები განსხვავებულია, რადგან თუ ადრე თავის ყველა ნამუშევარში იგი ამ-უღანებდა ირანულ კულტურასთან მჭიდრო კავშირს, ამ შემთხვევაში იგი მხოლოდ საკუთარი შემოქმედებითი კრეატიულობით წარმოვიდგება და მისი „ელეგია“ ერთგვარი ექსპერიმენტის სახეს იღებს. შეუძლია თუ არა კომპოზიტორს შექმნას ღირებული კომპოზიცია საკუთარი ეროვნული შემოქმედებითი ფესვებისგან მოწყვეტილმა? ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, მისი ექსპერიმენტი საინტერესო აღმოჩნდა, მაგრამ მე მაინც ვუსრულებდი, მალე დაუბრუნდეს თავის პირვანდელ გზას.

საინტერესო იყო ასევე ოვანეს ამბარცუმიანის „ვარიაციები შებერტის „კალმახის“ თემაზე“ საყვირისა და ფორტეპიანოსათვის (პედაგოგი პროფესორი ზურაბ ნადარეიშვილი). კომპოზიცია შედგება თემისა და 4 ვარიაციისაგან. ავტორი შებერტის რომანტიკულ-ლირიკულ თემას თანამედროვე სტილში გარდაქმნის. საინტერესოა ისიც, რომ იგი ახდენს თემის პოლიფონიურ დამუშავებას, ერთ-ერთი ვარიაცია ფუგატოს ფორმითაა დაწერილი.

კონცერტს დადებითად აფასებს საკომპოზიციო კათედრის გამგე, ცნობილი კომპოზიტორი, პროფესორი ზურაბ ნადარეიშვილი:

„სტუდენტთა, ე.წ. კათედრის კონცერტები, როგორც წესი, ყოველთვის ტარდებოდა და ახლაც ტარდება სასწავლო წლის ბოლოს, როგორც სტუდენტთა მიერ წლის განმავლობაში გაწეული სამუშაოს ერთგვარი ანგარიში. ამ მხრივ, ჩატარებული კონცერტი არ წარმოადგენდა მხოლოდ წელს დაწერილი ნაწარმოებების ჩვენებას. მასში მონაწილეობა, ისე, როგორც ნაწარმოებების შერჩევა მხოლოდ სტუდენტებზე იყო დამოკიდებული. ჩვენ მოვისმინეთ როგორც ახალი, ისე უკვე ნაცნობი თხზულებები. მისასალმებელია, რომ სტუდენტებს აინტერესებთ სხვადასხვა სტილისა და უარის მუსიკა, ახალი უღერადობის მისაღწევად ისინი იყენებენ კომპიუტერს, ეძებენ აკუსტიკური და კომპიუტერული იფექტების შეერთების ახალ ხერხებს. სწორედ ასეთი ტიპის კონცერტებზე ხდება მათი საკომპოზიტორო მიგნებების მოსინჯვა, რაც, უდავოდ, გამოადგებათ მომავალ შემოქმედებით მუშაობაში. რა თქმა

უნდა, ამ კონცერტს ნაკლოვანებებიც ახლდა. კერძოდ, შეიძლებოდა ნანარმოებების შედარებით მკაცრი კრი-ტერიუმებით შერჩევა. მართალია, სტუდენტებს, ამ მხრივ, სრული თავისუფლება ჰქონდათ, მაგრამ ცოტა თვითკონტროლი არ იქნებოდა ურიგო. რამდენიმე ნა-ნარმოები, ჩემი აზრით, არ იყო მიყვანილი საკონცერ-ტო კონდიციამდე, მეტ დახვეწას და დამშშავებას მო-ითხოვდა, მაგრამ წინ კიდევ ბევრი დროა და იმედია, სტუდენტების და ჩვენი (პედაგოგების), ერთობლივი მუშაობით ეს ხარვეზები გამოსწორდება”.

კონცერტის წარმატებას ხელი შეუწყო მაღალმა საშემსრულებლო დონემ, რომელიც ძირითადად კონ-სერვატორის სტუდენტების პროფესიული ოსტატო-ბით იყო განსაზღვრული.

ამ მხრივ, ყურადღება უნდა შევაჩიროთ თენგიზ წომაძეზე, რომელიც მსმენელების წინაშე წარდგა რო-გორც კომპოზიტორის, ისე შემსრულებლის ამპლუაში და ორივე ამოცანას ჩინებულად გაართვა თავი. მართ-ლაც, ვინ იცის ყველაზე უკეთ, როგორ უნდა უღერდეს წაწარმოები, თუ არა მისმა შემქმნელმა კომპოზიტორ-მა?

კონცერტში გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვა-ნი დეტალი:

ავტორთა უმრავლესობა თანამედროვე სტილში წერას ანიჭებს უპირატესობას. ეს მათი თვითმიზანი კი არ არის, არამედ გამომდინარეობს და ბუნებრივად ეხ-მიანება იმ ეპოქას, რომელსაც ისინი ეკუთვნიან, თუმცა ამ ასაკში ჯერ კიდევ ძნელია საუბარი მათ ზოგადმ-ხატვრულ ბუნებაზე, რადგან ჯერაც ჩამოყალიბების პროცესში არიან და ნებისმიერ მომენტში შეიძლება, ოდესაც ტრადიციულ რომანტიკულ სტილში მოღვა-ნე კომპოზიტორი, ერთ მშვენიერ დღეს სრულიად სა-პირისპირი, მაგალითად, ავანგარდ შემოქმედად მოგ-ველინოს, და პირიქით. აღსანიშნავია, რომ კონცერ-ტმა არ შექმნა ერთფეროვნების შეგრძნება, პირიქით, ახალგაზრდა ავტორებმა გამოავლინეს ინდივიდუა-ლობისკენ მიდრეკილება. ნიშანდობლივია, რომ ისინი ზოგჯერ რადიკალურადაც განსხვავდებოდნენ ერთმა-ნეთისაგან. მსმენელმაც ადვილად მიიღო თანამედრო-ვე ეპოქის მუსიკა, იმის მიუხედავად, რომ ავანგარდუ-ლი ხელოვნების აღქმის პროცესში საზოგადოებაში,

სამწუხაროდ, არსებობს. რა თქმა უნდა, ამის მიზეზები არცთუ ისე ცოტაა, თუკი გავითვალისწინებთ იმას, რომ ხელოვნებაში კომპლექსურად მიმდინარეობს მოვ-ლენები, კანონზომიერებები ხელოვნების სხვადასხვა სფეროში მსგავსია და ერთი ეპოქის შედევრები ხში-რად ერთიან ესთეტიკაზე არის მორგებული. იმისათვის, რომ ჩაწვეტეს და უკეთ აღიქვას კომპოზიცია, შემენელს ზოგადი წარმოდგენა მაინც უნდა ჰქონდეს იმ ეპოქის ხელოვნებასა და ზოგად მხატვრულ ესთეტიკაზე, რა ეპოქის კომპოზიციასაც ეცნობა. ამ მხრივ, თანამედრო-ვე ხელოვნების აღქმა ყველაზე პრობლემურია თანა-მედროვე საზოგადოებისათვის. მიზეზები მრავალია და არაერთგვაროვანი, თუმცა ზოგიერთ მათგანზე მაინც შევაჩირებ მკითხველის ყურადღებას. ქვეყანაში არ-სებული კულტურული ვითარება მძიმეა. თანამედროვე ხელოვნების მუზეუმების სიმწირე, თანამედროვე ლი-ტერატურის მიუწვდომლობა, ის ფაქტი, რომ არ არის ნათარგმნი მსოფლიოს თანამედროვე, 21-ე საუკუნის ლიტერატურის შედევრების უმრავლესობა (სამწუხა-როდ, ეს პრობლემა აქტუალურია იმდენად, რამდენა-დაც ახალგაზრდების უმრავლესობას ენობრივი ბარიე-რი აქვს, ამ მხრივ, მეოცე საუკუნის ლიტერატურასთან მიმართებაში უკეთესი სიტყაციაა, რადგან მათი უმ-რავლესობა ნათარგმნია და ხელმისაწვდომი), თუაფ-რი, კანო, ზოგადად სახელოვნებო დაწესებულებები თუ სატელევიზიო გადაცემები ორიენტირებულია ფრან-სურად მომგებიან, „გაყიდვად პროდუქციაზე“, გასარ-თობ თუ იაფებსიან „შოუ- ხელოვნებაზე“, და ა. შ. ამან კი შესაძლოა, მუსიკის განვითარებაც შეიყვანოს ჩიხში. ბოლოს, მინდა ვთქვა, რომ ამ კონცერტზე სტუ-დენტ-კომპოზიტორებმა წარმატებულად აჩვენეს თა-ვი. იმედია, ამ წარმატებას გაგრძელებაც მოჰყვება და ამგვარი ღონისძიებები სისტემატურ ხასიათს მიიღებს. საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, ჩნდება იმის საჭიროება და მოთხოვნა, რომ ხშირად ჩატარდეს მსგავსი ღონისძიებები. კარგი იქნება თუ თანამედროვე მუსიკა შესაფერის გარემოში შესრულდება. კერძოდ, სასურველი იქნებოდა, თუ ერთი დარბაზი აშენდებო-და სპეციალურად თანამედროვე ხელოვნებისთვის, რამდენადაც, გარემო დიდი როლს ასრულებს მუსიკის სრულყოფილ აღქმაში.

მარადა ხვედრობე

დილით, მობილურის მაღვიძარამ ჯუნგლების ტყის უცნაური ხმაურით გამომაღვიძა. ეს ხმა ყოველ დილით მესმის. მინდა შევცვალო, თუმცა, აუხსნელი სიჯიუტით ისევ და უკვე მერამდენედ ვუმკვლავდები ამ აგრძელას.

მაგრამ... სწორედ ამ მაგრამ-ის გამო...

მუსიკა — აგრძელა, დროში განფენილი. არ გეკითხება, გსურს თუ არა შემოიჭრას შენს ყოველდღიურობაში. არც შენს დროს ინდობს, არც ემოციას და ჯიუფად ლამობს დასაკუთრებას. საკონცერტო დარბაზში წინასწარ იყი რისთვის ხარ „განნირული“, რა შემოვა შენში და შეიქმნი, თუ არა, სწორ ორიენტირებს მორიგი მუსიკალური ულუფის გადასამუშავებლად. შენ მზად ხარ გამოწვევისთვის და ღია — ახალი ემოციებისთვის.

მაგრამ გვაქვს კი ძალა, რომ

განვერიდოთ იმას, რაც არ გვსურს და არასდროს მი-ვიდებთ? სად გადის ზღვარი დასაშვებსა და დაუშვე-ბელს შორის? შინიდან გასვლისთანავე გრძნობ იმას, თუ როგორ შეიძლება სხვისი თავისუფალი სივრცე და-უსჯელად შეზღუდო. იქვე, ახლადგახსნილი ბარის, „სა-მარშრუტი ტაქსის“, „სმენადაქვეითუბული მძღოლის“ არჩევანის და სხვათა და სხვათა მსხვერპლი ხდები და

ტაქსი?????

თანდათან ნებდები.

მაგრამ, დღის მანძილზე განცდილი ამ „ქმნილების“ მხოლოდ შესავალია. მორიგი და ბევრად აგრძესიული ტალღის ნაკადი ტელე და რადიო ეთერია. აა, სწორედ აქ ინყება თავაშვებული „ტაში-ტუში“ და ამ მდაბიო, პრიმიტიული, უშინაარსო ფსევდო-მუსიკის მასიუ-

რი ტირაჟირება ისეთი ძალით მიმდინარეობს, რომ უყურებ, უსმენ და ფიქრობ — ვინ არის ამგვარი ანტებელოვნების დამკ-ვეთი? საზოგადოება? თუ ე.წ. ტელე-რადიომაუწყებლები?

სრულიად მოულოდნელად, ქართველი გლეხის, საუკუნეების წინ შექმნილ გენიალურ სამუ-სიკო ხელოვნებას ნაზიარები და დიდ ევროპულ ოჯახში გაერთიანების მსურველი საზოგადოება მარტივად, ძალ-დატანების გარეშე შეეგუა „შეზარხოშებული“ მანერის მომღერლებს, „შეზარხო-შებულ“ ავტორებს და შე-დეგმაც არ დააყოვნა, — მივიღეთ „შეზარხოშებული“





მსმენელის უბარმაბარი არმია, რომელიც მზადაა კიდევ ბევრი მიღლოს და გადაამუშაოს.

საზოგადოება მკვეთრად გაიმიჯნა „ტაში-ტუში“-ის მოყვარულ უმრავლესობად და მორჩილ უმცირესობად.

მაგრამ ყველაზე საშიში ის ფენაა, რომელიც საზოგადოებაში (იმედს გამოვთქვამ არა სამუდამოდ) ლიდერის პოზიციაში მყოფი ამგვარი, უგემოვნო, სამწუხა-

ტუში?????

როდ, უკვე მასკულტურად ქვეული პროდუქტის, ვგონებ, არცთუ ფარული პოპულარიზატორია. უფრო მეტიც, გუდასტვირივით მკლავში ამოდებული რომ დაჰყავს ეს „შეზარხოშებული“ მომღერალი თუ მომღერალ-ავტორი და „მიდი დაუკაააარ...“

ყოველ სამუსიკო ჟანრს აქვს არსებობის უფლება, მაგრამ ხატვასმით! – მისთვის შესაფერ ლოკალურ ყოფით გარემოში.

მაგრამ, ყოვლად დაუშვებელია მაუწყებლების მიერ, განვებ, საუკეთესო საეთერო დროს, როდესაც მსმენელის და მაყურებლის მაქსიმალური რაოდენობა იყრის თავს, სწორედ ამგვარი უხამისი, გავიმეორებ, მდაბიო პროდუქტის გადაცემა (მასსენდება ერთ-ერთი ტელეშოუ, სადაც წამყვანი დაკავებული იყო ამ ფსევდო კულტურის პოპულარიზაციით. ვითომდა ირონით, სინამდვილეში კი სწორედ ტკბობით უნაცვლებდა ერთმანეთს „ტაში-ტუშებს.“)

მოდით, კიდევ ერთხელ დავსვამ შეკითხვას: ვინ არის დამკვეთი? ხომ არ არის ეს „აგრესია“ საზოგადოების, განსაკუთრებით კი გემოვნება ჩამოუყალიბებელი ახალგაზრდების „მასკულტურისადმი“ მიჩვევისოვის მიზნობრივად მიმართული?

ვის შეიძლება ჩავაბაროთ ამგვარი, მიუღებელი ტენდენციების მართვა და კოორდინაცია? ან, იქნებ ეს ფუჭი

საქმეა და უშედეგო?

აი, სწორედ აქ უნდა დავფიქრდეთ,...

მაგრამ... ტელე-რადიომაუწყებლების ხელმოვანელობას ვერ აუკრძალავ ამგვარი პროდუქციით ეთერის დანაგვიანებას, მით უფრო კერძო მაუწყებლებს. ვერც იმ „შეზარხოშებული“ მსმენელის უბარმაბარ არმას გამოუცხადებ ომს (მოსწონს და მოკალი, თუ გინდა). ისევ და ისევ სამაუწყებლო ეთერების დახმარებით საზოგადოებისთვის, ყოველდღიური, აგრესიული რეკლამით, უკვე გმოიყვანეს ახალი ჯიშები, ე.წ. „Face-ები“, რომელთა პოპულარობის გამოყენება ახალგაზრდების ემოციების და გემოვნების ფორმირებისთვის სრულიად მიუღებელია.

სამწუხაროდ, გამორჩეული პიროვნებები ამგვარ სამაუწყებლო ეთერში მონაწილეობაზე არ თანხმდებან, ან უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა – მათ არც ინვევენ. ამიტომ რჩება... საძირკველი, ბავშვობაში რომ ეყრება საფუძველი: ოჯახი, საოჯახო ფონო-ვიდეოჩანანერები, მუსიკირება, ჯერ კიდევ კანტი-კუნტად შემორჩენილი სამუსიკო სკოლები, ბავშვთა ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები, შესაფერი სამეცნიერო წრე, ინტერესები და ბოლოს და ბოლოს ეროვნული სამუსიკო გენისადმი მოკრძალება და სათუთად მოაყრობა.

მაგრამ... ოჯახის მიღმა?... დემოკრატიას ამოფარებულ, საეთერო პოლიტიკის განმსაზღვრელ ხელმძღვანელებს უნდა შევახსენოთ, რომ ამგვარი საეთერო აღვირახსნილობა მასის პირველყოფილ ინსტინქტებს აღძრავს და ეს ძალა უმართავი ხდება. და ვისკენ იქნება ის მიმართული, ღმერთმა უწყის.

ამ სტატიის დანიშნულება, კიდევ ერთხელ, საკითხისადმი მკითხველის, განსაკუთრებით კი მაყურებლის და მსმენელის დაინტერესება და გაფრთხილებაა.

კვლავ „ტაში????... ტუში????...“

“SOS – save our soul!!!!”

გადაარჩინეთ ჩვენი სულები!!!

გიორგი პრავეთავილი

ბოლო პერიოდში ყურადღების ცენტრში მოქმედა საქართველოს ის კუთხები, რომელთა შესახებაც მწრი ნარმოდგენა გვაქვს. გამონაკლისი არც ლაზური მუსიკალური ფოლკლორია. მართლაც, იმაზე კარგი რა უნდა იყოს, რომ საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად აქტიურად ჟღერს ლაზური ხალხური მუსიკა, მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთი რამ მსმენელს არასწორად მიენდება. ასე მაგალითად: მეგრული „ალილო“ ზოგჯერ ლაზურადაა გამოცხადებული (ფოლმი „შურიძშინე“). უმთავრესი პრობლემა კი მრავალხმიანობის საკითხია,

ბიც ჟღერს. ისტორიული ავტენტობის გამო, ლაზურმა მუსიკალურმა ფოლკლორმა მრავალხმიანობა დაკარგა. ჩვენამდე მოღწეული პირველი კოლექტიური ჩანაწერები უკვე გუნდურ უნისონზე მიგვითითებენ.

ვინაიდან ჩვენი საუბრის თემა კონკრეტულად სარფის მუსიკალურ ფოლკლორში მიმდინარე პროცესებია, ამიტომაც მხოლოდ ამ სოფლის ჩანაწერებზე მექნება საუბარი.

1951 წელს ლაზური ფოლკლორული ნიმუშები შეკრიბა შალვა შშველიძემ, სადაც გუნდური ერთხმიანობაა დაფიქსირებული (გვაქვს ცნობა, რომ 1947 წელს, ამავე სოფელში, ფირფიტაზე ჩანერილი ნიმუშებიც

ლაზური და ინგილოური სასიმღერო მრავალხმიანობის საკითხისათვის

რომელსაც საგანგებოდ შევეხებით.

სცენაზე სულ უფრო და უფრო იკიდებს ფეხს ლაზური მრავალხმიანი სიმღერა. მართლაც, საქმიან ლამაზად ჟღერს ეს ნიმუშები, მაგრამ საინტერესოა, ისინი რამდენიმე ათეული წლის წინადაც იყვნენ მრავალხმიანი? სამწუხაროდ, არა. მაშინ იმის კითხვა, თუ რატომ ასრულებენ ანსამბლები ლაზურ სიმღერას გამრავალხმიანებული სახით? პასუხები არაერთგვაროვანია: ზოგი მიიჩნევს, რომ ასე უფრო უკეთესია; ზოგმა კი არ იყის რომ ეს გამრავალხმიანებულია; ზოგსაც კი ამის დასტურად, მრავალი ათწლეულის მანძილზე სარფში არსებული ანსამბლი „ჰეიამო“ მოჰყავს და ა. შ. სწორედ ამ ფაქტმა გადამაწყვეტინა საგანგებო წერილის დაწერა.

მართალია, ლაზურ ვოკალურ მრავალხმიანობას ჩვენამდე არ მოუღწევია (ყოველ შემთხვევაში, ასეთ ნიმუშებს არ ვიკნობთ), მაგრამ, ლაზური სიმღერა, საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, მრავალხმიანი უნდა ყოფილიყო. ამზე მიგვანიშნებს თუნდაც ფარული ორხმიანობა — როდესაც მელოდიაში ბანის საფეხურე-

ერთხმიანი იყო, თუმცა მასალის მიკვლევა აქამდე ვერ მოხერხდა).

60-იან წლებში სიმღერები ჩაიწერეს აჭარის რადიომ და კომპლექსურმა ექსპედიციამ გრიგოლ ჩხიკვაძის ხელმძღვანელობით (1963). აქაც ძირითადად ნარმოდგენილია უნისონური შესრულება, მხოლოდ ორ მაგალითში ვხვდებით მრავალხმიანობას, რომელთაგანაც ერთი, ხოფაში დაბადებული ლაზი მომღერლისა და სიმღერების ავტორის ვასან ჰელიმიშვილის (1907-1976) სიმღერაა. 1963 წლის ჩანაწერების ნანილი გამოცემულია (იხ.: „ქართული ხალხური მუსიკა“. 2008. თბილისი. დისკი მეთერთმეტე). საექსპედიციო უურნალში და შესაბამისად, დისკის ანოტაციასა და ჩემს დიპლომებშიც კი ჩანერის ადგილად სარფია მოხსენიებული, არადა, როგორც ახლა გამოირკვა, ანსამბლის წევრის — მავილე თანდილავას თქმით სიმღერების ჩანერა ბათუმში მომხდარა. ჩვენც სარწმუნოდ მიგვაჩნია ეს ფაქტი, რადგანაც კომპლექსურ ექსპედიციას მაშინდელი სასაზღვრო რეჟიმის პირობებში მუშაობა უკიდურესად გაუჭირდებოდა.

1973 წლის გრიგოლ ჩხიკვაძის ულ ჩანაწერებშიც უნისონური შესრულებაა (ფირი 206, ნიმუშები: №2, 6, 7, 8). მართალია, ზოგ ადგილას ცდილობენ ბანისა და ზედა ხმის შენყობასაც, მაგრამ ამას ეპიზოდური ხასიათი აქვს და ნიმუშები ძირითადად უნისონურად უდერენ. ორადორი ნიმუში, რომელიც თავიდან ბოლომდე მრავალხმად სრულდება, ეს არის სიმღერები „ანდა მზოღაშა მეუღლე“ (იგვე ფირი, ნიმუში №3) და „ჰეიანა“ (ნიმუში №9). მრავალხმიანობის ხვედრითი წილი შემდგომი პერიოდის მასალებზე უფრო და უფრო იზრდება და დღეს სკენაზე ლაზური სიმღერები მხოლოდ მრავალ ხმაში (მეტნილად სამ ხმაში) სრულდება.

საერთოდ ლაზური მუსიკალური ფოლკლორის მოპოვებასა და კვლევაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ეთნომუსიკოლოგ გრიგოლ ჩხიკვაძეს (1901-1986). მან 60-იანი წლებიდან საგანგებო ყურადღება მიაქცია ამ თემას და არაერთი ექსპედიცია უძღვნა. სწორედ მათ საფუძველზე დაიწერა ისეთი შრომები, როგორიცაა მოხსენება წაკითხული 1980 წელს და ამავე წლით და-თარიღებული წლიური სამეცნიერო წამრომი „ლაზეთი და თანამედროვე ლაზური სიმღერა“. ამ წამრომებში სხვა პრობლემებთან ერთად ავტორი მიმოხილავს მრავალხმიანობის საკითხსაც და აღნიშნავს, რომ ლაზურმა მუსიკაში მრავალხმიანობა უკვე დაკარგა და გამრავალხმიანებული ნიმუშები ბოლო პერიოდს, კერძოდ, 50-70-იან წლებს მიეკუთვნება.

2010 წლიდან საგნგებოდ დავინტერესდი ლაზური მუსიკით. ამ თემას უკვე ორი სადიპლომო წამრომი და მოხსენება მივუძღვები. ნიმუშების კოლექტიურად შესრულების შესახებ ვესაუბრე სართველ მოხსეკებს, რომლებმაც არაერთგზის განმიცხადეს, რომ კოლექტიური სიმღერები ერთ ხმაზე, ანუ უნისონურად ან ოქტავურად იმღერებოდა, მრავალხმიანობა კი შემდეგ გნიჩნდა.

როგორც აღმოჩნდა მრავალხმიანობა ლაზებში გასული საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს შემოიტანეს არალაზური წარმოშობის (სავარაუდო, ძირითადად აჭარელმა) მუსიკის მასნავლებლებმა. მართალია, გრიგოლ ჩხიკვაძეს მოეპოვება ყასიმ ბეჟანიძის ცნობაც, რომლის მიხედვითაც ხოთაში ჯერ კიდევ 20-იანი წლების დასაწყისამდე სიმღერები გაბმული ბანით იმღერებოდა, მაგრამ მაინც შეუძლებელია სრულად



ლაზები

დავეყრდნოთ ბეჟანიძის ცნობას. ასევე შეუძლებელია ითქვას თუ რამდენად არის ახლოს ყასიმ ბეჟანიძის მიერ დასახელებული მრავალმხიანობა აჭარელი მუსიკის მასნავლებლების მიერ შემოტანილ მრავალხმიანობას-თან.

ვფიქრობ, გრიგოლ ჩხიკვაძისა და ვიქტორია სამსონაძის შრომებში ზოგირთი ლაზური სიმღერა შეცდო-მითა მოხსენიებული როგორც ტრადიციული ლაზური მრავალხმიანობის ნიმუშები. ადგილობრივ შემსრულებლებთან კონტაქტისას დავადგინე, რომ ეს ნიმუშებიც ხალხში ერთმად იმღერებოდა.

საინტერესოა თუ როდის დაწყო ლაზური სიმღერების გამრავალხმიანება; გრ. ჩხიკვაძე 50-იან წლებს ასახელებს. შესაძლოა ამის ცალკეული შემთხვევები იყო, მაგრამ ფაქტია, რომ ეთნოფორები გამრავალხმიანების დასაწყისად 60-იანი წლების ბოლოს ასახელებენ, რასაც ადასტურებს ჩვენს ხელთ არსებული ჩანაწერებიც.

ლაზური სიმღერის უნისონურად შესრულების ფაქ-



აზათ. უსოფი მხატვარი

ფეხს დღევანდელ ჩანაწერებში ძალიან იშვიათად ვხვდებით. ფილმ „შურიმშინეში“ მაიკო მემიშიშვილისა და ლელა ბექირიშვილის არამარტო ლაზურ და ჰასან ჭელიმიშვილის სიმღერებში, არამედ ახლო წარსულში, 1954 წელს, სარტყეში დაბადებულ სამა ხორავას მიერ შექმნილ სიმღერა „ქალაკშიც“ უნისონურად აჰყვა ვასვიე მემიშიშვილი. მართალია, „ჰეიიმ“ ქალბატონი ვასვიეს მონანილეობით ორ ხმაში (ბანის გარეშე) უღერდა, მაგრამ აქც პატივცემული მოხუცი ლელა ბექირიშვილი უნისონურად აჰყვა, ხოლო ზედა ხმა რამდენიმე წამის შემდეგ მაიკო მემიშიშვილი „შეშველა“. ამით მციცდება, რომ ლაზური სიმღერის გამრავალმხიანების მიუხედავად, ქალბატონ ვასვიეს მაიც უნისონში მღერა ურჩევნია, ეს გასაკვირი არც არის, იგი ხომ იქ დროს დაიბადა და გაიჩარდა, როცა ლაზური სიმღერა ერთ ხმაში იმღერებოდა.

ვინაიდან ჯერ კიდევ 60-იანი წლების ბოლოდან აჭარელი და სხვა არალაზი მუსიკის მასწავლებლებისგან დაიწყო ლაზური სიმღერების გამრავალმხიანე-

ბის პროცესი, ამიტომ სცენაზე აუღერებული ნიმუშები „სუფთა ლაზურად“ აღარ უდერს.

შეიძლება ვინამე შემომედავოს, მუსიკის მცოდნე ვალერიან მაღრაძემ ხომ მოახდინა ბურდონის მიხედვით მესხური სასიმღერო მრავალხმიანობის რესტავრაცია? დიახ, მაგრამ ლაზურისგან ეს სიტუაცია განსხვავდება იმით, რომ მაღრაძემ შეძლო დაფიქსირებინა ნამდვილი მესხური ორხმიანობა, რომლებითაც მან იხელმძღვანელა და მოახდინა მესხური მრავალხმიანობის რესტავრაცია. ლაზურში ამგვარი ნიმუშები, სამწუხაროდ, არ მოგვეპოვება. ამიტომაც, ლაზური სიმღერების გამრავალხმიანებას საკუთრივ ლაზური მრავალხმიანობის რესტავრაციად ნამდვილად ვერ მოვნათლავთ.

მიუხედავად იმისა, რომ მოგვწონს ლაზური გამრავალხმიანებული სიმღერები, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვფიქრობ, როდესაც ვასრულებთ ლაზურ სიმღერებს როგორც ფოლკლორულ ნიმუშებს, მაშინ ისინი უნდა შესრულდეს ავთენტური სახით, ისე, როგორც სრულდებოდა ათწლეულების წინ.

შალვა მშველიძის მიერ 1951 წელს ჩანაწერილი ლაზური სიმღერების სანოტო ხელნაწერი ინახება საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რადიოს ჩანაწერები ინახება მათ არქეოში. გრიგოლ ჩხიკვაძის 1963 და 1973 წელს ჩანაწერილი ნიმუშები თბილისის ვანო სარაჭიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ფოლკლორის ლაპორატორიის არქეოში კუთვნილებაა.

ახლა, ცოტა რამ ინგილოური მუსიკის შესახებაც. მის დახასიათებას აქ არ შევუდგები, უბრალოდ აღნიშნავ, რომ სცენაზე ჰერული მუსიკის შემსრულებლობის ისტორია ხანმოკლეა (პირველი ჯგუფი საინგილოში 1980-იან წლებში ჩამოყალიბდა). 80-იან წლებშივე გაჩნდა ახალი ყაიდის სიმღერები, რომლებსაც სცენაზე (ჯერ საინგილოში, ხოლო შემდეგ საქართველოში და შესაძლოა საზღვარგარეთაც) დღემდე ასრულებენ. მართალია 2010 წლიდან სრულდება ნამდვილი ინგილოური ნიმუშებიც, მაგრამ, სამწუხაროდ, „გასავალი“ უმეტესად დამუშავებულ და ახლადშექმნილ ნიმუშებს აქვთ, რომელთაგანაც განსაკუთრებით დიდი პოპულარობით სარგებლობს „ინგილოური ნანა“ და ჰერელი (ანუ ინგილო) მუსიკისის მაღაზი ნუროშვილის სიმღე-

რები „არანი“ და „უწინ იყო“. ყველა ეს ნიმუში ორ და სამ ხმაზე სრულდება და ხშირაც ცხადდება (ინტერნეტ-სივრცეში, ტელევაზიებში, ღონისძიებებზე, კონცერტებში, ფილმებში) როგორც ინგილოური ხალხური სიმღერა, რაც დიდი შეცდომაა.

„ინგილოური ნანა“ 1987 და 2005 წლების ჩანაწერებზე დაყრდნობით შექმნა და გაამრავალხმანა გომარ სიხარულიძე. სოლისტის პარტიას ასრულებს თეატრალური ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტი, საკმაოდ ნიჭიერი და ლამაზი ხმის პატრონი, თავადაც ინგილო, მარიამ გაჯიშვილი.

დასახელებული ნიმუშები უდავოდ საინტერესოა და სკენაზე შესრულების ღირსიც, მით უფრო, რომ პატრიოტული მოტივებია წამყვანი, მაგრამ ხომ შეიძლება ყველაფერს თავისი სახელი დაურქვას? მაგალითად, „ინგილოური ნანას“ ახალ ვერსია – „ინგილოური ნანა“ გომარ სიხარულიძის დამუშავებით, „არანის“ და „უწინ იყოს“ – მალხაზ ნუროშვილის სიმღერები. გომარ სიხარულიძისადმი ჩემი უდიდესი პატივისცემის მიუხედავად, უნდა აღვნიშნო, რომ როგორც სჩანს, „ინგილოური ნანის“ დამუშავება ბ-ნ გომარს ეკორეავა და ახლა

ხობის ფესტივალისთვის მალხაზ ნუროშვილის სიმღერის „არანი“ დამუშავებაც მოუწადინა, რომელიც ფესტივალზე წარმოადგინა როგორც „ჰერული მრავალუამიერი“ (?!?).

ახლა რაც შეეხება მრავალხმანობის საკითხს. მართალია ძველი ჩანაწერები არ გაგვაჩნია, მაგრამ ბოლო დროს მოპოვებული მასალები (2010 – მალხაზ ნუროშვილის ჩანაწერები, 2011-13წწ. – ვიორგი კრავეიშვილის და მართა ტარტარაშვილის მასალა) მრავალმხანობის დაკარგვას ცხადყოფს. ამიტომაც, ჩემი აზრით, ლაზური და ინგილოური სასიმღერო ფოლკლორის ტრადიციული ნიმუშები რომ შესრულდეს, თუ იგი ერთხმანი არ იქნება, ვერ ჩაითვლება ფოლკლორულ ნიმუშად.

დაბოლოს, სავარაუდოდ ლაზური და ინგილოური მუსიკა ადრეულ წარსულში მრავალხმანი იყო, მაგრამ ისტორიულმა უკუღმართობამ, სამწეხაროდ, ეს ფეხომენი გააქრო და არ შემოვინახა. ამიტომ, როდესაც ვსაუბრობთ ლაზურ და ინგილოურ სასიმღერო ფოლკლორზე ან ვასრულებთ მას, იძულებული ვართ დავეყრდნოთ იმ ნიმუშებს და შევასრულოთ იმ სახით, რა სახითაც იგი შემოვინახა დრომ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კრავეიშვილი, ვიორგი. ლაზური ხალხური მუსიკის ეთნოგრაფიული და მუსიკალურ-თეორიული ასპექტები (2011). საბაკალავრო ნაშრომი (ხელნაწერის უფლებით). ინახება ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის, ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ლაბორატორიის არქივში.
2. კრავეიშვილი, ვიორგი. საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველთა ტრადიციული მუსიკის შექმნავლისათვის (2013). სამაგისტრო ნაშრომი (ხელნაწერის უფლებით). ინახება ქ. ბათუმში ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტზე და თბილისში ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის, ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ლაბორატორიის არქივში.
3. მალრაძე, ვალერიან. ქართული (მესხური) ხალხური
4. სამსონაძე ვიქტორია. ლაზური ხალხური სიმღერები. ნაწ. I. თბილისი. სანოტო დანართით. (2005)
5. ჩხიკვაძე, გრიგოლ. ლაზეთი და თანამედროვე ლაზური სიმღერა. წლიური სამეცნიერო შრომა. (1980)
6. ჩხიკვაძე, გრიგოლ. ლაზური ხალხური მუსიკის თანამედროვე მდგომარეობა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ენისა და ლიტერატურის განყოფილებასთან არსებული ფოლკლორის საკოდინაციო საბჭო, შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი, ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, სამეცნიერო კონფერენცია XIX. 1980 წლის 13-15 თებერვალი
7. ფილმი „მურიმშინე“ <http://www.youtube.com/watch?v=jvRGUwMtiM0>

გელიშათ მორაძე

ბრნისინვალე ქართველი სოპრანობის თანავარსკვლავედში გამორჩეული ადგილი უკავია დაუკინწყარ ნინო (ნუკა) მიქელაძეს (1919–1984). ქართული ვოკალური ხელოვნების ისტორიაში ერთ-ერთ უშესანიშნავეს ნიმუშად სამუდამოდ დარჩა აბდულ-არაბისა და გულჩინას დუეტის ჩანაწერი (დიმიტრი არაგაშვილის ოპერიდან – „თქმულება შოთა რუსთაველზე“), სწორუპოვარი დავით



გამრეკელისა და ნუკა მიქელაძის შესრულებით.

ნუკა მიქელაძემ მეტეორივით გაიღვა ქართულ საოპერო სკუნაზე, მაგრამ ნარუშლელი კვალი დატოვა არა მარტო მსმენელთა მეხსიერებაში, არამედ, საზოგადოდ, ქართული ვოკალური ხელოვნების ისტორიაში.

